წელიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ხუთშაბათი, 23 ივლისი 1931 წ. № 168 (3123)

# აღმოვფხვრათ სოფლად მუშაობის შეცდომები

მკითხველი ჩვენი გაზეთის 18 და 21 ივლისის ნომრებში გაეცნობოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეტად საგულისხმო დადგენილებებს. პირველი შეეხება მდგომარეობას ცაგერის რაიონის პარტორგანიზაციაში, ხოლო მეორე—ხევის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხსენებული დადგენილებანი ყურადღებას იპყრობენ არა მარტო იმ მხრივ, რომ მათში მოცემულია საქართველოს ორი რაიონის პოლიტიკურ და სამეურნეო მდგომარეობის არა დამაკმაყოფილებელი სურათი, რასთან დაკავშირებითაც დასახულია მორიგი ამოცანები მდგომარეობის გამოსასწორებლად ამ რაიონებში, ცეკას აღნიშნული დადგენილებანი უაღრესად საგულისხმონი არიან იმ მხრივაც, რომ ისინი უთუოდ ბევრ რასმეს შესძენენ პრაქტიკულ მუშაობაში სხვა რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს.

როგორი მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ხევის რაიონში? საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებაში ეს მდგომარეობა ძირითადად შემდეგნაირად არის დახასიათებული: მუშაობის ჩაშლა რაიონის მშენებლობის გადამწყვეტ დარგებში, პარტიულ, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციების ზოგიერთი საფეხურის ავადმყოფური მდგომარეობა, კოოპერაციისა და საბჭოთა ორგანოების ცალკე მუშაკების გახრწნა.

კონკრეტულად ეს შემდეგს ნიშნავს: ხევის რაიონის მთავარი დარგმა—ანდეზიტის წარმოებამ მეორე კვარტალის სამუშაო გეგმა შეასრულა მხოლოდ 17,5 პროცენტით, მეცხოველეობა დაცემულია, პირუტყვის [illegible]ტის პროცენტი მაღალია, საგაზაფხულო გეგმა მეცხოველეობის დარგში ჩაშლილია, საბჭოთა ორგანიზაციაში და კოოპერატივის აპარატში ჯერ კიდევ მრავლადაა უცხო ელემენტები. ამას თან ერთვის პარტიის ზოგიერთი წევრების გახრწნა-ანგარებით გატაცება, თვითმომარაგების უმსგავსო ფაქტები, თვითკრიტიკის ჩაწიხლვა და მრავალი სხვა უმსგავსოებანი.

როგორია ცაგერის რაიონის პარტიული ორგანიზაციის მოქმედების სურათი? ამ კითხვაზე ცეკას დადგენილებაში შემდეგ პასუხს ვპოულობთ:

„ცენტრალური კომიტეტის ბიურო ცაგერის რაიკომისა და პარტორგანიზაციის მუშაობაში აღნიშნავს მემარჯვენე-„მომემარცხენო“ ხასიათის შეცდომებს, როგორიცაა, ერთი მხრით, მტკიცე დავალებების მიცემა კოლმეურნე და ღარიბ-საშუალო გლეხებისათვის (სოფ: ზუბი, ლუხვანო) ღარიბ და საშუალო გლეხების შეზღუდვა მათ მიერ თავიანთი პროდუქციის რეალიზაციაში, ადმინისტრატიული იძულების მეთოდების გამოყენება, მეორე მხრით, კულაკურ-შეძლებულ ფენების არა საკმარისი გამოვლინება, მათთან მტკიცე დავალებების მიუყვანლობა (ჩხუტელ, ორბელი) საკოლმეურნეო მოძრაობის არასაკმაო ხელმძღვანელობა, პოლიტიკური შეცდომების დაშვება მიწათმოწყობის ჩატარების დროს და, ბოლოს, თესვის კამპანიის გეგმის არადამაკმაყოფილებლად განხორციელება“.

ასეთია ორი ზემოხსენებული რაიონის პოლიტიკური და სამეურნეო მდგომარეობა. თავისთავად იბადება კითხვა, სად უნდა ვეძებოთ ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები? ძირითადი მიზეზი, რომელზედაც მიუთითებს თავის დადგენილებებში საქ. კ. პ. (ბ) ცეკა, უკვე ნათელია—ესაა მემარჯვენე და „მომემარცხენო“ პრაქტიკა მუშაობაში. ცნობილია, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკა—ესაა იგივე უილაჯობა არსებულ სიძნელეებთან ბრძოლაში, ესაა წუწუნი „აუტანელი“ ტემპების შესახებ, ესაა კავშირი ჩვენს კლასობრივ მტრებთან და თვითმდინარეების, დაცემის სულისკვეთების შეტანა სოციალისტურ მშენებლობისათვის მებრძოლთა რიგებში. „მემარცხენე“ პრაქტიკა—ნიშნავს თავდასხმებს პროლეტარიატის უძლიერეს მოკავშირეზე სოფლად—საშუალო გლეხკაცობაზე—ხოლო ამავე დროს ნამდვილ კულაკურ მეურნეობათათვის ხილის დაფარებას და სხვ. რა გასაკვირია, თუ ასეთ პოლიტიკურ უპრინციპობის და თვითკრიტიკის ჩახშობის ნიადაგზე ფართო გასაქანს პოულობს ზნეობრივი დაცემა პარტიის ცალკე წევრებისა და საბჭოთა ორგანოების ცალკე მუშაკთა გახრწნა.

საჭიროა დაუზოგავი და ნამდვილად ბოლშევიკური ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებისათვის მუშაობის ყველა დარგში, საჭიროა პარტიული, ლენინური სიფხიზლის განვითარება ჩვენს ორგანიზაციებში, რომ ძირშივე აღკვეთილ იქნას ყოველგვარი ოპორტუნისტული ქანაობანი. არც ხევის და არც ცაგერის რაიონში ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია. მემარჯვენე და „მომემარცხენო“ ოპორტუნიზმის პრაქტიკამ, იმის გამო, რომ მას პარტიულ ორგანიზაციებმა დროზე ვერ უპასუხეს გამანადგურებელი შეტევით, ფართოდ გაშალა ფრთები.

მეორე პირობა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ხევისა და ცაგერის რაიონების პარტორგანიზაციათა გაჯანსაღებისაკენ მიმართულ მუშაობას—ესაა მათი უმჭიდროესად დაკავშირება რაიონების სამეურნეო ცხოვრებასთან, რასაც დღემდე ადგილი არ ჰქონია. პარტიული ორგანიზაციები გადაჭრით უნდა მობრუნდნენ პირით თავიანთი რაიონების სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანებისაკენ. ისინი უნდა ჩაუდგნენ სათავეში საკოლმეურნეო მოძრაობას და ბრძოლას კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე.

ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა სოფლად მომუშავე პარტიული ორგანიზაციები მტკიცედ დაეყრდნობიან კოლმეურნეებს, ღარიბ გლეხთა მასებს, თუ ისინი თავიანთი მუშაობით მჭიდროთ დაუკავშირდებიან საშუალო გლეხკაცობას, დაუნდობლად გარიყავენ კულაკებს ღარიბ საშუალო გლეხობის მასებისაგან.

არაფერი ამის მსგავსი ხევისა და ცაგერის რაიონებში ჩვენ არ გვქონია. მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტული მუშაობით პარტიის ხაზი უხეშად მახინჯდებოდა. რაიც გლეხკაცობის დიდ უმრავლესობას აშორებდა სოციალისტურ მშენებლობას და შესაძლებლობას აძლევდა კულაკურ ელემენტებს თავი დაეფარათ სოციალისტურ შეტევისაგან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები ხევის და ცაგერის რაიონების შესახებ გულდასმით უნდა შეისწავლოს თვითეულ ადგილობრივმა ორგანიზაციამ. ეს აუცილებელია იმ შეცდომების თავიდან ასაცილებლად, რომელთაც შესაძლებელია ადგილი დაეჭირეს სხვა რაიონებშიც. ცაგერისა და ხევის პარტორგანიზაციათა შეცდომები მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული პარტიული მუშაობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის და სოციალისტურ შეტევის კიდევ უფრო ფართოდ გაშლისათვის.

# ბოლშევიკური შეუპოვრობითი და რკინისებური დისციპლინით შევცვალოთ მუშურ-გლეხური არმიის დაკარგულ მებრძოლებს

**მოსკოვი**, 22 ივლისი. 20 მაისს ხაბაროვსკიდან სამხედრო - საზღვაო სახალხო კომისარის და საბჭოთა კავშირის სამხედრო - რევოლიუციონური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვოროშილოვისაგან მიღებულ იქნა შემდეგი დეპეშა:

„გულის ტკივილით გაცნობებ სამგზავრო აეროპლანის ანტ-9-ს დაღუპვა მთელი ეკიპაჟით და მგზავრებით, რვა ადამიანის, მეთაურებისა და ტექნიკოსების, მათ შორის ამხ-ების ტრიანდოფილოვისა და კალინოვსკის დაღუპვა უაღრესად დაადანებს წითელი არმიის უფროს შემადგენლობას და მებრძოლებს.

ამხ. ტრიანდოფილოვი და კალინოვსკი—ორივე ახალგაზრდა და ენერგიით აღსავსე იყო. ისინი ბოლშევიკურად თავდადებულნი იყვნენ პროლეტარული საქმისათვის. მოტომექანიზაცია მჭიდროდ დაკავშირებულია ამხ. კალინოვსკის სახელთან, რომელმაც არაფერი დაიშურა ამ საქმისათვის.

ასე მოულოდნელად დაღუპულ ამხ. ტრიანდოფილოვის სახით წითელმა არმიამ დაჰკარგა საუკეთესო მეთაური, უაღრეს ნიჭიერი, სამხედრო სპეციალისტი და საუცხოო ტექნიკოსი და ბოლშევიკი. ყველა იმათი გაათკეცებული ენერგიით ვინც ამხ. ტრიანდოფილოვის გვერდით და ხელმძღვანელობით მუშაობდა, შეიძლება მხოლოდ პირველ ხანებში შევცვალოთ ეს ნიჭიერი, შრომის მოყვარე და ნათელი პიროვნება. უბედური შემთხვევა, რომელიც ასე მოულოდნელად დაატყდა წითელარმიას, სხვანაირად ვერ იმოქმედებს მთელ უფროს შემადგენლობაზე, თუ არა, როგორც მოწოდება შემდგომი დაძაბული მუშაობისაკენ წითელი არმიის საბრძოლო მომზადებისა, ცოდნის უფრო მეტად გაღრმავებისა და სამხედრო ტექნიკის ნამდვილ დაუფლებისათვის. ბოლშევიკური შეუპოვრობა და ჩვენი დისციპლინა იმის საწინდარია, რომ დავძლევთ სიძნელეებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გადავლახოთ.

ვოროშილოვი.

# 1.137.500 მანეთი თბილისის წყალსადენის ასაგებად

**მოსკოვი**, 22 ივლისი. კომუნალურმა ბანკმა გაუხსნა თბილისის ქალაქის საბჭოს დამატებითი კრედიტი — 1.137.500 მანეთი მიმდინარე წელს წყალსადენის სამუშაოებისთვის. (ადს).

# საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მე-5 პლენუმი

მოწვეულია 1931 წლის 2 აგვისტოსთვის.

**დღის წესრიგი.**

1. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგები და ამოცანები საქართველოში (მომხსენებელი ამხ. მამულია; ოზურგეთის და სიღნაღის რაიონული კომიტეტების მდივნების თანამოხსენება);
2. საქნავთის მოხსენება (მომხსენებელი ამხ. კალაშნიკოვი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანამოხსენება);
3. საშემოდგომო-საგაზაფხულო კამპანიის შედეგები და ჩაის კულტურის განვითარების გეგმა 1931 წლის პირველი ნახევრისა და 1932 წლისათვის.

საქ. კ. პ (ბ) ც. კ-ის მდივანი ხ. მამულია.

# გერმანიის პოლიტიკურმა წრეებმა ლონდონის კონფერენციის იმედი დაკარგეს

## გერმანია-ლონდონის კონფერენციის პერსპექტივები

**მოსკოვი**, 21 ივლისი. „იზვესტია“-ს კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება, რომ საფრანგეთმა უარი სთქვა თავისი პოლიტიკური მოთხოვნილებების ულტიმატიურ ხასიათზე და დასთანხმდა მონაწილეობის მიღებაზე ლონდონის კონფერენციის მუშაობაში.

გაზეთის სიტყვით ეს დათმობა გამოწვეულია ინგლისისა და შეერთებული შტატების ზეგავლენით.

„დეილი ჰერალდ“-ი-ს დიპლომატიური კორესპონდენტის სიტყვით ამჟამად მოიპოება საკმაო საბაბი იმედისათვის, რომ გამოინახება საფუძველი, როგორც საერთაშორისო სესხის საკითხში, ისე იმ პოლიტიკური ფორმულის საკითხში, დააკმაყოფილებდა საფრანგეთის პრეტენზიებს ისე, რომ შეურაცხყოფილი არ იქნას გერმანიის პრესტიჟი.

კორესპონდენტის ცნობით გამოსავალი გამონახული იქნება შემდეგი სახით: გამოცხადებული იქნება „პოლიტიკური მორატორიუმი“ ხუთი წლის ვადით, რომლის განმავლობაში არა მარტო გერმანია, არამედ ევროპის დანარჩენი სახელმწიფოებიც იკისრებენ ვალდებულებას—არ დაიწყონ არავითარი პოლიტიკური ავანტიურები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის მშვიდობიანობას ევროპაში.

ამ პროექტის განხორციელება დაბრკოლებებს ელობება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ეწინააღმდეგება საფრანგეთის პროექტს, რამდენადაც ხელშეკრულება იდება უფრო მოკლე ვადით, ვიდრე ეს სასურველია საფრანგეთისათვის და აგრეთვე იმის გამო, რომ ითვალისწინებს ვალდებულებების მიღებას არა მარტო გერმანიის, არამედ ყველა იმ სახელმწიფოების მიერ, რომელთაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებას.

იუწყებიან, რომ გერმანიის მინისტრები უარყოფენ ამ გეგმას.

საფრანგეთის პრემიერ ლავალი დაარწმუნეს, რომ ლონდონის კონფერენცია, რომელიც დღეს გაიხსნება, დაკმაყოფილდება მხოლოდ გერმანიის კრიზისის საკითხის განხილვით. ეს დაპირება საფრანგეთმა, ინგლისმა და ამერიკამ მისცეს გუშინ დილით, საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების განახლებამდე, ე. ი. იმ მომენტში, როცა საფრანგეთს იმედი ჰქონდა, რომ პოლიტიკურ საკითხებს მოაგვარებდა გერმანიასთან უშუალო მოლაპარაკებით.

„ტაიმს“-ის მოწინავე წერილში აცხადებს, რომ შესაძლოა ლონდონის კონფერენცია იყოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საერთაშორისო თათბირი ომის შემდეგ და ამიტომ მას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ საკითხების განხილვით, რომელთა გადაჭრა. ტექნიკურ ექსპერტებსაც შეეძლოთ.

გაზეთი სწერს, რომ უახლოეს კვირეების განმავლობაში მთავარი ამოცანა იქნება არა ფინანსიური დახმარების აღმოჩენა გერმანიისათვის, არამედ პოლიტიკური ატმოსფერის გაუმჯობესება, რომ თავიდან იქნას აცილებული ახლანდელ დაბრკოლებათა პერიოდული განმეორება.

გაზეთი გამაფრთხილებელი კილოთი აცხადებს, რომ „ევროპის ქვეყნების მასები ამჟამად ფინანსიურ პირობებზე არ ფიქრობენ“. ამასთან დაკავშირებით, „ტაიმს“-ი ესალმება ინგლის-ამერიკის თანამშრომლების ნიშნებს, „რაც ძირითად პირობას უნდა წარმოადგენდეს კონფერენციის მუშაობის წარმატებით დამთავრებისათვის“.

ლონდონის კონფერენციაზე ინგლისის წარმომადგენლებად იქნებიან ჰენდერსონი და სნოუდენი, შეერთებულ შტატების—სტიმსონი და მელონი. თავმჯდომარეობს მაკდონალდი (ადს).

# ჰინდენბურგი იბრძვის კაპიტალის გატანის წინააღმდეგ

**ბერლინი**, 21 ივლისი. როგორც ვოლფის სააგენტო იუწყება: რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოაქვეყნა ახალი დეკრეტი, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ზომებს კაპიტალის გატანისა და გადასახადების გადაუხდელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დეკრეტის თანახმად, გადასახადის ის გადამხდელები, რომელთაც მოეპოებათ უცხოეთის ფული, ბანკნოტები, ჩეკები, თამასუქები და სხვა გადასახდელი საშუალებანი ან ფულადი ვალდებულებანი უცხოეთის ვალიუტით, ვალდებულნი არიან აცნობონ ამის შესახებ რეიხსბანკს, ან ამისათვის რწმუნებულ საკრედიტო დაწესებულებებს. რეიხსბანკის მოთხოვნისთანავე გადასახადის გადამხდელები ვალდებულნი არიან მიჰყიდონ მას ან გადაიტანონ მის ანგარიშზე ეს ფასიანი ქაღალდები. ამ ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც დაამტკიცებენ, რომ ეს ფასიანი ქაღალდები სჭირდებათ მათ სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. დარღვევა აღნიშნული დეკრეტისა, რომელიც გამოქვეყნებისთანავე შევიდა ძალაში, ისჯება პატიმრობით, ხოლო განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევებში—10 წლით საკატორღო საპყრობილეში მოთავსებით (ადს)

# კაპიტალიზმი აჩანაგებს სახალხო დოვლათს

## მსოფლიო კრიზისით გამოწვეუ[ლი] ზარალი მარტო 1931 წ. 75 მილიარდ მანეთს უდრის

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის ეკონომიურ განყოფილებაში მოთავსებულია მეთაური სათაურით — „რამდენს იხდიან ერები მსოფლიო ეკონომიური კრიზისისათვის“. ამ წერილში მოყვანილია მეტად საინტერესო ციფრები, რომლებიც ერთის მხრივ ახასიათებენ მსოფლიო ეკონომიური კრიზისის მთელ სიღრმეს, მეორე მხრივ კი—ამ კრიზისთან კაპიტალისტური მეთოდებით (მაგ. ჰუვერის გეგმა) ბრძოლის სრულ უნიადაგობას. ახლანდელი კრიზისის პირველი 15 თვის განმავლობაში — 1929 წლის ოქტომბრიდან 1930 წლის დეკემბრამდე მარტო სამრეწველო წარმოების შეკვეცის გამო შეერთებულმა შტატებმა დაჰკარგა 32-33 მილიარდი მარკა, გერმანიამ — 11 მილიარდი და ინგლისმა — 5 მილიარდამდე (1928-29 წ. ფასებში) 1931 წელს ეს ზარალი უფრო მნიშვნელოვანი იქნება. წარმოების თუგინდ ახლანდელ დონეზე შენარჩუნების პირობებშიც კი შეერთებული შტატები 1931 წ. დაჰკარგავს 35-36 მილიარდ მარკას, გერმანია — 15-16 მილიარდს და ინგლისი—10 მილიარდს. სულ ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტური ქვეყნები 1931 წ. დამლევამდე ეკონომიური კრიზისით გამოწვეულ სამრეწველო წარმოების შეკვეცის გამო დაჰკარგავენ 150 მილიარდამდე მარკას. ეს თანხა სამჯერ სჭარბობს ოქროს მსოფლიო მარაგის ფულად გამოხატულებას და ერთნახევარჯერ სჭარბობს მსოფლიო ფულის ტრიალს.

გერმანიის ზარალი წარმოების შემცირების გამო მხოლოდ 1931 წ. შეადგენს თანხას, რომელიც დაახლოებით 10-ჯერ სჭარბობს გერმანიის ყოველწლიურ სარეპარაციო გადასახადს. გერმანიის საერთო ზარალი 1929 წლიდან 1931 წლამდე რამდენიმე მილიარდით გადააჭარბებს გერმანიის მთელს სარეპარაციო ვალს.

წერილი აღნიშნავს, რომ 980 მილიონი მარკა, რომლის მიღებაზე წრეულს უარს ამბობს შეერთ. შტატები ჰუვერის გეგმის თანახმად, დაახლოებით უდრის იმ თანხას, რომელსაც შეერთებული შტატების მრეწველობა 10 დღეში დაჰკარგავს წარმოების შემცირების გამო (ს.დ.ს.).

## ინგლისი წინააღმდეგია გერმანიისათვის სესხის მიცემის.

**ლონდონი**, 21 ივლისი. ინგლისის ხელმძღვანელ საქმიან წრეებში უფრო და უფრო ერთსულოვნად ილაშქრებენ გერმანიისთვის სესხის მიცემის წინააღმდეგ. ამ წრეებში უფრო გონივრულად სთვლიან გრძელვადიანი სესხების გადიდებას, ვინაიდან ვერავითარი იძულებითი სესხი ვერ შესძლებს კაპიტალების დაბრუნებას გერმანიაში და ვერ აღადგენს ნდობას გერმანიის მარკისადმი (ადს).

## გერმანიის პოლიტიკური წრეების ოპტიმიზმი გაქარწყლდა

**ბერლინი**, 21 ივლისი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ამჟამად დიდი გამოფხიზლებაა, ნაცვლად იმ ოპტიმიზმისა, რომელსაც ახლო წარსულში ჰქონდა ადგილი ლონდონის კონფერენციის პრესპექტივების შესახებ. უკუგდებულია ყოველივე აზრი დიდი სესხის მიღების შესახებ, ვინაიდან ამ სესხისათვის მისგან მეტად დიდ პოლიტიკურ სასყიდელს მოითხოვენ; ხოლო პარიზის კონფერენციის შედეგად, უკეთეს შემთხვევაში, მოსალოდნელია გერმანიისათვის საკმაოდ დიდი კრედიტის მიცემა.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ეს კრედიტი გერმანიას შეიძლება მისცეს ინგლისმა და ჩრ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე (ადს).

# ესპანეთის ამბები

## დამფუძნებელი კრების სოციალური შემადგენლობა

**პარიზი**, 21 ივლისი. როგორც ჰავასის სააგენტოს მადრიდიდან ატყობინებენ, ესპანეთის დამფუძნებელი კრების სოციალური შემადგენლობა ასეთი ყოფილა:

123 ვექილი, 491 ექიმი, 66 პროფესორი, 45 ჟურნალისტი, 24 მრეწველი-კომერსანტი, 19 ინჟენერი, 18 მოსამსახურე, 10 სამხედრო პირი, 8 სასულიერო წოდების პირი, 46 ნოტარიუსი, 4 მემამულე და 24 მუშა (ადს).

## ესპანეთის კომპარტიის მე-4 ყრილობა.

**პარიზი**, 21 ივლისი. მადრიდიდან მიღებული ცნობით, 15 აგვისტოსათვის მოწვეულია ესპანეთის კომპარტიის მე-4 ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

ესპანეთის რევოლიუცია და კომპარტიის ამოცანები, ნაციონალური პრობლემა, მუშაობა ახალგაზრდებს შორის, ეკონომიური ბრძოლა და პარტიის პროფკავშირული პოლიტიკა, გლეხთა რევოლიუციის ძირითადი პრობლემები (ადს).

## გაფიცვის ტალღა ესპანეთში ფართოვდება

**პარიზი**, 21 ივლისი. ჰავასის სააგენტოს მადრიდიდან ატყობინებენ:

ტელეფონისტები ესპანეთში წინანდელი შეუპოვრობით განაგრძობენ გაფიცვას.

ბარსელონასა და მადრიდში დიდის აღფრთოვანებით ჩაიარეს გაფიცულთა მიტინგებმა.

**ტრამვაელების გაფიცვა მადრიდის გარე უბნებში თითქმის მუშების მოთხოვნების სრული დაკმაყოფილებით დამთავრდა.**

**—ბარსელონაში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. მუშაობა სწარმოებს მხოლოდ ქვა-ნახშირის გადასატვირთად.**

—გაგრძელდა გაფიცვა ვალენსიის ქიმიურ საწარმოებში, კაფეებსა და ფეხსაცმელის საწარმოებში (ადს).

# საბჭოთა კავშირში

## ბერნარდ შოუ მოსკოვში

**მოსკოვი**, 22 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისის უდიდესი მწერალი ბერნარდ შოუ. ბერნარდ შოუსთან ერთად ჩამოვიდნენ ლორდი და ლედი ასტორები შვილით, ლორდი ლოტიენი და ჟურნალისტი ტენანტი. საზღვრიდან სტუმრები გამოაცილეს პროფესორმა კოგანმა, მწერალმა გლადკოვმა და გაერთიანებული სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენელმა ამხ. სონოვმა.

სადგურზე ბერნარდ შოუს გულთბილად შეხვდა მწერლებისა, ლიტერატორებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენელი. შემხვედრთა შორის იყვნენ გაერთიანებული სახელმწიფო გამომცემლობის გამგე ამხ. ხალატოვი, კულტურული კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. პეტროვი, ლუნაჩარსკი, კარლ რადეკი და გენიკი, რევოლიუციონურ მწერალთა საერთაშორისო გაერთიანებიდან ამხ. ბელა ილეში და განათლების სახალხო კომისარიატის, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, კულტურული კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოების, ინგლისის საელჩოს, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

ვაგონიდან გამოსულ მწერალს ოვაცია გამართეს. მას ტაშით შეხვდა აგრეთვე სადგურის მახლობელ მოედანზე შეკრებილი ხალხი.

სადგურიდან შოუ სასტუმრო „მეტროპოლ“-ში გაემგზავრა.

სტუმრებმა ინახულეს ლენინის მავზოლეი და დაათვალიერეს კრემლი. (ადს).

# 1931 წლის შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციის გეგმა

**მოსკოვი**, 22 ივლისი. საბჭოთა კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ შეიმუშავა 1931 წლის შემოდგომის ნათესის მარცვლეული, ზეთეული, ეთეროვანი და სამკურნალო კულტურების კონტრაქტაციის საერთო გეგმა 31.330 ათასი ჰექტარის რაოდენობით.

შემოდგომის ნათესის კონტრაქტაციის გეგმის შესრულების ვადად დაწესებულია 1932 წლის 15 ოქტომბერი.

ჩაბარების ნორმები, შემოდგომის ნათესის კონტრაქტაციის მიხედვით, უცვლელი რჩება მიმდინარე წლის ნორმებთან შედარებით.

შემოდგომის ნათესის კონტრაქტაციის შეძლებულ - კულაკურ მეურნეობებში არ მოხდება. (ადს).

# კლასობრივი მტრის გამოსვლის საპასუხოდ

**ხარკოვი**, 22 ივლისი. ტროიცაში (უკრაინა) დამთავრდა იმ კულაკების გასამართლება, რომელთაც ჰბრალდებოდათ კომკავშირის უჯრედის მდივნისა და „სოვეტსკაია ვოლინ“-ის გაზეთის გლეხკორის მოკვლა. სამ კულაკს დახვრეტა მიესაჯა. განაჩენს კმაყოფილებით შეხვდნენ.

მკვლელობის საპასუხოდ სოფ. კურინოს ღარიბ - საშუალო გლეხთა მასებმა დაადგინეს — ვადაზე ადრე შეაგროვონ მოსავალი, ჩააბარონ მთელი ზედმეტი პური სახელმწიფოს და დაამთავრონ მთლიანი კოლექტივიზაცია. (ადს).

# რკინის გზის ტრანსპორტის ყველა მუშებს

## მოსკოვ-კურსკის რკინისგზის მოსკოვ-ნიჟეგოროდის საქონლის სადგურის მუშების, ინჟინერ-ტეხნიკური პერსონალის და სამეურნეო მუშაკების ღია წერილი

გავეცანით რა სტალინის სახელობის ლითონის ქარხნის მუშების, ინჟენერ-ტეხნიკური პერსონალის და სამეურნეო მუშაკების ღია წერილს, ჩვენ სტალინელების მაგალითის მიხედვით დაუყოვნებლივ შევუდექით ამხ. სტალინის მითითებათა განხორციელებას ჩვენს სატრანსპორტო პირობებთან შეფარდებით.

ფართოდ განვიხილეთ რა მუშათა მიტინგებზე და კრებებზე ამხ. სტალინის სიტყვა ჩვენ გამოვყავით მუშათა დამკვრელი ბრიგადები, რომელთა ამოცანას შეადგენს ამხ სტალინის მითითებათა შემდგომი კონკრეტიზაცია ბრიგადებში, ცვლებში და ჯგუფებში.

ჩვენ დაკვრითი წესით მოვკიდეთ ხელი საორთქლმავლო პარკის გაჯანსაღებას საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს იანვრის მოწოდების საფუძველზე და [illegible] **მოვსპეთ მუშაობის გაუპიროვნებული სისტემა საორთქლმავლო პარკში.**

გაქლიბვის ნახევარი წლის საწარმოო პროგრამა ჩვენ 100 პროცენტით შევასრულეთ, სამგზავრო ვაგონების წლიური გასინჯვის პროგრამა—102,4 პროცენტით. სამგზავრო ორთქლმავლის დღე-ღამის საშუალო გარბენა ჩვენ ივნისში ავიყვანეთ 276,9 კილომეტრამდე, მაშინ, როდესაც დავალება უდრიდა 260 კილომეტრს. ორთქლმავლების გაცდენა გარეცხვის დროს ივნისში ავიყვანეთ 42 საათსა და 54 წუთამდე, დავალება კი უდრის 46 საათს. ორთქლმავლების გაცდენა საერთოდ დეპოში დაყვანილია 7 საათ. და 42 წუთამდე, მაშინ, როდესაც დავალება უდრის 8 საათ. 23 წ.

საბარგო ორთქლმავლის საექსპლოატაციო ბრუნვა ივნისში დავიყვანეთ 19 საათამდე, მაშინ, როდესაც თებერვალში იგი უდრიდა 34 საათს.

საბარგო ორთქლმავლის დღე-ღამის საშუალო გარბენა იანვარში შეადგენდა 162 კილომეტრს, ივნისში კი 206,8 კილომეტრს.

ამასთან ერთად ჩვენთან ჯერ კიდევ აქვს ადგილი ორთქლმავლების რემონტის არა დამაკმაყოფილებლად შესრულების და ორთქლმავლის არა საკმარის მოვლა-პატრონობის შემთხვევებს. ავადმყოფ ორთქლმავლების რიცხვმა ივნისში 6 პროცენტით გადააჭარბა დავალებას.

### დაზგების და ინსტრუმენტების გაუპიროვნება

ორთქლმავლის გაუპიროვნება ჩვენ მოვსპეთ, მაგრამ დაზგების და ინსტრუმენტების გაუპიროვნება ჩვენთან ცოცხალია დღესაც.

დეპოს დაზგების 25 პროცენტი გაუპიროვნებულია, არ სწარმოებს დაზგების წინასწარი გამაფრთხილებელი რემონტი, არავინ ადევნებს თვალყურს სამეურნეო ინვენტარს, ახაწევ ონკანებს, ტუმბებს და დომკრატებს. გაუპიროვნებული მუშა-ინსტრუმენი მეტად დაბალი ხარისხისაა, რაც ცუდ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე და ორთქლმავლების რემონტის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა გაუპიროვნებული სავაგონო მეურნეობის მხრივ. **საბარგო ვაგონების რემონტი ტეხნიკური გასინჯვის პუნქტების გაუქმების გამო გაუპიროვნებულია.** ჩვენ მთელი თავისი კატეგორიულობით ვაყენებთ ამ საკითხს სატრანსპორტო ორგანიზციების წინაშე და მოვითხოვთ ვაგონების რემონტის და გასინჯვის სტრუქტურას, რომელიც მოსპობს გაუპიროვნებას.

ჩვენ მოვსპეთ მანქანათა ნაწილების გაუპიროვნება და **მონტიორები და ზეინკალთა სარემონტო ბრიგადები მივამაგრეთ ორთქლმავლის ნაწილებზე. ამან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რემონტის ხარისხი და ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდას.** მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ დაგვავიწყდა, რომ დეპოს დამხმარე საამქროების მონტიორები გაუპიროვნებული არიან. ამის გამო ამ საამქროებში მუშაობა სწარმოებს უგეგმოთ.

ლენინგრადის სტალინელების პასუხად ჩვენ ბოლშევიკურად ვიწყებთ ამხ. სტალინის მითითებათა განხორციელებას და **დღეიდან დამხმარე საამქროების ყველა მონტიორებს ვყოფთ დამოუკიდებელ ხელმძღვანელ ერთეულებად, რომლებიც დაქვემდებარებულნი იქნებიან უშუალოდ დეპოს უფროსის თანაშემწისათვის რემონტის დარგში. მონტიორები პერსონალურად იქნებიან პასუხისმგებელნი დეტალების რემონტისათვის.**

ორთქლმავლების ნაწილების გაქლიბვა აგრეთვე გაუპიროვნებული იყო. **ეხლა ჩვენ გამოვყავით ამ საქმის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.**

დეპოს დიდი და რთული მექანიზმები: ბეკერის დომკრატები, მოსაბრუნებელი წრე, სამჭედლო, ჩაქუჩი, კომპრესორი, ელექტრო-ონკანები ნახშ. მისაწოდებლად ორთქლმავლისათვის, სილის საშრობი მანქანა, ცენტრალიზაციაქმნილი გათბობის ქსელი დღემდე გაუპიროვნებული იყო. **ჩვენ ყველა მექანიზმებს და დეპოს ნაგებობებს ვამაგრებთ წევის დარგის მთელ რიგ ხელმძღვანელ მუშაკებზე მათი პერსონალური პასუხისმგებლობის ქვეშ.** ამას გარდა ჩვენ ვკისრულობთ უმოკლეს ვადაში გამოვყოთ მუშების წრიდან მტკიცე და მუდმივი შტატი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს და პასუხისმგებელი იქნება მექანიზმებისათვის.

### შრომის და ხელფასის ორგანიზაციის საკითხები

ჩვენთან ადგილი აქვს ასეთ ფაქტებს: საგარნიტურო ბრიგადის მე-6 თანრიგის ზეინკალი საათში იღებს 82 კაპეიკს, ხელნის ბრიგადის მე-6 თანრიგის ზეინკალი 78 კაპ. სადგუშო ბრიგადის მე-7 თანრიგის ზეინკალი—98 კაპ. ამავე დროს სავაგონო ბრიგადის მე-6 თანრიგის ხარატი საათში იღებს 58 კაპ., მე-6 თანრიგის მღებავები 1 მან. 14 კაპ. საათში.

მოყვანილი ციფრები ადასტურებენ კვალიფიციური მუშების ცალკე კატეგორიების ხელფასის შეუთანხმებლობას. ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელი ზეინკლები, ეს კი ხელმძღვანელი პროფესიაა დეპოში, მღებავებზე ნაკლებს იღებენ. ხარატები კი, ყველაზე უფრო კვალიფიციური მუშები, უფრო ნაკლებს იღებენ, ვიდრე მღებავები და ზეინკლები.

ჩვენ გადავწყვიტეთ გავამაგროთ დანორმების ორგანოები და შევავსოთ ისინი დაწინაურებული დამკვრელი მუშებით. **დანორმვის ბიუროს მთელი მუშაობის ძირიანად გარდაქმნის მიზნით ნორმების შემდგენი გადაყვანილნი იქნებიან საამქროებში.** ამით გაძლიერდება მონტიორის როლი დანორმვის და შეფასების საკითხებში. ამას გარდა ჩვენ წინადადებას ვიძლევით ყველა მუშები დაყოფილი იქნენ კატეგორიებათ მათი კვალიფიკაციის და შრომის პირობების აღრიცხვით. ამის საფუძველზე უნდა გატარდეს სატარიფო პოლიტიკა.

მეორე კვარტალში დეპოდან წავიდა 183 კაცი, უმთავრესად შავი მუშები. ჩვენ რკინისგზელთა პროფკავშირის ცეკას და გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე ვაყენებთ საკითხს იმის შესახებ, რომ გადასინჯული იქნეს სატარიფო ქსელი შავ მუშათა მიმართ.

ჩვენს დეპოში საწარმოო საამქროების შავი მუშებისათვის ჩვენ შემოვიღეთ პრემიალური სისტემა. ეს ხელს შეუწყობს მათი შრომის ნაყოფიერების ზრდას და მუშა-ხელის ცვალებადობის შემცირებას. ამრიგად, შავ მუშათა ჯგუფები მიმაგრებული იქნებიან წარმოებაზე და თანდათან გახდებიან კვალიფიციურ კადრებად.

მიუხედავათ იმისა, რომ ტრანსპორტის მუშაკთა ძირითადი კადრების ხელფასი უკანასკნელ ხანებში გაიზარდა, ჩვენი დეპოს ელექტრო-სადგურის კვალიფიციური მუშები ისევ 1928 წლის სატარიფო ცხრილის მიხედვით მუშაობენ და არა აქვთ არავითარი დამატებითი ხელფასი. ჩვენ წინადადებას ვიძლევით მუშების ამ ჯგუფებისათვის შემოღებული იქნეს სანარდო ან პრემიალური სისტემა.

### წარმოების რაციონალიზაციის შესახებ

**ელექტრო-ენერგიის ეკონომიის მიზნით ჩვენ ხის დამმუშავებელი საამქროს ყველა დაზგები გადავიყვანეთ ინდივიდუალურ ძრავებზე.** ღვედების, საზეთი მასალის, ელექტრო-ენერგიის, ლითონის და ტრანსმისიის დაზოგვა ყოველწლიურად მოგვცემს 2.000 მანეთს.

ჩვენ გავაუმჯობესეთ სპილენძის სახელოსნოს მუშაობა, სადაც მოვაწყვეთ სპეციალური ქურები და ამას გარდა ჩავატარეთ ხის ნახშირის მიწოდების მექანიზაცია.

ჩვენ მოსკოვ-ნიჟეგოროდის სადგურში საბარგო და სამანევრო ორთქლმავლების საინვენტარო პარკი 80 ორთქლმავლიდან შევამცირეთ 45 ორთქლმავლამდე, 35 ორთქლმავალი გადავეცით სხვა გზებს. ამით ჩვენ შევამცირეთ ჩვენი ძირითადი კაპიტალი, რომელიც მდგომარეობს ორთქლმავლის ღირებულებაში, 1.400.000 ათასი მანეთით. ამრიგად, ჩვენ შევამცირეთ ახალი ორთქლმავლების აგების საჭიროება და დავზოგეთ ქვეყნისათვის ორთქლმავლების ასაგებად საჭირო ლითონი.

### ახალი მუშების ჩაბმა წარმოებაში

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეხლა ველარ მივიღებთ მუშების იმ კადრებს, რომლებიც წინად ჩვენთან შეუკავშირებელი მოდიოდნენ. შეუკავშირებელი მუშა-ხელის ნაცვლად ჩვენ მუშების ახალი კადრების მიღება გადაწყვეტილი გვაქვს შეფობის ქვეშ აყვანილ კოლმეურნეობებთან სათანადო ხელშეკრულების დადების გზით. ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას გავგზავნოთ კოლმეურნეობებში საველე მუშაობის პერიოდში მუშათა ბრიგადები, კოლმეურნეობებიდან კი მოვიზიდოთ ზედმეტი მუშა-ხელი მისი ტრანსპორტზე მისამაგრებლად..

ამავე დროს ჩვენ წინადადებას ვაძლევთ კადრების განყოფილებას დასვას რაიონის წინაშე საკითხი ახალი მუშებისათვის სადგურთან საცხოვრებელი ბინების აგების შესახებ.

რა გავაკეთეთ ჩვენ დეპოში მუშაობის დარგში? ჩვენ მივაღწიეთ სილის საშრობი მანქანის მოწყობას, რომელიც ავტომატიურად აწვდის სილას ორთქლმავალს, ეს იძლევა 1.817 მანეთის ეკონომიას წელიწადში და სამი მუშა-ხელის დაზოგვას. სილის შეგროვების პროცესი შემცირებულია 5-ჯერ. სილის ხარისხი მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა, რითაც უზრუნველყოფილია სილის ხელსაწყოების გაფუჭების თავიდან აცილება ორთქლმავალზე.

ჩვენ უახლოეს პერიოდის ამოცანად ვისახავთ დიდი სახარატო დაზგისათვის ამწევი ონკანის დამატებას, ბეკერის დომკრატების ელექტროფიკაციას, მოსაბრუნებელი წრის ელექტროფიკაციას, საამქროდან საამქროში მასალების მიწოდების მექანიზაციას და არხების გაწმენდის მექანიზაციას, ამასთანავე ჩვენ მოვითხოვთ მოეწყოს დეპოში ორთქლმავლების ცხელი წყლით გარეცხვა, რაც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ შემოდგომა-ზამთრის გადაზიდვათა პერიოდში ორთქლმავლების გაცდენის ნორმა.

### ტეხნიკური ინტელიგენციის შესახებ

ჩვენი წარმოების პროცესებს ჩვენ საკმარისად არ ვიცნობთ. ჩვენს დეპოში საწარმოო-ტეხნიკური სწავლება არ სწარმოებს. ჩვენ ვქმნით ჩვენს ტეხნიკურ ინტელიგენციას დამკვრელებისა და საუკეთესო მუშებისაგან, მათი ტეხნიკუმებში და უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნის გზით, მაგრამ საკუთარი საწარმოო-ტეხნიკური ინტელიგენციის შექმნა უშუალოდ წარმოებაში ჩვენ არ შეგვიძლია. ამისათვის ჩვენ ჯერ არ გვაქვს არც ტეხნიკური და არც მატერიალური შესაძლებლობანი. ჩვენი მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ-ჯერობით განისაზღვრება მხოლოდ ჩვენი მუშების მომზადებით უმაღლეს სასწავლებლებისათვის, რისთვისაც შექმნილია მოსამზადებელი წრეები და კურსები.

წელს ეს კურსები გაიარა 16 მემანქანემ, 35 მემანქანის თანაშემწემ და 34 ზეინკალმა.

### მუშებისათვის კულტურული სამსახურის გაწევის საკითხები

რა გავაკეთეთ ჩვენ ამ დარგში? დეპოსთან ჩვენ გვაქვს კარგი საზაფხულო ბაღი, რომელშიაც ისვენებენ მუშები სადილის დროს და მუშაობის შემდეგ. ბაღში გახსნილია: დიდი საზაფხულო სასადილო 3.000 კაცისათვის, ბუფეტი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საბავშო მოედანი და საპარიკმახერო.

ამას გარდა ჩვენ გვაქვს მორიგი ბუფეტი, რომელიც მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს და სამსახურს უწევს საორთქლმავლო ბრიგადებს. ჩვენ გვაქვს საკუთარი ფეხსაცმელების შემკეთებელი სახელოსნო. ჩვენს სადგურში მუშაობდნენ საბავშო ბაგეები და საბავშო ბაღი. ჩვენ ყველა ბავშვები საზაფხულო პერიოდისათვის გავგზავნეთ კოლონიებში და ბარაკებში, სატრანსპორტო კოოპერაციის მოწყობის შემდეგ ჩვენ დეპოში გავხსენით დახურული განმანაწილებელი. ამას გარდა უშუალოდ სადგურში გვაქვს ორი მაღაზია და ერთი საპროდუქტო დუქანი.

**უკანასკნელ პერიოდში დახურულმა განმანაწილებელმა სამსახური გაუწია მუშებს ფართო მოხმარების საქონლით 85 პროცენტით.**

დეპოში ჩვენ გვაქვს დუში, სადგურში კი აბანო.

ჩვენი ყველაზე „ვიწრო ადგილია“—მუშათა ბინები. 1215 მუშიდან 400 საჭიროებს საბინაო ფართობს. ჩვენი საბინაო-სამშენებლო კოოპერაცია, რომელიც შეუერთდა საქალაქო კოოპერაციას და შემდეგ კი აღდგენილი იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებით, დღემდე უმოქმედობას იჩენს. **ჩვენ წინადადებას ვიძლევით დანაწილებული იქნას კოოპერატიული საბინაო სამშენებლო ორგანიზაციები და შეიქმნეს ჩვენი საკუთარი სატრანსპორტო საგზაო საბინაო კოოპერაცია.**

ჩვენ მიზნად ვისახავთ, სტალინის სახელობის ქარხნის მუშების მსგავსად, ჩავაბად დამკვრელი მუშები საბინაო მშენებლობისათვის პაის დაგროვების საქმეში.

ჩვენი დეპოს მეორე „ვიწრო ადგილია“ —საზამთრო კლუბის და საზამთრო სასადილოს უქონლობა. **ჩვენ მივმართავთ რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტს და კურსკის რკინის გზის დირექციას წინადადებით დააჩქარონ საზამთრო კლუბის და სასადილოს მშენებლობა.**

ჩვენ წინადადებას ვიძლევით ხაწრაფოდ იქნას დამუშავებული საკითხი ჩვენთან სამრეცხაოს მოწყობის შესახებ სპეც-ტანსაცმელის გასარეცხათ.

### სამეურნეო ანგარიში

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი ბრიგადა დიდ როლს, თამაშობს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებაში ჩვენი მეურნეობის ყველა დარგებში. პირველი ივნისიდან ჩვენ სამეურნეო ანგარიშზე გადავიყვანეთ სამი ორთქლმავალი, პირველი ივლისიდან კიდევ 4 ორთქლმავალი.

ყველა საამქროების მონტიორებისათვის ჩვენ შევიმუშავეთ სპეციალური წიგნები, რომლებშიაც ყოველდღიურად იწერება საწარმოო პროგრამის შესრულება, თვითღირებულების დაკლება და სხვა.

**ჩვენ უკვე მოვამზადეთ და უახლოეს დღეებში შევუდგებით სამეურნეო ანგარიშის ხელშეკრულებების დადებას საორთქლმავლო და სარემონტო ბრიგადებს შორის.**

**ჩვენ ვიღებთ ამხ. სტალინის სახელობის ლენინგრადის ქარხნის გამოწვევას და ვკისრულობთ ჩვენი დეპო გადავაქციოთ სამეურნეო ანგარიშის დეპოდ.**

ჩვენ ვკისრულობთ ბოლშევიკურად გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება ამხ. სტალინის მითითებათა საუკეთესოდ, სანიმუშოდ გატარებაზე.

**ჩვენი საუკეთესო პასუხი იქნება კომუნისტური პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ისტორიულ სიტყვაზე საბრძოლო მზადყოფნა შემოდგომა-ზამთრის ტვირთიდვისათვის.**

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ გადავწყვეტთ ამ ამოცანას.

**ჩვენ ვიწვევთ ქ. ვლადიმირის დეპოს სოციალისტურ შეჯიბრებაში ამხ. სტალინის მითითებათა საუკეთესოდ და საჩქაროდ განხორციელებისათვის ტრანსპორტზე.**

წერილი განხილული და მიღებული იქნა ინჟენრების, ტეხნიკოსების, შტატების, მონტიორების, ბრიგადირების და ყველა ჯგუფების და ცვლების კრებაზე.

# სამოქალაქო ავიაციის დეკადა ჩაშლის საფრთხის წინაშეა

## საქართველოს პროფსაბჭომ ჩაშალა სტალინის სახელობის ქარხნის მუშების მიერ თბილისის საჰაერო სადგურზე შეფობის აღების ზეიმი

### შეფობის აღება ჩაიშალა

ამიერ - კავკასიის საჰაერო ხაზების სამმართველოს მოლაპარაკების შედეგად საქ. პროფსაბჭოს მასიურ სექტორთან, იმის შესახებ, რომ სტალინის სახელობის ქარხანაში უკვე ჩატარებულ იქნა სათანადო პროპაგანდა სამოქალაქო ავიაციის იდეების განვითარების შესახებ, 22 ივლისისათვის პლეხანოვის სახელობის კლუბში დანიშნული იყო საზეიმო სხდომა ქარხნის მუშების; მიერ თბილისის ჰაერო-სადგურზე შეფობის აღების გამო.

აღმოჩნდა, რომ პროფსაბჭოს მასიურ სექტორს ამ მიმართულებით სრულიად არაფერი გაუკეთებია, სამოქალაქო ავიაციის დეკადის განმავლობაში ქარხანაში არც ერთი დირექტივა არ ყოფილა გაგზავნილი, აგრეთვე ქარხნის არც ერთ ნაბეჭდ და 23 კედლის გაზეთში არ ყოფილა მოთავსებული არც ერთი წერილი დეკადის შესახებ.

ამის შედეგად სხდომაზე 4.500 მუშიდან გამოცხადდა მხოლოდ 30—40 კაცი. 2 საათის უქმად ლოდინის შემდეგ (არ გამოცხადდა პროფსაბჭოსა და რკინისგზელთა პროფკავშირის არც ერთი წარმომადგენელი) უკმაყოფილო მუშები დაიშალნენ. კრებაზე არ გამოცხადდა არც ქარხნის პარტუჯრედის მდივანი, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა ა.-კ. საჰაერო ხაზების სამმართველოს წარმომადგენელთან მომავალი საზეიმო სხდომის შესახებ.

ამრიგად, პროფსაბჭოს მასიური სექტორის აღმაშფოთებელი უპასუხისმგებლობის წყალობით, სტალინის ქარხნის სახელობის მუშების მიერ თბილისის ჰაერო - სადგურზე შეფობის აღების ზეიმი ჩაიშალა.

### საქართველოს პროფსაბჭო ანგარიშს არ უწევს მასების ენტუზიაზმს

თბილისის პროლეტარიატი სამოქალაქო ავიაციის დახმარებაში დიდ ენტუზიაზმს იჩენს. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ, აერო-სადგურის შეფობას სტალინის სახელობის ქარხნის მუშები იკისრებდნენ, ტრამვაის, 26 კომუნარის სახელობის ქარხნის, ფეხსაცმელის ფაბრიკისა და ახალი აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშები, რომლებმაც არ იცოდნენ ეს ამბავი, მიმართავდნენ საქართველოს პროფსაბჭოს მასიურ განყოფილებას თხოვნით, რომ დაემტკიცებინათ მათთვის ახლად შენებული აერო-სადგურის შეფობა. მაგრამ პროფსაბჭოს მასიური სექტორი, ნაცვლად იმისა, რომ გამოეყენებია მასების ენტუზიაზმი სამოქალაქო ავიაციისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში, მუშების ყველა მიმართვა კმაყოფილდებოდა მშრალი ბიუროკრატიული ინფორმაციით—„შეფობა უკვე მიეკუთვნა, სტალინის სახელობის ქარხანას“-ო.

# გავამახვილოთ ყურადღება ავიაციის ათდღიურის გარშემო

**ქუთაისი**, 21 ივლისი. სამოქალაქო ავიაციის ათდღიურის ჩატარება ქუთაისში დაგვიანებით სახელდობრ 25 ივლისს იწყება. ათდღიურის ჩატარების მოსამზადებელ მუშაობაში ჯერჯერობით მონაწილეობას არ ღებულობენ პროფკავშირები, თავდაცვა-ავიაქიმი, ავტო-ტრანსპორტი, ქალაქის საბჭოს ჯერ არა აქვს დირექტივები ათდღიურის ჩატარების შესახებ. მხოლოდ დღეს მოეწყო ქალაქის საბჭოსთან ავიოკანძის მშენებლობის ხელშემწყობი მუდმივი კომიტეტი, რომელსაც დაეკისრა ათდღიურის ხელმძღვანელობა. კომკავშირმა ინიციატივა აიღო მოხსენების, საუბრების და შაბათობების ჩატარებაში. გაზეთის რედაქციამ დაიწყო ათდღიურის მნიშვნელობის გაშუქება სდგება ათდღიურის ჩატარების ვრცელი გეგმა (ადს).

# სოციალისტური შეჯიბრება უკრაინასა და ამიერ-კავკასიას შორის

ხარკოვის საავიაციო სადგურის მშენებლობაში ჩაბმულმა მუშებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბაქოს ჰიდრო-აეროდრომის და თბილისის საავიაციო სადგურის მშენებლობაში ჩაბმული მუშები.

ბაქოელებმა მიიღეს გამოწვევა. შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლება ის ქალაქი, რომელიც ვადაზე ადრე დაამთავრებს საავიაციო სადგურების აგებას, უკეთ მოაწყობს მას და სხვ.

თბილისის საავიაციო სადგურის სამშენებლო სამუშაოებზე ჯერ მსჯელობაც კი არ ჰქონიათ იმის შესახებ, მიიღონ თუ არა ხარკოველების გამოწვევა. თბილისის საავიაციო სადგურის მშენებლობა ყოველმხრივ ჩამორჩენილია.

საჭიროა საავიაციო სადგურის მშენებლობაში ჩაბმულმა მუშებმა დასვან ეს საკითხი საერთო კრებაზე და დაჩქარებით გასცენ პასუხი ხარკოველ მუშების გამოწვევას.

# გამოვიყენოთ მუშათა ინიციატივა

### მიბაძეთ „ხის ნაწარმის“ მუშებს.

ქარხანა „ხის ნაწარმის“ მუშებმა, სამოქალაქო ავიაციის დეკადის ჩატარებასთან დაკავშირებით მოწვეულ მიტინგზე ერთხმად დაადგინეს, გადასდონ 4 საათის სამუშაო ხელფასი სამოქალაქო ავიაციის მშენებლობის ფონდის გასაძლიერებლად.

მუშებმა თავიანთი დადგენილება აუწყეს პროფსაბჭოს და ასეთივე დადგენილების გამოსატანათ გამოიწვიეს თბილისის სხვა საწარმოები.

„ხის ნაწარმის“ მუშებს უნდა მიბაძონ დანარჩენი ქარხნების მუშებმაც.

### კომკავშირელებმა მოაწყვეს ბრიგადა.

ა.-კ. სანტეხმშენის ხამონტაჟო განყოფილების კომკავშირელმა მუშებმა გამოყვეს სპეციალური ბრიგადა, რომელიც იგზავნება თბილისის საავიაციო სადგურის სამშენებლო სამუშაოებზე.

ბრიგადის ჩამოყალიბება უკვე დამთავრდა და ამ დღეებში ისინი გასული იქნებიან სამუშაოებზე.

### ახალი აეროპლანების აგება.

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭომ წინადადება მისცა საზოგადოების ქვემდებარე უჯრედებს, რომ შეუდგენ თანხების გამონახვას ორი ახალი აეროპლანის ასაგებათ.

თვით თბილისის საბჭოს მუშა-მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს ორი ახალი აეროპლანის — „კომინტერნის მე-11 პლენუმი“-ს და „თბილისის თავდაცვა-ავიაქიმი“-ს ასაგები ფონდის გასაძლიერებლად გადასდონ ერთი დღის ხელფასი.

საჭიროა დანარჩენმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც მიბაძონ თბ. თავდაცვა ავიაქიმის საბჭოს მაგალითს.

ფართო მასებში იზრდება ინტერესი დი[illegible]ლობისადმი—ს[illegible]დენტები ათვალიერებენ დირიჟაბლის მოდელს

# 1-ლი საჰაერო ხაზი კავკასიონზე

აგვისტოს პირველ რიცხვებში იწყება გამოკვლევები თბილისისა და მინერალურ წყლებს შორის პირდაპირი საჰაერო ხაზის მოსაწყობათ. აეროპლანების მიმოფრენა აღნიშნულ ხაზზე იწარმოებს მერიდიონალური მიმართულებით. თბილისიდან აეროპლანები გაფრინდებიან კავკავისაკენ, სადაც მოწყობილი იქნება აეროდრომი, იქიდან—პირდაპირ მინერალურ წყლებზე.

თბილის-მინერალური წყლების საჰაერო ხაზი ითვლება ერთ ყველაზე უფრო უმაღლეს ხაზათ მთელ საბჭოთა კავშირში. აღნიშნული ხაზი გაივლის მუდმივ მყინვარებზე და უმაღლეს მწვერვალებზე. უკანასკნელ წლებამდე კავკასიონის მთაგრეხილი ითვლებოდა აეროპლანისათვის მიუწვდომელ ადგილათ და დღემდე მხოლოდ რამოდენიმეჯერ გადაფრინდნენ კავკასიონზე.

აღნიშნულ მიმართულებით ხაზს ექნება 160 კილომეტრი სიგრძე. აქედან 100 კილომეტრამდე მანძილი მოდიან მთიან ადგილებზე, მყინვარებზე და ტოპოგრაფიულად თითქმის სრულიად შეუსწავლელ ადგილებზე.

გამოკვლევების ჩატარებას განსაკუთრებულად გააძნელებს ის გარემოება, რომ საჰაერო ხაზს მოუხდება ისეთ ადგილებზე გავლა, სადაც ძნელია გამოკვლევის ჩასატარებლად მისვლა. ხაზის მშენებლობას დააბრკოლებს მეორე გარემოებაც: ამ ხაზზე საჭირო იქნება მეტი აეროპლანების დასაშვები ადგილების გამონახვა, ვიდრე სხვა ხაზებზე. დასაშვები ადგილების გამონახვა კი ძნელი იქნება თუ ადგილობრივმა მოსახლეობამ არ აღმოუჩინა ფართო დახმარება საგამოკვლევო პარტიას.

საჭიროა ამ თავითვე იქნეს მიღებული ზომები, რომ საგამოკვლევო პარტია უზრუნველყოფილი იქნეს გამყოლებით, გადასაზიდი საშუალებებით და მთიანი ადგილების მცოდნეთა დახმარებით. მთიან ადგილებში მდებარე რაიონულმა ხელისუფლებამ და სასოფლო საბჭოებმა უნდა გამოყონ გამოკვლევებისათვის ხელის შემწყობი კომისიები, რომლებსაც დაევალებათ საჰაერო ხაზის გამოკვლევასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება.

# უნდა ჩამოყალიბდეს სამოქალაქო ავიაციის ხელის შემწყობი საზოგადოება

სამოქ. საავიაციო მშენებლობა აღიარებულია 5 წლედის ერთ-ერთ საპასუხისმგებლო ფრონტად. საავიაციო სადგურების, აეროდრომების და აეროპლანების დასაშვები მოედნების მოწყობა აღიარებულია პირველ რიგის გადაუდებელ სამუშაოებათ.

ამიერ კავკასიაში საავიაციო მშენებლობის საქმეს უდიდესი ეკონომიურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ავია-ხაზების საშუალებით ამიერ-კავკასია კიდევ უფრო მჭიდროთ დაუკავშირდება მოკავშირე რესპუბლიკებს, სამრეწველო რაიონებს და კავშირის მთავარ ცენტრებს. მიუხედავათ ამისა, სამოქალაქო ავიაციის მნიშვნელობა ჩვენში ჯეროვნად კიდევ ვერაა შეფასებული. ამის დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს თბილისის საავიაციო სადგურის მშენებლობა, რომლის საქმე ნიადაგზე დაყენება ჯერაც ვერ მოხერხდა.

მსგავსად სხვა რესპუბლიკებისა, ამიერ-კავკასიაში, სამოქ. ავიაციის დეკადის დასაწყისშივე, უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული სამოქალაქო ავიაციის მშენებლობის ხელის შემწყობი ა.-კ. საზოგადოება. ცალკე ქალაქებში ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო ადგილობრივ საავიაციო მშენებლობის ხელის შემწყობი კომისიები.

დეკადის დასასრულამდე მხოლოდ რამოდენიმე დღე დარჩა, მაგრამ არც საზოგადოება და არც დამხმარე კომისიები (გარდა ქალ. ქუთაისისა, რომელიც დაწინაურდა საქართველოს ქალაქებს შორის) არსადაა ჩამოყალიბებული.

სამოქალაქო ავიაციის დეკადის სუსტი მსვლელობა ამიერ-კავკასიაში აიხსნება იმ გარემოებითაც, რომ არ არსებობს ერთი ხელმძღვანელი ცენტრი, რომელიც თვალყურს უნდა ადევნებდეს დეკადის მსვლელობას, ცდილობდეს მის ხელის შემშლელ გარემოებათა თავიდან აცდენას და სხ. ხელის შემწყობ საზოგადოებას დაევალება სამოქალაქო ავიაციის განვითარებაზე ყოველ დღიური ზრუნვა და რომ იგი ამჟამად ჩამოყალიბებული იყოს და მუშაობდეს ეჭვი არაა დეკადის მსვლელობა უფრო გაცხოველებული იქნებოდა.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოვახდინოთ სასწრაფო და რადიკალური გარდატეხა პურის დამზადებაში

## პურის დამზადების ივლისის თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 2,2 პროცენტით

### 23 ივლისი

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ პურის დამზადების ტემპები უკანასკნელ ხუთდღიურის განმავლობაში ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. მართალია უკანასკნელმა წვიმიანმა ამინდებმა შეაფერხა პურეულის მკა და ლეწვა, მაგრამ ჩამორჩენის მიზეზი მარტო ეს არ არის. მთელი რიგი რაიონები მოუმზადებელნი შეხვდნენ პურის დამზადებას. სუსტად სწარმოებს ახსნა-განმარტებითი მუშაობა პურის დამზადების ირგვლივ, მოუწესრიგებელია მიმღები პუნქტები, არ ხდება ადგილობრივი ტარის მობილიზაცია და არ არის დამკვრელი ტემპები აღებული პურეულის მკის და ლეწვის დაკვრითი წესით გაშლისათვის.

20 ივლისისათვის, არსებული ცნობების თანახმად, პურის დამზადება დაწყებულია მხოლოდ სიღნაღის და ბორჩალოს რაიონებში, დამზადებულია სულ—432 ცენტნერი, ანუ ივლისის გეგმის მხოლოდ—2,2 პროცენტი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა დამზადებული პურის დამამზადებელ პუნქტებისათვის ჩაბარებას; მთელ რიგ რაიონებმა დღემდე ვერ გაიგეს, რომ „მხოლოდ ის პური ჩაითვლება დამზადებულად, რომელიც არ ჩარჩება შორეულ პუნქტებში, რომელიც მიტანილი იქნება სადგურებთან, ელევატორებთან, წისქვილებთან". (საქ. კ. პ. (ბ) 15 ივლისის დადგენილებიდან).

გარდა ამისა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ზოგან საკმაო სიფხიზლეს არ იჩენენ კულაკურ და შეძლებულ მეურნეობათა გამოაშკარავების და მათთვის მტკიცე დავალებების მიცემის საქმეში. გურჯაანის რაიონში არის სოფლები, სადაც დღემდე არც კი დაუმუშავებიათ კულაკთათვის მტკიცე დავალებების მიცემის საკითხი (იხ. შენიშვნა „ბაკურციხეში კულაკები არ არიან").

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობებმა მიზნად უნდა დაისახონ პურეულის მომკა-გალეწვის უახლოეს დღეებში დამთავრება და პურის დამზადების წლიური გეგმის ვადამდე შესრულება.

გასულ წელს პურის დამზადების ნორმალურ მსვლელობას აფერხებდა მიმღები პუნქტების მუშაობის მოუქნელობა და ბიუროკრატიზმი. მრავლად იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მიმღებ პუნქტებში ჩასაბარებლად მიტანილი პური, უკანვე მიქონდათ კოლმეურნეობებს და ღარიბ, საშუალო გლეხებს. ამ ბოროტმოქმედებას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო.

მომარაგების სახალხო კომისარიატმა, მემინდვრე-მესაქონლეობის კავშირმა და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პურის დამზადებისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევას. ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული გასული წლების გამოცდილება. შემხვედრი გეგმების წამოყენება და წითელი ქარავნების მოწყობა უნდა გაიშალოს, რაც შეიძლება ფართოდ და თვალსაჩინოდ. უნდა მოეწყოს იმ კოლმეურნეობათა დაჯილდოვება, რომელნიც ვადამდე და სამაგალითოდ შეასრულებენ პურის დამზადების წლიურ გეგმას.

პურის დამზადების მიმდინარეობა აშკარად არადამაკმაყოფილებელია. მხოლოდ ნამდვილი ბოლშევიკური ტემპების აღებით შეიძლება იმ ჩამორჩენის ლიკვიდაცია, რომელიც მიმდინარე თვეში გვაქვს.

### 20 ივლისისათვის დამზადებული იყო 432,3 ცენტნერი პურეული

მემინდვრეობა - მესაქონლეობის კავშირის ცნობით, ივლისის მეოთხე ხუთდღიურში დამზადებული იქნა სულ 230,3 ცენტნერი პურეული, რაც ივლისისთვის გათვალისწინებულ დამზადების გეგმა 1,1%-ს შეადგენს. აქედან კოლმეურნეობებმა დამზადეს 67 ცეტნერი, კონტრაქტანტებმა—30 ცეტნერი, კულაკურმა და შეძლებულმა მეურნეობებმა 113,7 ცეტნერი და თავისუფალი დამზადებით 19,6 ცენტნერი.

კამპანიის დაწყებიდან დამზადებულია სულ 432,3 ცეტნერი პურეული, რაც დამზადების მთლიანი გეგმის 0,2 პროც. და ივლისისათვის გათვალისწინებულ გეგმის 27,2 პროც. შეადგენს.

აქედან სიღნაღის რაიონს დამზადებული აქვს სულ 314 ცენტნერი ანუ დამზადების მთლიანი გეგმის 0,8%, ბორჩალოს რაიონს— 118 ცენტნერი, ე. ი. გეგმის 1,3%. დანარჩენ რაიონებში პურეულის დამზადება ჯერ არ დაწყებულა. დამზადების გაშლა დიდათ შეაფერხა წვიმიანმა ამინდებმა. ადგილიებიდან მიღებული ცნობების თანახმად წვიმებმა შეაფერხეს არა მარტო დამზადება, არამედ მომკაც და გალეწვაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთელი რიგი რაიონები არ აგზავნიან ცნობებს პურის დამზადების მიმდინარეობის შესახებ, რაც დიდად აფერხებს დამზადებისათვის სწორი ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევას.

### „ბაკურციხეში კულაკები არ არიან"

(გურჯაანის რაიონი)

პურის დამზადებისათვის წინასწარი მუშაობა სოფ. ბაკურციხის საბჭოს ფარგლებში სუსტად ჩატარდა. გეგმის თანახმად წელს აქ უნდა დამზადდეს 2.000 ფუთ პური, დღემდე ფაქტიურად არაფერი არ არის დამზადებული.

**სოფლის საბჭოს დღემდე არ აღურიცხავს კულაკური და შეძლებული მეურნეობანი და არ დაუმუშავებია მათთვის მტკიცე დავალების მიცემის საკითხი. დღემდე არც ერთ კულაკს და შეძლებულს არ მისცემია მტკიცე დავალება.** ბაკურციხის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის განცხადებით **„ბაკურციხეში კულაკები არ არის და მტკიცე დავალებასაც ვერავის მივცემთ"-ო.** ეს ხდება მაშინ, როდესაც ბაკურციხის თემში იმყოფება 20-მდე ინდივიდუალურად დაბეგრილი კულაკური და შეძლებული მეურნეობა.

**ამ მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკას** დაუზოგავად უნდა დავარტყათ, კულაკები და შეძლებულები მთლიანად უნდა გამოვააშკარაოთ და ვაიძულოთ ისინი დაუყოვნებლივ ჩააბარონ პური სახელმწიფოს.

ი. ბურაშვილი

### გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ

მიუხედავად კულაკების გამძაფრებული პროვოკაციისა, წითელ-წყაროს სასოფლო-საბჭომ, პარტიის სწორი ხელმძღვანელობით, კოლმეურნეების და ღარიბ-საშუალო გლეხობის მჭიდროთ დარაზმვით, გასულ წელს 21.000 ფუთის ნაცვლად დაამზადა 25000 ფუთი.

წელს კი ხსენებულ სას. საბჭომ გეგმის მიხედვით უნდა დაამზადოს 320000 ფუთი პური და ქერი. ამ რაოდენობიდან—18.000 ფუთი დაკონტრაქტებულია.

საკითხი პურის დამზადების შესახებ განხილული და დამუშავებული იქნა სას. საბჭოს სხდომაზე, პარტიულ და კომკავშირის უჯრედებში, ღარიბთა ჯგუფებში, კოლმეურნეებში და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასებში. კრებებზე პურის დამზადების გეგმებს დიდის ხალისით შეხვდნენ.

პურის დამზადების გეგმები უკვე დაყვანილია სოფლამდე და კოლმეურნეობამდე. მიცემული აქვთ მტკიცე დავალება კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს.

საჭიროა აღვნიშნოთ ნაკლოვანებები: პურის დამზადებისათვის წითელ-წყაროში არ მოიპოვება ტომრები საკმაო რაოდენობით, პურის მკის დროს არ არის რაციონალურად გამოყენებული ცოცხალი და მექანიკური გამწევი ძალა და სხვ.

ყველა ეს გამოსწორებული უნდა იქნას უახლოეს დღეებში.

შ. ოზაშვილი.

### დამკვრელი მიმღები პუნქტები

(გომი)

პურის თავის დროზე აკრეფის და დამზადების საქმეში ხელის შესაწყობად და დამზადებაში კლასობრივი ხაზის დამახინჯებების გამოსააშკარავებლად და მათთან საბრძოლველად, გომის „ხოიუზხლების"-ს მიმღები პუნქტების მუშა-მოსამსახურეებმა თავი დამკვრელად გამოაცხადეს.

ამავე მიზნით, მათ სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ევლახის, ახალქალაქის, ხანდარას და წნორის პურის მიმღები პუნქტების მუშა-მოსამსახურენი.

ს. პ.

### ვაყენებთ შემხვედრ გეგმას

(მეჯვრისხევი, გორის რაიონი)

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა პურის დამზადების წარმატებით დამთავრებისათვის ჩატარდა ყველა ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებში და ღარიბ, საშუალო გლეხებში. საბჭოს პურის დამზადების საკონტროლო ციფრი მიეცა 11.150 ფუთის რაოდენობით, ეს დავალება მეჯვრისხევის საბჭოს მიერ შემხვედრი გეგმით გადიდებულ იქნა 13070 ფუთამდე.

3 კულაკურ და 94 შეძლებულ მეურნეობებს მტკიცე დავალების სახით მიეცათ 4.900 ფუთი. კულაკური და შეძლებული მეურნეობები გაფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ პურის დამზადების წინააღმდეგ. ისინი თავს არიდებენ საკუთარი პურის ჩაბარებას და ავრცელებენ ათასგვარ პროვოკაციებს.

ადგილობრივი კომკავშირის ორგანიზაცია მოუმზადებელი შეხვდა პურის დამზადებას. იყო შემთხვევა, როდესაც კომკავშირელი გამოვიდა პურის დამზადების წინააღმდეგ.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პურის დამზადების შემხვედრი გეგმა შესრულდეს მთლიანად და ვადამდე.

მ. ჩ.

## სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების დაჯილდოების შესახებ

### 1931 წლის საგაზაფხულო თესვისა და მოსავლის აღების კამპანიასთან დაკავშირებით

(ა.-კ. ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება)

1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო თესვისას და მოსავლის აღების კამპანიის გეგმის წარმატებით შესრულების გამო, აგრეთვე სოფლის სოციალისტურ სექტორში სოცშეჯიბრებისა და საბრძოლო ტემპების (დამკვრელობის) განმტკიცებისათვის, ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესდეს ა.-კ. ცაკის სახელობის პრემიების მიცემა ისეთ რაიონებისათვის, მსხვილ საბჭოთა მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებისათვის, აგრეთვე საწარმოო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის, რომლებმაც თავი ისახელეს 1931 წლის საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო თესვისა და მოსავლის აღების კამპანიის დამთავრების საქმეში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული პრემიების ორგანიზაციისა და გაცემისათვის ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმთან დაარსდეს საპრემიო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ-ები: სულთანოვი (თავმჯდომარე), ეზიროვი, ავისი, გეურქოვი და ცხაძე.

3. საპრემიო კომისიის განკარგულებაში გამოიყოფა 1930 წლ. შემოდგომის სასოფლ.-სამეურნეო კამპანიის ა.-კ. ცაკის პრემიალური ფონდის სახსრები.

4. ა.-კ. ცაკის სახელობის პრემიები გაიცემა ა.-კ. ს.ს.ფ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების ცაკების წარდგენით.

5. ა.-კ. ცაკის სახელობის პრემიებს შეადგენენ:

ა) ა.-კაცკ. სახელობის გარდამავალი დროშა.

ბ) სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლება ან შეღავათების მიცემა სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გადახდაში.

გ) სესხის მიცემა შეღავათიან პირობებში და

დ) რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

6. ა.-კ. ს.ს.ფ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები ადგენენ იმ რაიონების, მსხვილ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებისა და საწარმოო კოოპერატიული ამხანაგობების სიებს, რომელნიც დაჯილდოებულ უნდა იქნენ, პრემიის სახის აღნიშვნით, ხოლო რთული სასოფლო - სამეურნეო მანქანების პრემიად მიცემის დროს — ამ მანქანების ზუსტი დასახელებისა და მათი ღირებულების აღნიშვნით ხსენებული მანქანები გაიცემა ა.-კ. ს. ს. ფ. რესპუბლიკაში 1930 — 31 წელს შემოტანილ კონტინგენტიდან.

აღნიშნული სიები ვრცელი ახსნა - განმარტებითი ბარათებისა და იმ მასალების თანდართვით, რომლებიც აშუქებენ გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო თესვისა და მოსავლის აღების კამპანიის მიმდინარეობას და შედეგებს, იგზავნება ა.-კ. ცაკთან არსებულ საპრემიო კომისიაში განსახილველად და პრემიების მისაცემად.

7. წინადადება მიეცეს ა.-კ. ს.ს.ფ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების ცაკებს.:

ა) პრესის, კინოს, რადიოს და სხვ. საშუალებით ფართოდ გააცნონ მოსახლეობას იმათი ვინაობა, რომლებმაც თავი ისახელეს გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო თესვისა და მოსავლის აღების კამპანიის ჩატარებისა და მისი სწრაფად განხორციელების საქმეში.

ბ) მიიღონ ზომები იმისათვის, რომ პერიოდულმა პრესამ, განსაკუთრებით გლეხურმა, აგრეთვე კედლის გაზეთება ფართოდ გააშუქონ სოცშეჯიბრების მიმდინარეობა და პრემიაზე წარსადგენ ორგანიზაციების მუშაობა და დაუნდობელი ბრძოლა აწარმოონ ცრუ დამკვრელობასთან.

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ა. ანანიანი.
ა.-კ. ს. ს. ფ. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.
ა.-კ. ცაკის მდივანი სულთანოვი.

(ადს).

## პასუხი აგეს მდინარის ტრანსპორტის შესახებ

### არსებული დადგენილების შეუსრულებლობისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიამ და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ მოისმინეს მოხსენება ა.-კ. მდინარის ტრანსპორტის სამმართველოს მიერ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1931 წლის 5 თებერვალს მდინარის ტრანსპორტის შესახებ გამოცემული დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგებზე. აღნიშნული დადგენილების შეუსრულებლობისათვის ა.-კ. სამხარეო საკ. კომისია —მუშათა და გლეხთა ინსპექციამ სასტიკი საყვედური გამოუცხადა შემდეგ პირებს:

მშენებლობის მთავარ ინჟინერს ამხ. რუდნევს, პასუხისმგებელ აღმასრულებელს ფლოტის ექსპლოატაციის საქმეში ამხ. ჩიკვაიძეს, მტკვრის აუზის მთავარ აგენტს ამხ. გრადოვსკის და სევანის აუზის მთავარ აგენტს ამხ. გასპარიანს (ადს).

## სახალხო მეურნეობაში ქალის შრომის გამოყენების შესახებ

### საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ბიუროს დადგენილება

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფმა ტემპებმა, სამრეწველო, სარკინიგზო და კომუნალური მშენებლობის დაჩქარებულმა ტემპებმა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ქსელის ფართო განვითარებამ, საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდამ, ჩვენი ქვეყნის საქონლის ბრუნვაში განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონის უაღრესად გადიდებამ უკანასკნელ წლებში, სოციალურ-კულტურული მშენებლობის გაძლიერებულმა ტემპებმა (სკოლები, საავადმყოფოები, კურორტები და სხვ.) უზრუნველჰყვეს უმუშევრობის ფაქტიური ლიკვიდაცია ჩვენ ქვეყანაში, ამასთან სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ახლავე საგრძნობი გახდა მუშა-ხელის ნაკლებობა.

ეს გარემოება, განსაკუთრებით სოციალისტური მშენებლობის შემდგომი, უფრო სწრაფი ტემპებით განვითარების ამოცანებთან დაკავშირებით, მთელი სიმწვავით აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად აღვრიცხოთ ყველა შრომითი რესურსები ჩვენი ქვეყნის შიგნით, რაც შეიძლება უფრო სრულად განვავითაროთ კადრების მომზადების საქმე და მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქალის შრომა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ი აღნიშნავს, რომ მიუხედავად მუშა-ხელის, განსაკუთრებით კვალიფიციური მუშა-ხელის, პრობლემის სიმწვავისა, საქართველოს საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების უმრავლესობა სრულიად არასაკმაო ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ყველა შრომითი რესურსების და განსაკუთრებით, ქალის შრომის გამოყენებას. საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ი ამ მოვლენას აფასებს, როგორც თვითმდინარების განწყობილების ყველაზე ცუდ გამოხატულებას მუშა-ხელის პრობლემის გადაჭრაში და როგორც ქალის, კერძოდ, ქალის შრომის მემარჯვენე ოპორტუნისტულ შეუფასებლობას საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგების სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

მიუხედავად თავის დროზე მოცემული დირექტივებისა, რომ დაემუშავებიათ კონკრეტული ღონისძიებები ქალის შრომის გამოყენებისათვის მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში და, სადაც შესაძლებელია, ქალის შრომის მამა-კაცის შრომით შეცვლისათვის,—დღემდე ორგანიზაციების უმრავლესობა ფორმალურად ეკიდება ამ დირექტივის განხორციელებას. ამის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ მაშინ, როცა, შრომის სახკომის ცნობებით, საქართველოში ითვლება 250 ათასამდე მუშა და მოსამსახურე, მასალა ამ დარგში ღონისძიებათა დასამუშავებლად შრომის სახკომს მიაწოდეს მხოლოდ 57 ორგანიზაციიდან, სადაც სულ ირიცხება 38.000 მუშა და მოსამსახურე.

აღნიშნული მომენტების მიხედვით, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ი ადგენს:

1. წინადადება მიეცეთ ყველა პარტიულ, კომკავშირულ, საბჭოთა, სამეურნეო, საკოლმეურნეო, კოოპერატიულ, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას ქალების შრომის გამოყენებისა და მათი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ჩაბმის მხრივ.

2. ამ მიზნით წინადადება მიეცეთ ყველა აღნიშნულ ორგანიზაციებს—დაუყოვნებლივ დასახონ კონკრეტული ციფრები ქალის შრომის გამოყენებისა ცალკე საწარმოებში (ქარხნები, ფაბრიკები, ახალმშენებლობანი, კომუნალური საწარმოები, სატრანსპორტო ორგანიზაციები, სახელმწიფო და კოოპერატიული მაღაზიები, დუქნები, საწყობები და სხვ.) და დაწესებულებებში და არა უგვიანეს 25 ივლისისა თავიანთი საუწყებო ცენტრების მეშვეობით საქართველოს შრომის სახკომს წარუდგინონ კონკრეტული მასალა ამ საკითხის გამო.

3. საქ. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებმა თვალყური ადევნონ ამ დირექტივის განხორციელებას და იკისრონ მთელი ამ მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა.

4. ყველა სამეურნეო საწარმოებმა (ფაბრიკები, ახალმშენებლობები, საბჭ. მეურნეობები და სხვ.), საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე, გარე სამუშაოზე გასვლის წესით კოლმეურნეობებში მუშა-ხელის შეგროვების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალის შრომის გამოყენებას.

5. მიწსახკომმა, მომარაგსახკომმა, ჯანსახკომმა,, განსახკომმა, სოცუზრუნველყოფის სახკომმა, ფოსტა-ტელეგრაფის სახკომის და საგარეო ვაჭრობის სახკომის რწმუნებულებმა საქართველოში და საქართველოს კომუნალური სამმართველოს უფროსმა უზრუნველჰყონ მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ საჭირო მასალის მიწოდება შრომის სახკომისათვის აღნიშნულ ვადაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ი გაფრთხილებას იძლევა, რომ ამ დირექტივის შესრულების დაგვიანება შეფასებული იქნება, როგორც მემარჯვენე გადახრის ყველაზე უხეში გამოხატულება პრაქტიკაში, და გამოიწვევს სათანადო პარტიული სასჯელის დადებას ორგანიზაციების იმ ხელმძღვანელ კომუნისტებზე, რომელნიც დაარღვევენ პარტიის დირექტივას ამ საკითხის შესახებ.

6. ეთხოვოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას—მუშგლეხინს—მოაწყოს ამ დირექტივის შესრულების შემოწმება და სათანადო სასჯელი დაადოს იმ პირებს, რომელნიც პერსონალურად დამნაშავენი იქნებიან ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების ჩაშლაში.

7. არასაკმაოდ ჩაითვალოს შრომის სახკომის და სახელმწ. საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი საკონტროლო ციფრი ქალების ჩაბმისა საქართველოს სასოფლო მეურნეობის ცალკე დარგებში 1931 წელს—20.000.

საჭიროდ იქნას ცნობილი ამ ციფრის აყვანა სულ მცირე 30.000-მდე და მიენდოს შრომის სახკომს, იმ მასალის მიხედვით, რომელიც მან უნდა მიიღოს ამ გადაწყვეტილების 1-ლი პუნქტის თანახმად, გაანაწილოს საკონტროლო ციფრი 20.000-ზე ზევით ცალკე დარგების, ორგანიზაციების, საწარმოების და პროფესიების მიხედვით.

8. იმ მიზნით, რომ არ შეფერხდეს პრაქტიკული მუშაობა ქალის შრომის გამოყენებაზე დაუყოვნებლივი გადასვლისათვის, წინადადება მიეცეს შრომის სახკომს—სამი დღის ვადაში, სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმების შემდეგ, გაანაწილოს 20.000 ქალი ცალკე ორგანიზაციებს შორის რაიონების მიხედვით.

რაიონობრივი საკონტროლო ციფრები იმ საწარმოების აღნიშვნით, რომელნიც ვალდებულნი არიან განახორციელონ ქალების ჩაბმის საკონტროლო ციფრები, 20 აგვისტომდე ეცნობოს აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ცაკებს, საქალაქო საბჭოებს და რაიაღმასკომებს.

9. წინადადება მიეცეს საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს, შრომის სახკომის მიერ მათთვის მიწოდებულ საკონტროლო ციფრებისა და საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ გამოქვეყნებული იმ პროფესიების ნუსხის საფუძველზე, სადაც ქალის შრომა უნდა იქნას გამოყენებული,—დასახონ კონკრეტული ღონისძიებები ამ ციფრების რეალიზაციისა და მათი გადაჭარბებისათვის წარმოებაში ქალების ჩაბმის დამატებით შესაძლებლობათა აღრიცხვის წესით.

10. ქალის შრომის გამოყენების რაიონობრივი გეგმები, საბოლოოთ მიღებულნი საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების მიერ, მიყვანილ იქნან ცალკე საწარმოებამდე (ფაბრიკები, ახალი მშენებლობები, საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, კოლმეურნეობები, კომუნალური მეურნეობა, კავშირგაბმულობა და სხვ.) და უზრუნველჰყონ ამ ციფრების განხილვა ცალკე ორგანიზაციების, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშა-მოსამსახურეთა პარტკომკავშირულ კრებებზე, აგრეთვე საერთო კრებებზე.

11. პროფსაბჭოს ფრაქციამ დაუყოვნებლივ გაშალოს სათანადო მასიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა ქალის შრომის გამოყენების პრაქტიკული საკითხების დასმით ცალკე საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, ორგანიზაციების და დაწესებულებების საწარმოო-თათბირებსა და ეკონომიურ თათბირებზე.

12. ქალის შრომის გამოყენებისათვის საჭირო მთელი მუშაობის ჩატარების დროს გეზი აღებულ იქნას ქალის შრომის გამოყენებისაკენ, პირველ რიგში, მასიური კვალიფიკაციის და ისეთი კვალიფიკაციის პროფესიებში, რომელნიც ხანგრძლივ მომზადებას არ საჭიროებენ (აღმრიცხველნი, მეტაბელენი, ვაგონის გამყოლნი, კონდუქტორები, დამხარისხებლები, აგრორწმუნებულნი, პირუტყვის მომვლელნი, მწველავნი და სხვ.).

13. ამასთან ერთად განსახკომმა, პროფსაბჭოსა და შრომის სახკომთან ერთად სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად წარადგინოს კონკრეტული გეგმა მიმდინარე წელს ქალთა კადრების მომზადებისა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვადასხვა ტიპის სკოლებში (საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლები, გლეხური ახალგაზრდობის სკოლები, ტექნიკუმები და სხვ.) და სხვადასხვა კურსებზე ქალების კვალიფიკაციის ასაწევად.

14. საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა უზრუნველჰყოს სათანადო მეთვალყურეობა იმაზე, თუ რამდენად სრულდება სხვადასხვა საფეხურისა და სახის სასწავლებლების ქალთა კადრებით შევსების პროგრამები.

15. ამასთან ერთად შრომის სახალხო კომისარიატმა ერთი დეკადის ვადაში წარუდგინოს სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად კონკრეტული გეგმა მოკლევადიანი კურსების გაშლისა როგორც შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების, ისე სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების ხაზით იმ დირექტივის შესრულების უზრუნველსაყოფად, რომელიც შეეხება მიმდინარე წელს წარმოებაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში არა ნაკლებ 30.000 ქალის ჩაბმას.

16 წინადადება მიეცეს მიწსახკომს—ხუთი დღის ვადაში წარუდგინოს შრომის სახალხო კომისარიატს სოფლის მეურნეობის იმ პროფესიების სია, რომლებშიაც გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ ქალთა შრომა, ხოლო ცალკე იმ პროფესიების სია, რომლებშიაც გამოყენებულ უნდა იქნას მეტ წილად ქალთა შრომა.

შრომის სახალხო კომისარიატმა არა უგვიანეს 25 ივლისისა სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს სათანადო ორგანოებთან შეთანხმებული ეს სია და შემდეგ გამოაქვეყნოს იგი.

17 საქართველოს კ. პ. (ბ) ოლქკომებმა და ნაცუმცირესობებით დასახლებული რაიონების რაიკომებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი ეროვნების ქალების ჩაბმას სამრეწველო წარმოებაში და წარმოების სხვა სახეებში და საჭირო კადრების მომზადებას ამ ეროვნებათა კოლმეურნე- ქალებიდან, მოჯამაგირე, ღარიბ და საშუალო გლეხთა ქალებიდან,

18. საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა ერთი დეკადის ვადაში წარუდგინოს შრომის სახალხო კომისარიატს კონკრეტული ცნობები იმ კოლმეურნე ქალების რაოდენობის შესახებ, რომელნიც მიმდინარე წელს გამოყოფილ უნდა იქნან მუდმივ სამუშაოზე ცალკე საბჭოთა მეურნეობებსა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და მახლობლად არსებულ საწარმოებში (ტრაქტორისტი, დამსილოსებელი, აგრორწმუნებული, მესაქე ქალები და სხვ.).

19. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, ქალთა შრომის ჩაბმის რაიონობრივი გეგმების საფუძველზე, დაამუშაოს კონკრეტული გეგმა კულტურულ დაწესებულებათა (საბავშო ბაგები და ბაღები, სამზარეულოები, სასადილოები, სამრეცხაოები და სხვ.) ქსელის გაფართოებისა საბინაო-საიჯარო კოოპერ. ამხანაგობებთან, საწარმოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან და სხვ.

დამუშავებული გეგმა იმ კონკრეტული ღონისძიებებით, რომელნიც უზრუნველყოფენ ამ გეგმის შესრულებას, ორი დეკადის ვადაში დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სახკომსაბჭოს.

20. წარმოებაში ქალების ჩაბმის მიმდინარეობასა და ქალთა შრომის გამოყენებაზე ყოველდღიური კონტროლის განსახორციელებლად, დაწესდეს რაიონების ყოველთვიური ანგარიშგება შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე.

ოლქკომებმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა უზრუნველჰყონ ადგილობრივი აღმასკომების მიერ სათანადო ნაკრები ცნობების წარდგენა საქ. შრომის სახალხო კომისარიატში.

21. რესპუბლიკანური და რაიონული გაზეთების რედაქტორებმა უზრუნველჰყონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში ქალთა შრომის გამოყენებისა და სოცშეჯიბრებაში მათი პრაქტიკულად ჩაბმის საკითხების გაშუქება პრესაში.

22. რადიოცენტრმა ფართო პოპულიარიზაცია გაუწიოს ქალთა შრომის მნიშვნელობას სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში

23. სექტემბერში ც. კ-ის ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნას შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენება ამ დირექტივების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

# ნათესების დამუშავება უნდა დამთავრდეს დანიშნულ ვადებში

## დამკვრელი ტემპებით გავაძლიეროთ ბამბის და ჩაის ნათესების მოვლა-დამუშავება

### მთელი ყურადღება ნათესების მოვლა-დამუშავებას

ხანგრძლივმა და გამუდმებულმა წვიმებმა შეაფერხა ნათესების დამუშავების მოცემულ ვადებში შესრულება. გარდა ამისა წვიმიანმა ამინდებმა ხელი შეუწყო სარეველა ბალახების ზრდა - გავრცელებას, რაც საფრთხეს უმზადებს ნათესებს.

ნათესების დამუშავების დროულად ჩატარება მოითხოვს სწორ გეგმიანობას მუშაობაში, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებას საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში და მუშა-ხელის რაციონალურად გამოყენებას.

როგორც ადგილებიდან მოსული ცნობები მოწმობენ, ყველა ეს პირობები არ არის დაცული. ნათესების დამუშავების ტემპები ვერ უზრუნველყოფენ სამუშაოთა დროზე შესრულებას; განსაკუთრებული საშიშროება ამ მხრივ მოელის ტექნიკურ კულტურებს (ბამბა, თამბაქო, ჩაი, სოია, კენაფი). არის ისეთი სოფლები, რომელთაც დღემდე არ დაუწყიათ ტექნიკური კულტურების დამუშავება. ასე მაგალითად, ჩაის დამუშავება არ დაუწყია სოფ. ბეთლემის კოლმეურნეობას, თამბაქოს პირველი გათოხნა არ დაუწყია ამხ. ლ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობას (აჭარისტანი), ხოლო სიღნაღის რაიონში დღემდე არ მომხდარა გარდატეხა ბამბის დამუშავებაში.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა სიმინდის დამუშავების საქმეში. სენაკის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, მარტვილის რაიონებში და აფხაზეთში მთელ რიგ სოფლებში და კოლმეურნეობებში დღემდე არ დაუწყიათ სიმინდის პირველი გათოხნა.

კულაკობა ყოველ მხრივ ცდილობს შეაფერხოს და ჩაშალოს ნათესების დამუშავების კამპანია, რომ ამით დასცეს მოსავლიანობა და სახელი გაუტეხოს კოლმეურნეობებს. სოფლის პარტიული ორგანიზაციები არ უწევენ საკმაო წინააღმდეგობას კულაკებს და მემარჯვენე ოპორტუნისტებს პრაქტიკაში, რომელნიც აჭიანურებენ ნათესების დამუშავებას და საფრთხეში აყენებენ მოსავლიანობის გადიდების საქმეს.

ნათესების დამუშავებაში არ არის აღებული დამკვრელი ტემპები. სოფ. ქარიატის (ხობის რაიონი) კოლმეურნეობის წევრები სამუშაოზე არ გადიან ოდნავი წვიმის დროს და წვიმის მეორე დღეს. არის ისეთი შემთხვევებიც, რომ სამუშაოდ არ გადიან რელიგიური უქმეების დღეებში და სხვა.

უმთავრესად კი ნათესების დამუშავების ჩამორჩენის მიზეზი უნდა ვეძიოთ შრომის აღრიცხვის მოუწესრიგებლობა და სანარდო სისტემის გაუტარებლობაში. სოფ. კოტიანეთის (სენაკის რაიონი) კოლმეურნეობაში შრომა-დღეების ჩაწერა სწარმოებს არა გამომუშავებული ნორმის შესრულების, არამედ სამუშაოზე გამოცხადების მიხედვით, შრომა-დღე თანასწორად ეწერება სამუშაოზე დილის 7 საათზე და 11 საათზე მისულებს.

ყველაფერი ეს საფრთხეში აყენებს ნათესების დამუშავებას. საჭიროა გადამჭრელი ბრძოლის წარმოება ნათესების დამუშავების დასაჩქარებლად. პირველ რიგში საჭიროა ტექნიკური კულტურების დამუშავების ტემპების გაძლიერება.

საჭიროა გადამჭრელი ბრძოლის წარმოება კულაკებთან და მემარჯვენე ოპორტუნისტებთან, რომელნიც ხელს უშლიან ნათესების დამუშავებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნათესების დამუშავების წარმატებით ჩატარებისაგანაა დამოკიდებული მაღალი მოსავლის მიღება.

საჭიროა სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გაშლება, ჩამორჩენილთა საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანის მოწყობა, შრომის აღრიცხვის მოწესრიგება და სანარდო სისტემის ნამდვილად გატარების უზრუნველყოფა. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ ნათესების დამუშავების სამუშაოთა შესრულებას.

დ.

### იღუპება 1382 ჰექტარი ბამბის ნათესი

(სიღნაღი)

ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში 15 ივლისამდე ხელუხლებლად იყო 1382 ჰექტარი ბამბის ნათესი, რომელზედაც არ არის ჩატარებული პირველი თოხნა. პირველი თოხნა 15 ივლისისათვის ჩატარებულია მხოლოდ 2202 ჰექტარზე, ტრაქტორის კულტივაცია — 3118 ჰექტარზე, ხოლო ცხენის კულტივაცია—293 ჰექტარზე.

ყველა აღნიშნული ჩამორჩენები თოხნის ფრონტზე, რომელიც დიდი ხანია გრძელდება, გამოწვეულია ბოლშევიკური ტემპების აუღებლობით, სოცშეჯიბრის და დამკვრელობის არამასიურად გამოყენებით, მუშათა სუსტი მომარაგებით და უგეგმობით.

საჭიროა მუშაობის გარდაქმნა. 1382 ჰექტარი ბამბა უნდა გადავარჩინოთ დაღუპვისაგან.

სიღნაღელი

### მარგვლას ვათავებთ, პურის მკა დაიწყო

(ონის რაიონი)

ონის რაიონში სიმინდის პირველი და მეორე გამარგვლა უმეტეს ნაწილში დამთავრებულია. 15 ივლისიდან დაიწყო პურის მკა (სორის და შეუბნის კოლმეურნეობებში) მოსამზადებელი მუშაობა მოსავლის აკრეფისათვის დაკვრითი ტემპებით მიმდინარეობს, კოლმეურნეობებს შორის ფართოთ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა.

ა. ბერუჩევი.

### ნათესები ნადგურდება

(აჭარისტანი)

ნათესების მოვლა-დამუშავებას, როგორც საბჭოთა, ისე კოლექტიურ მეურნეობებში არ ექცევა სათანადო ყურადღება, რაც რეალური საფრთხის წინაშე აყენებს მოსავალს.

ამხ. ლ. ბერიას სახ. თამბაქოს საბჭოთა მეურნეობა ჯერ არ შესდგომია თამბაქოს პლანტაციების გათოხნას. სპეციალისტების დასკვნით, თამბაქო უკვე ნადგურდება და იგი მთლიანად დაიღუპება, თუ ამ დღეებში არ დაიწყო მისი გამარგვლა - გათოხნა.

კატასტროფიულ მდგომარეობაშია ჩაის პლანტაციები როგორც საბჭოთა, ისე კოლექტიურ მეურნეობებში. ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, მუშა-ხელის სიმცირის გამო, არ შესდგომია ჩაის გათოხნას. ასეთივე მდგომარეობაა სხვა საბჭოთა მეურნეობებშიაც. აქ საჭიროა საბჭოთა საზოგადოებრიობის, კომკავშირის, ფაბრიკა - ქარხნების რეალური დახმარება.

კოლმეურნეობები დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ ნათესების მოვლაში. ჩაის და თამბაქოს პლანტაციები არ არის რიგიანად შემოღობილი და შიგ თავისუფლად შედის პირუტყვი.

მოუვლელობის გამო განადგურდა ხალვაჩაურის ჩაის პლანტაცია, რომელიც გაშენებული იყო 30 ჰექტარზე. კოლმეურნეობები იძულებული გახდნენ ხელმეორედ დაეთესათ ჩაი.

ორთაბათუმის კოლმეურნეობის თხებმა გაანადგურეს 3 ჰექტარი სოია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები და თვით კოლმეურნეობათა რაიკავშირები არ იღებენ არავითარ ზომებს იმისათვის, რომ გადაარჩინონ დაღუპვისაგან ნათესები.

საჭიროა მიცემულ იქნან პასუხისგებაში კოლმეურნეობათა ის გამგეობები, რომლებიც არ იცავენ ნათესებს განადგურებისაგან.

ე. გ—ლი

### კალია აზიანებს ბამბის ნათესებს

(სიღნაღი)

კარგა ხანია, რაც ზემო-მაჩხაანის სოფლის საბჭოს ფარგლებში ბამბის ნათესების მეორე თოხნა მოთავებული იქნა.

10 ივლისიდან კოლმეურნეობების ბამბის ნათესებს ადგილობრივ ქუმბათზე გაუჩნდა კალია, რომელმაც საგრძნობლად გაანადგურა ბამბის ნათესების ზოგიერთი ადგილები.

კოლმეურნეობებმა ეს მდგომარეობა რაი შტაბს აუწყეს, მაგრამ დღემდე არავითარი ზომები არაა მიღებული.

კალიის წინააღმდეგ ბრძოლა დამთავრებული უნდა იქნას მესამე თოხნის დაწყებამდე.

ტ. ა.

## თელავის რაიონის მეცხოველეობა-მესაქონლეობის და კოლმეურნეობათა კავშირები სილოსის მშენებლობის საქმეში დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ

### სასილოსე მშენებლობის გეგმას ჩაშლა მოელის

მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობით, 15 ივლისისთვის საქართველოში სილოსებისათვის მოჭრილი იყო 522 ორმო და ტრანშეა, 3.552 ტონა წონილის ტევადობით, შესრულებული იყო გეგმის—10,7 პროც. აქედან კოლმეურნეობებში გაკეთებული იყო —370 ორმო და ტრანშეა—2.000 ტონას ტევადობით, გეგმის—11,2 პროც., კერძო სექტორში—173 ორმო და ტრანშეა —1670 ტონა წონილის ტევადობით, რაც გეგმის — 11,2 პროცენტს შეადგენს და საბჭოთა მეურნეობებში 6 ორმო და ტრანშეა, ანუ გეგმის—12,8 პროც.

ამავე რიცხვისათვის აგებული იყო სულ 52 კოშკი, და ნახევარ კოშკი—1370 ტონის ტევადობით, შესრულებული იყო გეგმის—15,9 პროც., აქედან კოლმეურნეობებში აგებული იყო —50 კოშკი და ნახევარ კოშკი—1.020 ტონა წონილის ტევადობით, რაც გეგმის—72,4 პროცენტს შეადგენს და საბჭოთა მეურნეობებში 2 კოშკი და ნახევარი კოშკი 350 ტონა წონილის ტევადობით ანუ გეგმის 0,8 პროც.

ამრიგად სასილოსე მშენებლობის გეგმის შესრულება ჩაშლის რეალური საფრთხის წინაშე იმყოფება. საჭიროა რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ ამ ჩამორჩენის დაკვრითი წესით გამოსასწორებლად და უზრუნველყონ სასილოსე მშენებლობის გეგმის მთლიანად შესრულება.

### „ჩვენ არ გვეხება"

(თელავი)

მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭიროა: მუშა-საქონლისათვის ნორმალური საკვების გამონახვა, სისტემატიურად გასუფთავება და საქონლის დაჯანდაქებასთან ბრძოლა.

ამიტომ ყურადღების ცენტრში უნდა დავაყენოთ სასილოსო მშენებლობის განვითარების საკითხი, რასაც, სამწუხაროდ, დღემდე არავითარი ყურადღება არ ექცევა თელავის რაიონში. მაგალითად, გეგმით, რაიონში უნდა გაკეთდეს 50 ორმო, ამჟამად კი გაკეთებულია მხოლოდ 15 ორმო.

მესაქონლეობის და რაიკოლმეურნეობათა კავშირებს ამ მიმართულებით ჯერ კიდევ პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამთ. როდესაც მესაქონლეობის რაიკავშირის გამგეობას შეეკითხნენ; თუ რას ფიქრობენ ისინი სასილოსე მშენებლობაზე, მათ ასე უპასუხეს: **„წადით რაიკოლმეურნეობათა კავშირში, ეგ იმათი საქმეაო"** ეს უკანასკნელი კი ასე აცხადებს: **„სილოსი მესაქონლეობის რაიკავშირს ეკითხება"-ო.** როგორც ვხედავთ, ამ ორგანიზაციების მხრივ სილოსის მშენებლობის აშკარა შეუფასებლობას აქვს ადგილი.

ამჟამად სასილოსო მშენებლობის დარგში მხოლოდ კომკავშირის რაიკომი აწარმოებს მუშაობას, მაგრამ მარტო კომკავშირის ორგანიზაციას არ შეუძლია ამ რთული საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმის შესრულება.

საჭიროა თელავის მესაქონლეობის და კოლმეურნეობათა რაიკავშირებმა თავი დაანებონ ოპორტუნისტულ პრაქტიკას, ხელი მოჰკიდონ სასილოსე მშენებლობას და უზრუნველჰყონ პარტიის და ხელისუფლების დადგენილებათა მტკიცედ ცხოვრებაში გატარება.

არქო.

### დახმარება ესაჭიროებათ

ვანის რაიონში წელს უნდა ამოიჭრას 80 სასილოსო ორმო, ამის გარდა აშენებული უნდა იქნას 5 კოშკი—1000 ტონა საკვების ტევადობით.

სასილოსე მშენებლობა უზრუნველყოფილია როგორც მუშა-ხელით, ისე დასასილოსებელ მასალით. ვანის რაიონის კომკავშირელების ბეჯითი მუშაობით, გამზადებული იქნა უკვე 10 სასილოსე ორმო, მაგრამ ცემენტის, კირის და ლურსმანის სიმცირის გამო მუშაობა ფერხდება. სათანადო ორგანიზაციები, მიუხედავად რაიონის მრავალი მომართვისა, საკმაო დახმარებას არ გვიწევენ.

აღსანიშნავია, რომ ვანის რაიონს არ ჰყავს ტექნიკურად მცოდნე სპეციალისტი სასილოსე მშენებლობის დარგში. ეს გარემოებაც ხელს უშლის მუშაობის ნაყოფიერად ჩატარებას.

საჭიროა საქ. მიწსახკომმა ვანის რაიონში მიავლინოს სასილოსე საქმის სპეციალისტი აგრონომი.

ს. კუჭუხიძე.

### 500 ფუთი ცემენტი უყურადღებოდ

(ლაგოდეხის რაიონი)

ლაგოდეხის რაიონში სასილოსო მშენებლობას ყურადღება არ ექცევა. გეგმის მიხედვით კოლმეურნეობებში აშენებული უნდა იქნას 30 სასილოსე კოშკი და უნდა ამოიჭრას—18 ორმო, მაგრამ დღემდე ამ საქმის დასაწყებად არაფერი არ გაკეთებულა.

რაიაღმასკომთან ჩამოყალიბებულია სასილოსო მშენებლობის შტაბი, მაგრამ ის სრულ უმოქმედობას იჩენს ამ საქმეში.

სად. წნორში მიღებულია სასილოსო მშენებლობისათვის—500 ფუთი ცემენტი, მაგრამ ჯერ არავის უფიქრია მის დახსნაზე და გამოყენებაზე.

საჭიროა ლაგოდეხის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჩაერიონ ამ საქმეში და აამოქმედონ ყველა ის ორგანიზაციები, რომელნიც თავიანთი მოუქნელობით და უყურადღებობით სასილოსო მშენებლობის საქმის საფრთხეში აყენებენ.

მ. ბოკუჩავა, გ. გალოგრე.



სიმინდის პირველი გამარგვლა ს. ეწერის კოლმეურნეობაში (სამტრედიის რაიონი)

## მესამე გადამწყვეტი წლის სესხი

# სუფსის თემის კოლმეურნეებმა სესხის რეალიზაციის საკონტროლო ციფრი გადაჭარბებით დაფარეს

## ფართოდ გავშალოთ ჩამორჩენილთა საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანა

## გავასამკეცოთ სესხის რეალიზაციის ტემპები სოფლად

### ხელის მოწერა დამკვრელი ტემპებით გაიშალა

(სოფ. აცანა ლანჩხუთის რაიონი)

მესამე გადამწყვეტი წლის სესხის რეალიზაცია აცანის თემში 15 ივლისს დაიწყო. თემის გლეხობისათვის მოცემული საკონტროლო დავალება 5850 მანეთს უდრის. ხელის მოწერის კამპანიის დაწყებისთანავე ადგილობრივ კოლმეურნეებსა, ღარიბ და საშუალო გლეხებს შორის ფართოდ გაიშალა სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. პირველ ორი დღის განმავლობაში თემის გლეხობამ დაფარა 4550 მანეთი, რაც საკონტროლო ციფრის 77,8 პროცენტს შეადგენს. რეალიზაციის კამპანია უახლოეს დღეებში დამთავრდება.

სესხის რეალიზაციის უკეთ ჩატარებაზე აცანის თემმა სოც შეჯიბრებაში გამოიწვია შუხუთის თემი.

მ. ჩხაიძე.

### დიასახლისი ქალები სესხის რეალიზაციაში

(ხარაგოული)

ა.-წ. 14 ივლისს ხარაგოულში შესდგა დიასახლის ქალთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 52 ქალი. დამუშავდა 5 წლედის მესამე გადამწყვეტი წლის სესხის საკითხი. გაიმართა გამოწვევები. სულ შეგროვდა 1.522 მანეთი. ქალები დიდი ხალისით აწერდენ ხელს სესხს. მაგ. კოლმეურნე ქალმა ანტიოფ ლომსაძემ ხელი მოაწერა 15 მანეთის ობლიგაციაზე და გამოიწვია სხვა კოლმეურნე ქალები. „8 მარტის" სახელობის არტელის დამკვრელმა მუშა-ქალმა ნინო გაგუამ ხელი მოაწერა 100 მანეთის ობლიგაციაზე და განაღდების ვადათ 5 თვე დანიშნა. დასასრულ კრებამ აირჩია საუკეთესო დამკვრელ დიასახლისის და მუშა-მოსამსახურე ქალებისაგან ბრიგადა, რომელიც უხელმძღვანელებს სესხის გავრცელებას დიასახლის ქალებში.

ვერიკო ბუაჩიძე.

### საჭიროა ტემპების გაძლიერება

(ონი)

ონის რაიონში, საკონტროლო ციფრის თანახმად უნდა გასაღდეს 72.000 მანეთის მესამე გადამწყვეტი წლის სესხი. აქედან მუშა-მოსამსახურეთა შორის უნდა გასაღდეს 20.000 მან., კოლმეურნეთა შორის 30.000 მან. და კერძო სექტორში 15.000 და შეუკავშირებელ მოქალაქეთა შორის 7,000 მან.

15 ივლისისათვის ხელის მოწერა ჩატარებული იყო სულ 74.000 მანეთზე, რაც საკონტროლო ციფრის 102,8 პროცენტს შეადგენს. აქედან მუშა-მოსამსახურეებს მოწერილი ქონდათ ხელი 64.000 მანეთზე, შესრულებული ქონდათ საკონტროლო ციფრის 320 პრ. და კოლმეურნეობებს 10.000 მანეთზე, რა საკონტროლო ციფრის 33,3 პროცენტს შეადგენს. ზოგიერთ კოლმეურნეობაში რეალიზაცია ჯერ კიდევ არ დაწყებულა. საჭიროა ტემპების გაძლიერება.

ა. ბერუჩევი.

### მუშაობა სუსტად მიმდინარეობს

(სიღნაღი)

მე-3 გადამწყვეტი წლის სესხის სარეალიზაციო მუშაობა სიღნაღის რაიონის სოფლებში სუსტად მიმდინარეობს. კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირს აქამდე არ გაუშლია მასიური მუშაობა და მთელ რიგ კოლმეურნეობებს (ანაგის, ვაქირის, საქობის და სხ.) სესხის საკითხი ჯერაც არ განუხილავთ.

სესხის რეალიზაცია ვერც ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. საჭიროა კოლმეურნეთა მასამ პირველმა აიღოს ინიციატივა და თავისი აქტივობით არაკოლმეურნე გლეხობაც აამოძრაოს.

სიღნაღის კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირმა დაუყოვნებლივ უნდა გააძლიეროს მუშაობის ტემპები.

სიღნაღელი.

### ხელმძღვანელობის გარეშე

(ონი)

მესამე გადამწყვეტი წლის სესხის რეალიზაციაში ონის რაიონის პროფკავშირები არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ, რის გამოც ხელის მოწერის გაფორმება მეტად ჩამორჩენილია. ხელის მოწერით მუშა-მოსამსახურეთა შორის ნაცვლად 20.000 მანეთისა შეგროვილია—65.000 მანეთი. მაგრამ აქედან გაფორმებული ჯერ—20.000 მანეთიც კი არ არის.

ხელმძღვანელობის გარეშე მიმდინარეობს აგრეთვე სესხის რეალიზაცია გლეხურ სექტორში. თემებზე, სოფლებზე და კოლმეურნეობებზე მიმაგრებულ ამხანაგებს არ მისცეს ინსტრუქცია და არ აუხსნეს ხელის მოწერის წესები და ტექნიკა, არ გააცნეს ძირითადი ლოზუნგი, რის გამოც ადვილი აქვს დამახინჯებებს. ზოგმა მიმაგრებულმა ამხანაგმა—მთელ კოლმეურნეობიდან ხელი მოაწერინა სესხზე მხოლოდ 1 წევრს.

ეს შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

შიო.

### სასტიკი საყვედური უმოქმედობისათვის

კოლმეურნეობათა ცენტრს მიღებული აქვს ცნობა, რომ მიუხედავად არა ერთი წერილობითი და სიტყვიერი მითითებებისა და განკარგულებებისა ყვარელის კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირს აქამდე არ ჩამოუყალიბებია სახ. კრედიტის დამხმარე კომისიები არც რაიკავშირთან და არც კოლმეურნეობებთან და სესხის გასასაღებლად აქამდე არ გაუკეთებია რა.

ბაღდათის კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირს დამხმარე კომისიების ჩამოყალიბება მხოლოდ 7 ივლისს დაუმთავრებია, მაგრამ ამის გარდა არა გაუკეთებია რა. მას არავითარი ცნობა არ მოეპოება იმის შესახებ თუ როგორ მიმდინარეობს ხელის მოწერა კოლმეურნეობებში და არის რამე ამ მიმართულებით გაკეთებული თუ არა.

კოლმეურნეობათა ცენტრმა ეს გარემოება შეაფასა მესამე გადამწყვეტი წლის სესხის რეალიზაციის სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის შეუფასებლად რისთვისაც სასტიკი საყვედური გამოეცხადა ყვარელის და ბაღდათის რაიონების კოლმეურნეობათა კავშირებს. ამასთან ერთად ხსენებულ კავშირებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა, მტკიცედ დაიცვან ნებაყოფლობის პრინციპი, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ინსტრუქციის დარღვევა და უზრუნველყონ ხელის მოწერის კამპანიის ყოველ მიზეზს გარეშე დამთავრება.

### როგორ მიმდინარეობს ხელის მოწერა

**სოფ. საპრასიის** სას.-სამ. არტელ „25 თებერვლი"-ს წევრთა შორის ფართოდ გაიშალა სოცშეჯიბრება სესხზე ხელის მოწერაში, რის შედეგადაც თვითეულმა კოლმეურნემ ხელი მოაწერა 30 მანეთის რაოდენობით.

**სენაკის რაიონის** კოლმეურნეებს 15 ივლისისათვის მესამე გადამწყვეტ წლის სესხზე ხელმოწერით შეგროვილი ქონდათ—51.000 მანეთი, რაც საკონტროლო ციფრის 78,4 პროცენტს შეადგენს. ამავე რიცხვისათვის რაიონის მთლიანი საკონტროლო ციფრი შესრულებული იყო 1 პროცენტის გადაჭარბებით.

**დიდი ჯიხაიშის** თემის კოლმეურნეობებში სესხის სარეალიზაციო კამპანია მხოლოდ 17 ივლისს დაიწყო. ამავე თემის მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს სესხზე—6.500 მანეთის რაოდენობით რაც მათ თვიურ ხელფასს შეადგენს.

**მარტვილის რაიონის** სოფ. მახათის მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა ხელი მოაწერეს სესხზე 4333 მანეთის რაოდენობით, რაც მათი თვიური ხელფასის 254 პროცენტს შეადგენს.

**მარტვილის რაიონის** სოფ. ბანძის არტელ „იმედი"-ს წევრებმა ხელი მოაწერეს სესხზე 1.000 მანეთის რაოდენობით და სოც. შეჯიბრებაში გამოიწვიეს მარტვილის არტელი „შრომა".

**უწერის თემის** (ონის რაიონი) კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს მესამე გადამწყვეტი წლის სესხზე სამი ცხვრის შემოსავლის რაოდენობით.

# საქალაქო მეურნეობა უნდა გაუსწორდეს სახალხო მეურნეობის საერთო განვითარების ტემპებს

> **„ამჟამად აღდგენის პერიოდის დამთავრებასთან ერთად იქ, სადაც ქალაქის მეურნეობა მთლიანად არ არის აღდგენილი, მთავარ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ გაიშალოს მუშაობა ქალაქის მეურნეობის გასაფართოებლად, გარდასაქმნელად და განსავითარებლად იმ მოთხოვნებთან შეფარდებით, რომლებსაც ამჟამად გვიყენებენ ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპები, ქალაქის მოსახლეობის რიცხვის გადიდება და ფართო მშრომელი მასების საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდა"** (საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმის დადგენილებიდან)

## საქალაქო მეურნეობა რეკონსტრუქციის გზაზე

საქალაქო მეურნეობა — ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ - ერთი ჩამორჩენილი დარგია. აიხსნება ეს იმით, რომ ჩვენ გვიან მოვკიდეთ ხელი საქალაქო მეურნეობის აღდგენას. ინტერვენტების განდევნისა და სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო უპირველეს ყოვლისა, შესდგომოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენას, რის გამო კომუნალური მეურნეობის აღდგენის საქმე მეორე რიგში მოექცა.

ამჟამად, როდესაც პარტიამ და ხელისუფლებამ უდიდეს შედეგებს მიაღწიეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის ფრონტზე, უკვე შესაძლებელია ფართოდ დაისვას საქალაქო მეურნეობის განვითარების საკითხი და იგი ჩვენი მუშაობის ცენტრში მოექცეს. ეს გაითვალისწინა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმმა, რომელმაც ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოების საბრძოლო ამოცანად დასახა საქალაქო მეურნეობის ჩამორჩენის სასწრაფოდ ალმოფხვრა და გადამწყვეტი გარდატეხის მოხდენა მისი განვითარების ტემპებში.

**„ამჟამად აღდგენითი პროცესის დამთავრებასთან ერთად იქ, სადაც საქალაქო მეურნეობა ჯერ არ არის სავსებით აღდგენილი, მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გაიშალოს მუშაობა საქალაქო მეურნეობის გასაფართოვებლად, გარდასაქმნელად და განსავითარებლად იმ მოთხოვნებთან შეფარდებით, რომლებსაც ამჟამად გვიყენებენ ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპები, ქალაქის მოსახლეობის რიცხვის გადიდება და მშრომელთა ფართო მასების საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდა"**, ასე განსაზღვრა პლენუმმა უახლოესი ამოცანები საქალაქო მეურნეობის დარგში.

საქალაქო მეურნეობის ზრდა დაიწყო ამ სამი წლის წინად. ამ დარგში გადადგმულმა ნაბიჯებმა უკვე მოგვცა მნიშვნელოვანი ნაყოფი. საქალაქო მეურნეობა შევიდა რეკონსტრუქციის პერიოდში.

იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა თავისი დაღი დაასვეს კომუნალურ მეურნეობას. საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო სახლების ძველი ბურჟუაზიულ - ვაჭრული მფლობელობა, ბოლო მოუღო სახლების მეპატრონეთა ექსპლოატატორულ პოლიტიკას და სახლები გადასცა საქალაქო საბჭოებს, უპირველეს ყოვლისა მშრომელთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამჟამად ამოცანას წარმოადგენს ამ სახლების მდგომარეობის გაუმჯობესება და ახალი საბინაო მშენებლობის ფართოდ გაშლა.

ბურჟუაზია და ბურჟუაზიულ-ვაჭრული ქალაქის გამგეობა დიდ თანხებს ხარჯავდნენ ქალაქის იმ ნაწილების გასამშვენიერებლად და კეთილმოსაწყობად, სადაც ბურჟუაზია და შეძლებული ელემენტები ცხოვრობდნენ, მაშინ, როდესაც ქალაქის განაპირა კუთხეები, მუშათა უბნები მოკლებული იყვნენ ელემენტარულ პირობებს, მათ არ ქონდათ განათება, კანალიზაცია, წყალსადენი და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქალაქო მეურნეობა დაუქვემდებარა პროლეტარიატის ინტერესებს. მან მუშები გამოიყვან ბნელ სარდაფებიდან და ჩაასახლა ბურჟუაზიის ყოფილ „აპარტამენტებში". ამასთან ერთად გეგმიანად გაიშალა ახალი საცხოვრებელი ფართობის მშენებლობა. ეწყობა ახალი უბნები, შენდება სოციალისტური ქალაქები, ქალაქის ძველი, ნაწილები ინგრევა და მათ საფუძველზე ეწყობა ახალი პროსპექტები, ბაღები და მოედნები.

მაგრამ საბინაო მშენებლობის ტემპები მაინც არ არის საკმარისი. იგი საგრძნობლად ჩამორჩება სამრეწველო მშენებლობის ტემპებს. საბინაო მშენებლობა აწყდება მთელ რიგ დაბრკოლებებს, რომელთა შორის უმთავრესია საშენებელი მასალის სიმცირე. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმმა საჭიროდ სცნო ადგილობრივი საშენებელი მასალის ფართოდ გამოყენება დეფიციტური მასალების შესაცვლელად და საბინაო მშენებლობაში ახალი კონსტრუქციების, გაძარტივებული და სტანდარტული კონსტრუქციების შემოღება.

ჩვენს ამოცანას წარმოადგენს მოვსპოთ ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს ქალაქსა და სოფელს შორის, სოფელი დაუახლოვოთ ქალაქს. ამ მიზნით აუცილებელია სამრეწველო წამოწყებათა არა მსხვილ ცენტრებში დაგროვება, არამედ მათი სოფლად გადატანა. ამ საკითხის შესახებაც პლენუმი გარკვეულ დირექტივას იძლევა — მომავალში ახალი სამრეწველო წარმოებები არ იქნეს დაგროვილი მსხვილ საქალაქო ცენტრებში.

დიდია საქალაქო მეურნეობის ამოცანები დღევანდელ პერიოდში. საქალაქო საბჭოებმა ძირიანად უნდა გარდაქმნან თავისი მუშაობა, უნდა გამონახონ მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, რათა დააკმაყოფილონ მშრომელთა გაზრდილი საყოფაცხოვრებო და კულტურული მოთხოვნილებანი.

კომუნალური ორგანოების მუშაობას დღემდე საგრძნობლად აფერხებს ფინანსიური მეურნეობის მოუწესრიგებლობა. სამეურნეო ანგარიში აქ ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ გატარებული. კომუნალური საწარმოები და საბინაო მეურნეობა არ არის მთლიანად გადაყვანილი სამეურნეო ანგარიშზე. არ სწარმოებს შინაგანი რესურსების მობილიზაცია. ამიტომ ამ ღონისძიებების გატარებას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საქალაქო საბჭოების საქმიანობაში.

საქალაქო მეურნეობა დიდი და რთული მეურნეობაა. საბინაო მშენებლობა, საზოგადოებრივი კვება, ენერგეტიული მეურნეობა, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა, ქალაქის ტრანსპორტი, საგზაო მეურნეობა, წყალსადენი, ქალაქის სანიტარული მდგომარეობა, — ყველაფერი ეს მოითხოვს დიდ სიფხიზლეს და განუწყვეტელ შრომას.

ქალაქის საბჭოებმა, როგორც პროლეტარული ხელისუფლების ორგანოებმა ქალაქებში, ისე უნდა გარდაქმნან მუშაობა, რომ მშრომელთა რაც შეიძლება მეტი აქტიური ფენა ჩააბან თავის საქმიანობაში. ქალაქის საბჭოს სექციებმა საქმით უნდა განახორციელონ ყოველდღიური მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა საქალაქო მეურნეობის თვითეულ დარგზე.

საქალაქო მეურნეობის წინაშე დასმულ ამოცანების წარმატებით შესრულება მოითხოვს კომუნალური ორგანოების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას, გადამწყვეტ ბრძოლას პარტიის ხაზის მემარჯვენე - ოპორტუნისტულ დამახინჯებისა, „მომემარცხენო" ფრაზიორობისა და მათდამი შემარიგებლობის წინაალმდეგ და კომუნალური ორგანოების გაწმენდას კლასობრივად უცხო და ბიუროკრატიულ ელემენტებისაგან.

პარტიის გენერალური ხაზის გატარების საფუძველზე ჩვენ შევძელით საქალაქო მეურნეობის აღდგენა. ამავე საფუძველზე ჩვენ შევძლებთ არსებულ ქალაქების ტეხნიკურად და ეკონომიურად განვითარებულ პროლეტარულ ცენტრებად გადაქცევას და ახალი, სოციალისტური ქალაქების გაშენებას ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში.

## ნატახტარის წყალსადენი

ტფილისის ძველი წყალსადენი არსებობს 1887 წლიდან და აწვდის ქალაქს წყალს, ავჭალის წყაროებიდან გაწმენდილ მტკვრის წყლის დამატებით. წყლისმიწოდების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 1500.000 ვედროთი დღე-ღამეში, რაც სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილებას. ამის გამო არ სწარმოებს თითქმის ქუჩების და ბაღების მორწყვა, რაც ჰქმნის დაუშვებელ მდგომარეობას ქალაქის კულტურულ მოთხოვნილებისათვის. აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის ზრდა და მრეწველობის განვითარება იწვევს წყლის ხარჯვის ზრდას, არსებულ წყალსადენს კი არ შეუძლიან შესატყვისად გაადიდოს წყლის მიწოდება. ამ მდგომარეობამ გამოიწვია წყლის ნაკლებობა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის მოსახლეობის თითქმის 40 პროც. არ აქვს გაყვანილი წყალსადენი სახლებში და აგრეთვე წყლის ხარჯვის ნორმაც შეზღუდულია. ამ გარემოებამ და წყლის თვითღირებულების სიდიდემ (42 კ. კუბ. მ.) გამოიწვია საკითხის კატეგორიულად დასმა ახალი წყალსადენის აგების შესახებ. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1925 წ.

ახალი წყალსადენის წყაროებათ არჩეული იქნა ნატახტარის და ბულაჩაურის წყაროები.

აღნიშნულ წყაროების შესწავლა სწარმოებდა თითქმის 2,5 წლის განმავლობაში გეოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ და სანიტარულ გიგიენის თვალსაზრისით. ეს წყაროები ყველა გამოჩენილ სპეციალისტების მიერ ცნობილი იქნა სავსებით დამაკმაყოფილებლად წყლის ხარისხისა და რაოდენობის მხრივ. აღნიშნულ წყაროები მდებარეობენ არაგვის ნაპირას 7 კილ. დაშორებით მცხეთიდან და 25 კილ. თბილისიდან.

ბაქტერიოლოგიურად წყალი უაღრესად სუფთაა და მისი დებეტი უდრის 74.000 — 129000 კუბ. მეტრს დღე-ღამეში. აღნიშნულ რაოდენობიდან ტფილისს დასჭირდება 25 წლის შემდეგ 78.800 — 88.660 კუბ. მეტრი.

საშუალოდ დღე - ღამეში წყლის მოხმარების ნორმა სულზე გათვალისწინებულია 98,4 ლიტრი. (ამჟამად იგი უდრის დაახლოვებით 41 ლიტრს). წყაროების წყლის მიღება გათვალისწინებულია სულ 36 და პირველ რიგში კი 18 ქაპტაჟილი — სიფონის საშუალებით.

მთელი მშენებლობა გაყოფილია 2 რიგად. პირველი რიგის სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება 9,438 ათას მან. და მე-2 რიგის 5,378 ათას მან. მაშასადამე მთელი აღმშენებლობის ღირებულება უდრის 15 მილ. მან. პირველ რიგის სამუშაოების დამთავრების შემდეგ ქალაქს მოეწოდება 3.600.000 ვედრო წყალი, საბოლოოდ კი 7.200.000 ვედრო—ღამეში

ძირითადი სამუშაო გეგმის მიხედვით პირველ რიგის სამუშაოების დამთავრება გათვალისწინებულია 1932 წლის დამლევს, მეორე რიგის სამუშაოების დაწყება კი 1937 წ.

ახალი წყალსადენის აგების შემდეგ ტფილისის მოსახლეობას მიეცემა საშუალება მიიღოს როგორც ნორმალურ რაოდენობის, ისე უაღრესად სუფთა, საღი და იაფი წყალი.

წყლის საშუალო ფასი გათვალისწინებულია 13 კაპ. 1 კუბ. მეტ., ამჟამად კი უდრის 61 კაპ.

ვინაიდან უკანასკნელ დროს მეტად გამწვავდა წყლის საკითხი, ზემდგომ ორგანოების მიერ წყალსადენის აღმშენებლობა მიჩნეულ იქნა პირველ საჭიროების აღმშენებლობათ. ამის და მიხედვით წყლის მიწოდება უნდა იქნეს დაჩქარებული და შეფარდებული 1931 წ. 7 ნოემბრისათვის.

აღმშენებლობის დასაწყისიდან 1931 წ. 1 ივნისამდე შესრულებულია 64 პროც. მთელი სამუშაოებისა, გარდა ღრმა ღელის ლიუკერის, ქალაქის ქსელის და ღრმა ღელის რეზერვუარებისა, რომლებიც ხელს არ შეუშლიან ჯერ-ჯერობით წყლის მიწოდების განხორციელებას.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მეორე რიგის სამუშაოების დაწყება საჭიროა ახლო მომავალშივე, ვინაიდან ქალაქის მრეწველობის და მოსახლეობის ზრდა დიდ მოთხოვნილებას აყენებს საჭირო წყლის დაჩქარებით მიღებაზე.

ინჟ. გ. ვარაზაშვილი.

## თბილისი სწრაფად იზრდება

ქალაქ თბილისს, ზრდის ტემპების სისწრაფეში, ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მთელ საბჭოთა კავშირში. 1920 წელთან შედარებით ქალაქის საზღვრები ამჟამად ერთი ორადაა გაზრდილი.

ქალაქის დასასახლებელი ფართობის ფარგალში ამჟამად შედის—დიდუბის ველი, საბურთალო, დიღომის ველი, ნავთლუღის ველი, სავიაციო მოედნების თან ჩართვით, მთელი ვაკე და ორთაჭალის ქვემო ნაწილი.

თბილისს ზრდის ტენდენცია ემჩნევა მტკვრის სათავის მიმართულებით. ამას ხელს უწყობს ქალაქის გეოგრაფიული მდგომარეობაც, რადგან განდაგან ქალაქის ზრდას ხელს უშლის არახელსაყრელი ტოპოგრაფია და გზების გაყვანის სიძნელე.

ვაკე, როგორც ცნობილია, გამოყოფილია სამეცნიერო რაიონათ. იქ თავმოყრილი იქნებიან ყველა უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო დაწესებულებები და აგებენ ბინებს სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავეთათვის. მიმდინარე წელს ვაკეს მცხოვრეთა რიცხვი უკვე 30.000 კაცს უდრის. 1932 წლის ბოლოს კი მცხოვრებთა რიცხვი აყვანილ იქნება 50.000-მდე.

საბურთალოსა და დილსის ველზე გაშენებული იქნება მუშათა უბანი, სადაც იცხოვრებენ დიდუბის საწარმოების მუშები. თვით დიდუბე გამოყოფილია ჯანმრთელობისათვის არამავნე მრეწველობის უბნათ. მის ფარგლებში შედის აგრეთვე ღრმა-ღელის რაიონიც, სადაც ამჟამად აშენებენ ქარხნებს. დიდუბე-ღრმა ღელის უბანზე საცხოვრებელი ბინები არ იქნება აგებული. აღნიშნულ საწარმოთა მუშები იცხოვრებენ ნაწილობრივ ლენინის სახელობის მუშათა ქალაქში (ყოფ. ნაძალადევი), რომელიც დაგეგმილი და მოწყობილი იქნება კომუნალური მეურნეობის ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად, ნაწილობრივ საბურთალოზე და შემდეგში კი—დიღომის ველზე.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკასთან აგებული იქნება ხიდი, რომელიც დააკავშირებს ერთი მეორესთან მტკვარის ორივე ნაპირებს. მარტო საბურთალოზე და დილისის მინდვრებზე დასახლებული იქნება 85.000 მცხოვრები. საამისოდ ამჟამად უკვე გამოყოფილი და დაგეგმილია 760 ჰექტარი სამოსახლო ადგილი.

ნავთლუღის უბანი გამოცხადებულია ქიმიურ მრეწველობის უბნათ. ნავთლუღში მოწყობილი იქნება—ახალი აეროდრომები, უკვე დაწყებულია მარგარინის ქარხნის აგება და მომავალში იქვე იწარმოებს ქიმიურ ქარხნების აგება.

## გავაძლიეროთ ქალაქის კეთილმოწყობა

### დასვენებისა და კულტურის პარკის გაშენება

საბოლოოდ გადაწყდა, რომ თბილისში გაშენებული იქნეს დასვენებისა და კულტურის დიდი პარკი. საამისოდ ამჟამად უკვე გამოყოფილია 108 ჰექტარი მიწის ნაკვეთი მდ. ვერადან (ვერის ხარის თანჩართვით) მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით და საარტილერიო ყაზარმების ტერიტორიით საბურთალოს დასასრულამდე.

მიმდინარე წლის განმავლობაში გადაწყვეტილია დამუშავებულ იქნეს პარკის გაშენების გეგმა, რისთვისაც უკვე გადადებულია 60.000 მანეთი. მშენებლობის ხელმძღვანელად გამოყოფილია სპეციალური კომისია ინჟ. გ. შავშავაძის თავმჯდომარეობით.

დასვენებისა და კულტურის პარკის მშენებლობა იწარმოებს ორ პერიოდათ. პირველ რიგში პარკი გაშენებული იქნება ზემოთ ნაჩვენებ ტერიტორიაზე, ხოლო მეორე პერიოდში ამავე პარკის მეორე წინა გაშენდება სახკინმრეწვის შენობიდან დაწყებული მუშტაიდის ბაღის დასასრულამდე (მტკვრის მარცხენა ნაპირზე). პარკისთვის გამოყენებული იქნება მუშტაიდის გასწვრივ არსებული მტკვარის დიდი კუნძული, სადაც მოეწყობა წყლის სასპორტო სადგური, რესტორან-ბაღი და საზაფხულო გასართობი.

დასვენებისა და კულტურის პარკის პირველი რიგის სამუშაოები დამთავრებული იქნება ათ წელიწადში და დაიხარჯება 8 მილიონი მანეთი.

### კრემატორიუმი საბურთალოზე

ქალაქის განვითარებისა და კეთილმოწყობის გეგმით გათვალისწინებულია საბურთალოზე კრემატორიუმის აგება. ჯერჯერობით საბოლოოდ არაა გამორკვეული თუ რამდენი დაჯდება კრემატორიუმი, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ მისი აგება დამთავრებულ იქნეს მიმდინარე ხუთწლედის ბოლომდე.

კრემატორიუმის აგებით ქალაქი გასწევს ქალაქისათვის საჭირო და ვამოსადექი ტერიტორიის დიდ ეკონომიას. არსებული სასაფლაოები თანდათან ფართოვდებიან და მათთვის საჭირო ხდება მიწის ახალ-ახალი ნაკვეთების დათმობა.

კრემატორიუმის მშენებლობა დაიწყება 1932 წელს. მის ასაგებად მოწვეული იქნებიან უცხოელი სპეციალისტები.

არსებული სასაფლაოებს მიეცემათ ბაღების სახე.

## ბალნეოლოგიური კურორტი

წელს თბილისში დაიწყება უდიდესი ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობა, რისთვისაც უკვე გამოყოფილია ქალაქის ფარგლებში და მის გარეთ საკმაო ფართობი. ბალნეოლოგიური კურორტი, როგორც ცნობილია, მოწყობილი იქნება ბუნებრივად თბილი გოგირდის აბანოების სრული გამოყენების საფუძველზე.

კურორტის ტერიტორია შემოფარგლულია შემდეგნაირად: მაიდანი, ორთაჭალის ზემოთა ნაწილი, სამასი არაგველის ხიდამდე და ტაბახმელის მაღლობები. მთელი ეს ტერიტორია გაყოფილია ორ ზონად. პირველი ზონის მშენებლობა უნდა დამთავრდეს 1936 წლამდე და მეორე ზონის 1940 წლამდე. წელს დაწყებული იქნება მშენებლობა 1-ლ ზონაში.

მშენებლობის დასაწყებათ საჭირო წინასწარი სამზადისი უკვე დაწყებულია. კურორტის მშენებლობის დასაწყებათ უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ გამოყოფილი ტერიტორია განთავისუფლებულ იქნეს შენობებისაგან. მომავალში ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე გარდა საკურორტო შენობებისა კერძო ბინები აღარ იქნება აგებული. აღმასკომმა უკვე აკრძალა აღნიშნულ რაიონში ახალი საბინაო მშენებლობის წარმოება.

კურორტისათვის გამოყოფილი ტერიტორიიდან მოსახლეობის ახალ ადგილზე გადასასახლებლად, გამოყოფილია მიწის საკმაო ნაკვეთი ავლაბარში, სადაც აღმასკომი შეუდგა ახალი ბინების აგებას. ბინების აგებისთანავე მცხოვრებლები მაიდნიდან თანდათანობით იქნებიან გადასახლებული ავლაბარში, იმ ვარაუდით, რომ სამი წლის განმავლობაში მოხერხდეს კურორტისათვის გამოყოფილი ტერიტორიის სავსებით განთავისუფლება. მიმდინარე წლის განმავლობაში ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობის სამზადისზე და მცხოვრებთა გადასასახლებლად ახალი საცხოვრებელი შენობების აგებაზე დახარჯული იქნება 500.000 მანეთი.

1-ლ ზონაზე ბალნეოლოგიური კურორტის მოწყობა დაჯდება სულ 12 მილიონი მანეთი. ამ თანხით აგებული იქნება—სანატორიუმი, რამდენიმე დასასვენებელი სახლი, გაშენებული იქნება პარკი, გაყვანილი იქნება წყალსადენი, ელექტრონი, გზები და აგებული იქნება გარდა ბალნეოლოგიური სადგურებისა, საავადმყოფოებისა და აბანოებისა, სამკურნალო-საგამოკვლევო ინსტიტუტის შენობა.

ბალნეოლგიური კურორტის მოწყობისათვის სამუშაოთა ერთ-ერთ უდიდეს ობიექტს წარმოადგენს გოგირდის წყაროების შესწავლის საქმე. ამჟამად, ამიერკავკასიის გეოლოგიურ კომიტეტს გამოყოფილი ყავს სპეციალური საგამოკვლევო პარტია, რომელიც ამ დღეებში შეუდგება მუშაობას. გეოლოგიურ გამოკვლევებს უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს გეოლოგი დ. კონიუშევსკი. კონსულტანტად მოწვეულია პროფესორი ოგილვი.

გეოლოგიური გამოკვლევების მიზანია გოგირდის ახალი წყაროების გამონახვა, არსებული წყაროების დებიტის გადიდება და სხ. დადასტურებულია რომ თბილისის გოგირდის წყაროების დიდი ნაწილი ნიადაგში იკარგება. ცდებმა გამოარკვიეს აგრეთვე, რომ ზოგილოს აბანოს წყაროს სათავე მდებარეობს მტკვარის მარჯვენა ნაპირზე. წყარო ნიადაგს ქვეშ გადის მტკვარის კალაპოტს და გამოდის მდინარის მარცხენა ნაპირზე. აქედან გეოლოგები ასკვნიან, რომ სამკურნალო წყაროების დიდი უმრავლესობა პირდაპირ უერთდება მტკვარს და იკარგება.

ბალნეოლოგიურ კურორტს, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც ორივე ზონა იქნება მზად, დასჭირდება გაცილებით მეტი სამკურნალო წყლები, ვიდრე ამჟამად გამომდინარეობენ თბილისში.

პირველი ზონის მშენებლობის დამთავრებისთანავე დაიწყება მეორე ზონის მშენებლობა. ტერიტორიალურად მეორე ზონაში შევა—ტაბახმელა, კოჯრის გზის მიდამოები და ორთაჭალის ზემოთა ნაწილი. მეორე ზონაში გადაწყვეტილია აგებულ იქნეს ახალი ფუნიკულიორი. საკურორტო ტერიტორიის მახლობლად გაყვანილი იქნება აგრეთვე კოჯრის ელექტრონის რკინის გზა. ტაბახმელის მაღლობებზე აგებული იქნება სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი.

კურორტის ტერიტორია ქალაქს დაუკავშირდება კომუნალური ქუჩით და ერთი ახალი პროსპექტით.

ქობულეთი.—ახალი აბაზანების შენობა

## დავაჩქაროთ კოჯორის ელექტრო-რკინიგზის გაყვანა *)

თბილისში, ამიერ-კავკასიის ცენტრში, მშენებლობის 2-3 წლის შემდეგ მწვავე კრიზისი მოელის ქვის უქონლობის გამო. ილევა ადგილობრივი ქვასატეხები (კარიერები). მტკვარი არ იძლევა რიყის ქვას, ქვიშის და ღორღის საჭირო რაოდენობას. ჩვენი სარკინიგზო ტრანსპორტის ზედმეტად დატვირთვა ვერ უზრუნველჰყოფს შორეულ რაიონებიდან ქვის მასიური რაოდენობით შემოტანას. გარდა ამისა, სიშორე ძალზე ადიდებს მასალის ღირებულებას და, მაშასადამე, ეკონომიურად ხელსაყრელი არ არის. ეს საკითხი საქარბორიტოა და მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაჭრას.

ზაჰესის აგების შემდეგ ეს საკითხი უფრო გამწვავდა.

სოლოლაკის კარიერებს, რომლებმაც კოჯრის გზატკეცილის 1-ლ კილომეტრზე მდებარეობენ, უკანასკნელ წლებში იმდენად ძლიერ იყენებენ, რომ ისინი მალე გამოილევიან. რაც შეეხება ქვის გადმოტანას სანდარის, აირუმის და ბამბაკის რაიონებიდან, იგი, გარდა ეკონომიურად არახელსაყრელობისა, საგრძნობ სიძნელეებს აწყდება თბილისის სარკინიგზო კვანძის ზედმეტი დატვირთვის გამო, აგრეთვე საჭირო ფართობის საწყობებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის მექანიზაციის უქონლობის გამო.

რა იქნება მაშინ, როცა სოლოლაკის კარიერები და მდ. მტკვრის რესურსები გამოილევა, ეს კი მოხდება 2-3 წლის შემდეგ, და საჭირო შეიქმნება მთელი საჭირო მასალის რკინის გზით მოტანა?

პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს—რკინის გზა ვერ შესძლებს ჩვენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. გზამ რომ შეძლოს კიდეც ეს, შორეული რაიონებიდან მთელი საჭირო ქვის მოტანა მეტად გააძვირებს მშენებლობას, მისი გაიაფების ნაცვლად.

სავსებით დროულია გამოვიკვლიოთ ქვის ახალი კარიერები, რომელნიც თბილისის მახლობლად მდებარეობენ და რომელთაც უნდა მოგვცენ მაქსიმალური ეკონომიური ეფექტი მშენებლობის ღირებულების შემცირების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და სამუშაოთა ტემპების აწევის საქმეში.

ასეთებად შეიძლება ჩავთვალოთ ის კარიერები, რომელნიც ტაბახმელასა და კოჯრის რაიონში მდებარეობენ.

ოქროყანიდან დაწყებული კიკეთამდე მოიპოვება ქვის მდიდარი საბადოები. ამ კარიერებს გეოლოგიური, ეკონომიური და ლაბორატორიული გამოკვლევა, თბილისის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების დავალებით, უკვე მოახდინა ავტოგზის ინსტიტუტმა „ზონადი"-მ. შედეგი მეტად დამაკმაყოფილებელი მივიღეთ. გამოირკვა, რომ ამ კარიერებს შეუძლიათ 25-30 წლით უზრუნველჰყონ თბილისის მშენებლობა ყორექვით, ღორღით, ქვიშით, ძელაკით ფილიგებისათვის და ქვით ყოველგვარი საინჟენერო ნაგებობისათვის (ხიდები, საყრდენი კედლები და სხვ.).

ამ კარიერების მარაგი, მინიმალური ანგარიშით, 10 მილიონ კუბ. მეტრს აღემატება. ამ კარიერების ყოველმხრივმა გამოკვლევამ, მათმა გამოცდამ გამოფიტვის, გაცვეთის, გამძლეობის და სხვ. მხრივ სავსებით ხელსაყრელი შედეგი მოგვცა. ასე რომ მთელი საკითხი ახლა ეხება ამ მასალის გადმოზიდვას. თუ მას გზატკეცილით გადმოვზიდავთ, რაც ქვის წლიური საჭიროება 150-200 ათას კუბ. მეტრს უდრის, ე.ი. 300-400 ათას ტონას, — ასეთი ტვირთგამტარობის მისაღწევად არსებული გზა-ტკეცილი უნდა გადავაკეთოთ. ეს კი, ა.-კ. გზატრანსის გამოანგარიშებით, ღირება დაახლოვებით 6 მილიონი მანეთი (კილომეტრის ღირებულება — 230.000 მან.), ამასთან გზატკეცილით მასალის გადმოტანის ტონა-კილომეტრი დაჯდება 70-მდე. თუ მხედველობაში მივიღებთ მანძილის ერთეულის ღირებულებას, უნდა დავასკვნათ, რომ ტონა ქვის გადმოტანა კოჯრის კარიერიდან 20 კილომეტრი) დაჯდება 14 მან. ამავე დროს ყველაზე უფრო იაფი ქვა, რომელიც რკინის გზით სანდარის კარიერებიდან მოგვაქვს, ჯდება 12 მან. 92 კ.

ყველაფერი ცხადჰყოფს, რომ კოჯრის ელ. რკინის გზის საკითხი უკვე მომწიფდა, რადგან ტაბახმელისა და კოჯრის კარიერებიდან კოჯრის ელ. რკინის გზით ქვის გადმოზიდვა (ზონადის ინსტიტუტის გამოანგარიშებით), კარიერების დამუშავების ნაწილობრივი მექანიზაციის დროს, დაჯდება დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების ჩათვლით):

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1) | მე- 3 | კილომეტრის | კარიერი | 2—30 ყორე ქვა 1 კუბ. მეტრი |
| 2) | " | " | " | 4—80 ღორღი და ქვიშა |
| 3) | მე- 7 | " | " | 5—49 ყორე ქვა |
| 4) | " | " | " | 14—19 ძელაკი |
| 5) | " | " | " | 7—89 ღორღი, ქვიშა |
| 6) | მე-21 | " | " | 5—70 ყორე ქვა |
| 7) | " | " | " | 8—20 ღორღი ქვიშა |
| 8) | კოჯორის | " | " | 7—40 ყორე ქვა |
| 9) | " | " | " | 9—90 ღორღი ქვიშა |
| 10) | " | " | " | 10—70 საწებ. სალბუნი. |

გადმოზიდვის ღირებულება კერგზით (კოჯრის ელ. რკ. გზა) უნდა ვიანგარიშოთ 10 კაპ. ტონა-კილომეტრი (იმ დროს, როცა ა. კ. რკინის გზით ჯდება 2 კაპიკად).

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ თბილისიდან მე-7 კილომეტრზე აღმოჩენილ იქნა პლაგიოკლაზიტის საბადო, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ჰიდრავლიურ დამატებად.

პლაგოკლაზილის გამოყენების დროს მივიღებთ ცემენტის 30 პროცენტის ეკონომიას, ე.ი. ცემენტის 30 სიმტკიცის დაუკლებლად, შევცვლით პლაგიოკლაზიტით. მისი მარაგი უზრუნველჰყოფს 10 წლის საჭიროებას. ერთი ტონა პლაგიოკლაზიტის დამზადება და გადმოტანა დაჯდება 6-60 კაპ., ე.ი. ცემენტზე იაფად და მისი ეკონომია წლიურად უდრის 9 ათას ტონას.

ყორექვის გადმოზიდვა ყველაზე უფრო მახლობლად მდებარე კარიერიდან (სანდარის კარიერიდან) ჯდება 12 მან. 92 კაპ., მაშინ, როცა მისი გადმოზიდვა კოჯრის ყველაზე შორს მდებარე კარიერიდან არ აღემატება 7 მან. 40 კაპ. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ექსპლოატაციის პირველ წლებში გადმოზიდვა მოხდება მე-3 კილომეტრის კარიერიდან, ე.ი. იქიდან, საიდანაც კბმ.-ის გადმოზიდვა ეღირება 2 მან. 30 კ., ყორექვის ღირებულების განსხვავება შეადგენს 10 მან. მეტს კბმ.-ზე; ესევე პროპორცია მცირედი ცვლილებით დარჩება ღორღსა და ქვიშაზე. მაშასადამე, ამ მასალის მთელ საჭირო რაოდენობაზე — 200.000 კუბ. მეტრზე — პირველ ორ წელიწადს კოჯრის ელ. რკინის გზით მარტო ქვის გადმოზიდვის მეოხებით მივიღებთ 4 მილიონი მანეთის ეკონომიას.

მთელი კერგზის ღირებულება კი გამოანგარიშებულია 6 მილ. მანეთად. ამაში შედის როგორც სამგზავრო, ისე სატვირთო მოძრავი შემადგენლობა.

ამრიგად, კერგზა მარტო ქვის გადმოზიდვით 3-4 წლის განმავლობაში მთლიანად აინაზღაურებს თავის გაყვანის ხარჯებს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ კოჯრის ელ. რკინის გზა გადასჭრის არა მარტო ამ პრობლემას, ე.ი. თბილისისათვის საშენი მასალის მოწოდებას, არამედ მრავალ სხვა პრობლემასაც, რაზედაც თავის დროზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ასეთი პრობლემებია: ზემო-თბილისის შექმნა, სამკურნალო კურორტების კეთილმოწყობა, მუშების დასასვენებლად გამგზავრების გაადვილება და სხვ. ყველა ამის შემდეგ ცხადი ხდება ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება კოჯრის ელ. რკინის გზას და რამდენად გადაუდებელია მისი გაყვანა. მარტო საშენი ქვის სიმრავლე თბილისის მახლობლად და ამ ქვის უაღრესი საჭიროება თბილისისათვის დაბეჯითებით გვიკარნახებს —შევუდგეთ დაუყოვნებლივ კოჯრის რკინის გზის პროექტის განხორციელებას.

ინჟენრები ბ. შავშავაძე,

მოსკოვის ქუჩები დილაობით იწმინდება და ირეცხება სპეციალური მანქანებით

## თბილისის კომუნალური მეურნეობა

თბილისის მოსახლეობის სწრაფი ზრდა, მრეწველობის შემდგომი განვითარება და მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება გადაჭრით მოითხოვს კომუნალურ მეურნეობის გარდაქმნას საკ. კ.პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

კომუნალური მეურნეობის განვითარებას დღემდე ვერ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. მთელი ძალღონე მიმართული იყო უმთავრესად ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ. კომუნალური მეურნეობა კი ჩამორჩენილი იყო. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თბილისის მრეწველობა ორჯერ მეტად გაიზარდა, მაშინ როდესაც კომუნალური მეურნეობის ზრდა ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამ დისპროპორციის აღმოსაფხვრელად საჭიროა კომუნალური მეურნეობის ზრდის ტემპი გაუთანასწოროთ მრეწველობის ზრდის ტემპს.

რა მდგომარეობაშია ამჟამად კომუნალური მეურნეობის ცალკე დარგები თბილისში და რა კონკრეტული ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე 1932 წელში. ძირითადი დარგები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგია:

### საგზაო და ხიდების მშენებლობა

ეს დარგი მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. თბილისის ქუჩების მთელი მოედანი უდრის 3.307.851 კვ. მეტრს. აქედან მოკირწყლულია მხოლოდ 1.466.230 კვ. მეტ., ე.ი. 44 პროც., მაშინ, როდესაც ლენინგრადში ეს პროცენტი აღწევს 75-ს; ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თბილისის ქუჩების მთელი მოედნის მხოლოდ 3 პროცენტი მოკირწყლულია გაუმჯობესებული წესით (ასფალტი, ძელაკი და სხვა) დანარჩენი კი პრიმიტიულად არის მოკირწყლული (სიპი ქვით). 1932 წლის საკონტროლო ციფრები ითვალისწინებს 7 კილომ. სიგრძის ქუჩების მოკირწყვლას გაუმჯობესებული წესით, რაზედაც დაიხარჯება ნახევარი მილიონი მან.

განზრახულია აგრეთვე მაგისტრალური ქუჩების გაფართოება, რომლებიც სივიწროვის გამო ხელს უშლიან ნორმალურ მოძრაობას. ასეთი ქუჩებია — ბრძოლის ქუჩა, მელიქიშვილის ქუჩა, ჟორესის ქუჩა, მუხრანის ქუჩა და სხვა.

ჩვენი ქალაქი იზრდება ვაკე-საბურთალოს მიმართულებით. უახლოეს წლებში ვაკეს მოსახლეობა მიაღწევს 50.000 სულს. საბურთალოს—75.000-ს. ამიტომ საჭიროა ამ რაიონების სათანადო კეთილმოწყობა. 1932 წ. განზრახულია მთელი რიგი ახალი ქუჩების გაყვანა და ძველის შეკეთება. კერძოდ გაყვანილი იქნება ახალი ქუჩები ქალაქის განაპირა უბნებში (ვაკე, საბურთალო, ლენრაიონი, ღრმა ღელე და სხვა). გაყვანილი იქნება ახალი ქუჩა ზოოპარკიდან ვაკემდე და მოწყობილი იქნება უნივერსიტეტის ქუჩა.

თბილისის ხიდები ვერ აკმაყოფილებენ გაზრდილი მოძრაობის მოთხოვნილებას, ამიტომ 1932 წლისათვის განზრახულია ხიდების მშენებლობის ფართოდ გაშლა. პირველ რიგში დამთავრდება ე.წ. სადგურის ხიდის მშენებლობა თავისი მისასვლელებით (სადგურის ქუჩის გაგრძელება). ხიდმა მოკლე გზით უნდა დაუკავშიროს ერთმანეთს საბურთალო, ვაკე და დიდუბე-ლენრაიონი, რომლებიც წარმოადგენენ სამრეწველო ცენტრებს. ეს ხიდი შეამოკლებს მანძილს დიდუბე-ლენრაიონიდან ვაკე-საბურთალომდე 7-8 კილომეტრიდან 1-2 კილომეტრამდე. გარდა ამისა, ამით განიტვირთება ვერის ხიდი, ჟორესის ქუჩა და ელბაქიძის დაღმართი. აგრეთვე გაფართოებული იქნება ვერის ხიდი.

მორიგი ამოცანა, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე არის ავლაბრის დაკავშირება ქალაქის ცენტრთან. ამისათვის საჭიროა კალიაევის აღმართის გაფართოება, რომლის სივიწროვე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ნორმალური მოძრაობისათვის. 1932 წელში ამ სამუშაოების დასამთავრებლად გადადებულია 900.000 მანეთი.

მდ. მტკვარი ადიდების დროს დიდ ზარალს აყენებს ქალაქს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ვიზრუნოთ მტკვრის ნაპირების გამაგრებაზე. უნდა დავამთავროთ აგრეთვე სანაპირო ქუჩის გაყვანა, რომელიც შეაერთებს საბურთალოს ცენტრთან და ორთაჭალასთან, რითაც განიტვირთება ცენტრალური ქუჩები და საგრძნობლად შემოკლდება მანძილი ქალაქის დასახლებულ ნაწილებს შორის.

მადათოვის კუნძულის კეთილმოწყობაც გადაუდებელი ამოცანაა. ეს კუნძული ამჟამად წარმოადგენს გადამდებ სნეულებათა გავრცელების ბუდეს. საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგეთ ამ მუშაობას იმ ვარაუდით, რომ 1932 წელს სავსებით დავამთავროთ ამ კუნძულის კეთილმოწყობა.

ასევე უნდა ითქვას საბურთალოს შესახებ. ამ რაიონის მოსახლეობა დაავადებულია მალარიით. 1932 წელს უნდა შეუდგეთ აქ ჭაობის ამოშრობას. ამ მიზნისათვის გადადებულია 300.000 მანეთი.

საერთოდ გზების, ხიდების და საინჟენერო ნაგებობათა საჭიროებაზე განზრახულია მომავალი წლისათვის ქალაქში დაიბანდოს 12 მილიონ მანეთამდე.

### საბინაო მშენებლობა

ეს დარგი ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველაზე ვიწრო ადგილია. თბილისში ამ მხრივ განსაკუთრებული მდგომარეობაა. საშუალო ფართობი ერთ სულზე წლიდან-წლამდე სისტემატიურად კლებულობს. 1926 წლის აღწერის ცნობების მიხედვით თბილისში ერთ სულზე საშუალოდ მოდიოდა 6,5 კვადრატული მეტრი, რაც მინიმალურ სანიტარულ ნორმაზე (8 კვ. მეტრი) ნაკლებია.

მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით (საშუალოდ 5 პროცენტამდე წლიურად) ერთი მხრივ, ხოლო საბინაო მშენებლობის ტემპების სისუსტის გამო მეორეს მხრივ, ეს „მშიერი" ნორმა თანდათან კლებულობდა და 1931 წელს 5,21 კვ. მეტრამდე დაეცა.

რომ აღვადგინოთ 1926 წელს არსებული ნორმა, საჭიროა 1932 წელს აგებული იქნას 578.000 კვ. მეტრი საბინაო ფართობი, რომლის ღირებულება დაახლოებით 70 მილიონ მანეთს უდრის.

რასაკვირველია, ასეთი თანხის დაბანდებაზე ერთი წლის მანძილზე ფიქრიც შეუძლებელია.

ჩვენი მიზანია უპირველესად ყოვლისა მუშათა კლასის საბინაო პირობების გაუმჯობესება. მომავალი წლისათვის მიზნად გვაქვს დასახული მრეწველობის მოწინავე დარგებში ჩაბმულ მუშათა საბინაო პირობების გაუმჯობესება. სახელდობრ მათი საშუალო სულობრივი საბინაო ფართობის 7 მეტრამდე აყვანა და საბინაო ფართობის კლებადობის პროცესის შეჩერება. ამ თვალსაზრისითაა შედგენილი 1932 წლის საკონტროლო ციფრები.. კერძოდ თბილისის საბჭოს განზრახული აქვს დახარჯოს საბინაო მშენებლობაზე 8 მილიონი მანეთი.

### ბალნეოლოგიური სადგური და კოჯორის ელექტრონის გზა

უკვე არსებობს უმაღლესი ორგანოების დადგენილება თბილისში ბალნეოლოგიური სადგურის აგების შესახებ. ეს სადგური საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი უდიდესი წამოწყებათაგანია. მისი აგება დაჯდება დაახლოებით 20 მილიონი მანეთი.

წინასწარი მუშაობა სადგურის ასაგებად უკვე დაწყებულია. მომავალი წლისათვის განზრახულია 2.500.000 მანეთის დაბანდება ამ საქმეში. ეს თანხა მოხმარდება შენობების აგებას ბალნეოლოგიური სადგურის მომავალ ტერიტორიაზე და ერთი დიდი სასტუმრო - სანატორიუმის აგებას.

ასეთივე აუცილებელ სამუშაოთა რიგს ეკუთვნის კოჯორის ელექტრონის გზის გაყვანა.

კოჯორის ელექტრონის რკინის გზის პროექტი უკვე დამუშავებულია. მისი აგება საბჭოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს.

თბილისი თითქმის ერთად-ერთი ქალაქია საბჭოთა კავშირის და უცხოეთის დიდ ქალაქებს შორის, რომელიც არაა შეერთებული რკინის გზით მახლობელ აგარაკებთან. ამავე დროს ასეთი გზის საჭიროება დიდია, თუ მივიღებთ მხედველობაში საშინელ სიცხეს, რომელიც ქალაქში ზაფხულობით იცის. ქალაქის მშრომელ მოსახლეობას რკინის გზა საშუალებას მისცემს ადვილად გავიდეს ქალაქ გარეთ და ჯანსაღად გაატაროს ბუნების წიაღში დასვენების დღეები. მეორეს მხრივ კოჯორის რკინის გზა რამდენიმედ მაინც შეამცირებს ქალაქში არსებულ საბინაო კრიზისს, რადგანაც შესაძლებელი გახდება მოსახლეობის ნაწილის კოჯორში არსებულ სახლებში მოთავსება. მესამე მხრით „კერგზა"-ს უდიდესი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა ექნება იმ ჩამორჩენილ მოსახლეობისათვის, რომელიც მომავალ რკინის გზის ზონაში ცხოვრობს (რიცხვით 40 ათასი).

დაბოლოს, რაც მთავარია „კერგზა" მოგვცემს საშუალებას იაფად მოვზიდოთ თბილისის ქალაქის მეურნეობისათვის სააღმშენებლო ქვა, ხრეში და სილა, რომელიც უხვად მოიპოვება კოჯრის მიდამოებში (ამ მასალის მარაგი ამ მიდამოებში გეოლოგების გამოანგარიშებით 10 მილიონ კუბ. მეტრს უდრის, რაც 25-30 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს თბილისის მოთხოვნილებას).

### მწვანე ნარგავები

თბილისი ღარიბია მწვანე ნარგავებით მოედნით. მწვანე მცენარეულობათა მოედანი თბილისში უდრის მთელი სივრცის 1,2 პრ. სამხრეთ ქალაქებისათვის მიჩნეულია მინიმალურ ნორმად 25 პროც. 1932 წელში განზრახულია მწვანე მოედანი აყვანილ იქნეს 5 პროცენტამდე (მოემატება 10 ჰექტარი). ამასთანავე გაძლიერებული იქნება მუშაობა დასვენების და კულტურის პარკის მოსაწყობად: 1932 წელს ამ პარკის მშენებლობაზე დაიხარჯება ნახევარი მილიონ მანეთზე მეტი.

### ქალაქის გასუფთავება

უკანასკნელ დრომდე ქალაქის გასუფთავების საქმე კერძო არტელის ხელში იყო. 1930 წ. 1 ოქტომბრიდან ეს საქმე გადაეცა თბილისის საბჭოს. სამწუხაროდ, ამ დარგში დიდი მიღწევები არა გვაქვს. ეს აიხსნება იმით, რომ ეს საქმე მოითხოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებებს ტრანსპორტის მოსაწყობად.

თუ თითო სულზე ვიანგარიშებთ 600-700 გრამ ნაგავს დღეში, მაშინ საჭიროა 12.000 ფუთი ნაგვის გატანა ყოველდღიურად, რისთვისაც საჭიროა 60 ავტო-მანქანა ან და 450 „ტაჩკა". თბილისის საბჭოს კი ამჟამად მოეპოვება მხოლოდ 3 ავტომანქანა და 100-მდე „ტაჩკა". ასეთ ტეხნიკურ ბაზაზე, ცხადია, ვერ გავაუმჯობესებთ ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას. 1932 წელში განზრახულია 45 ავტო-მანქანის შეძენა ქალაქის გასასუფთავებლად.

### ტრამვაი

ქალაქის ტრამვაის მეურნეობის ზრდა საგრძნობლად ჩამორჩება მოსახლეობის და ქალაქის ეკონომიურ ცხოვრების ზრდის ტემპებს.

ამ უკანასკნელ წლებში რონოდების რიცხვი მოძრაობაში თითქმის უცვლელი დარჩა, მოსახლეობა კი იმავე წლებში 7-8 პროცენტით გაიზარდა. მთელი რონოდების რიცხვიდან (126) 52 რონოდა ძველია; ლიანდაგი გაცვდა, ვინაიდან 26 წლის განმავლობაში ის არ განახლებულა. კომერციული სისწრაფე გაიზარდა 6,13 კილომეტრიდან — 11,6 კილომეტრამდე. ეს ცნობები იმის მაჩვენებელია, რომ ტრამვაის მეურნეობა ძლიერ დაჭიმულია, რომ საფრთხეშია ჩავარდნილი ტრამვაის ტეხნიკური ბაზა.

1932 წელს განზრახულია ტრამვაის ლიანდაგის სიგრძის გაფართოება 17 კილომეტრით და 80 ახალი ვაგონის შეძენა.

პირველ რიგში ლიანდაგის ქსელი გაფართოებული იქნება მუშათა რაიონებში, როგორიც არის საბურთალო, ლენრაიონი, ნავთლუღი და სხვა. აგებული იქნება აგრეთვე ტრამვაის ახალი პარკი.

ტრამვაი გამოყენებულ უნდა იქნას აგრეთვე საქონლის გადასაზიდავად. ამისათვის საჭიროა მისასვლელი გზების გაყვანა რკინის გზასთან და ქალაქის ცენტრალურ საწყობებთან.

1932 წელში განზრახულია 10 საქონლის გადასაზიდი რონოდის შეძენა.

### საავტობუსო მოძრაობა

ქალაქის ტრამვაის არ შეუძლიან სავსებით დააკმაყოფილოს გაზრდილი მოძრაობის მოთხოვნილებანი. მეორის მხრივ ქალაქის ზოგიერთ ნაწილებს განსაკუთრებული რელიეფის გამო, ტრამვაი სრულიად ვერ უწევს მომსახურეობას. გარდა ამისა, ისმის საკითხი იმის შესახებ, რომ ქალაქსა და რაიონს შორის არსებობდეს მიმოსვლის ნორმალური საშუალებანი, განსაკუთრებით ეს ითქმის აგარაკების: კოჯორის, კიკეთის, მანგლისის და სხვათა შესახებ. ამიტომ საკონტროლო ციფრები 1932 წელში ითვალისწინებენ საავტობუსო მოძრაობის განვითარებას. განზრახულია 50 ავტობუსის და 100 ავტომობილის შეძენა. ამასთან დაკავშირებით აგებული იქნება გარაჟი. ამ საქმეზე დაიხარჯება სულ ორ ნახევარი მილიონი მანეთი.

### წყალსადენი

არსებული წყალსადენის ქსელი არ არის დამაკმაყოფილებელი. მისი სიგრძე ამჟამად უდრის 200 კილომეტრს, მაშინ, როდესაც ქალაქის ქუჩების საერთო სიგრძე არის 300 კილომეტრი, ე.ი. ქალაქის ერთ მესამედს არა აქვს წყალსადენი.

1932 წლის საკონტროლო ციფრები ითვალისწინებს წყალსადენის მაგისტრალის გაფართოებას მუშათა რაიონებში 30 კილომეტრით. საკანალიზაციო ქსელი გაფართოებული იქნება 78 კილომეტრით და მისი სიგრძე აყვანილი იქნება 230 კილომეტრამდე. (ეხლა კი არის 152 კილომეტრი).

გარდა ამისა განზრახულია კოლექტორების მოწყობა. დღემდე მტკვარში იღვრება ფეხსალაგების სითხე, რითაც იწამლება სასმელი წყალი. გარდა ამისა ეს სითხე ტყვილად იკარგება მაშინ, როდესაც კეთილმოწყობილ ქალაქებში ამ სითხე-განავალს ხმარობენ მიწების მოსარწყავად და გასანოყიერებლად.

შესაძლებელია ამ სითხით მორწყული იქნეს 10.000 ჰექტარი მიწა. ამ კოლექტორების მოწყობა დაჯდება 4.200.000 მანეთი. ამ საქმეზე 1932 წელში განზრახულია 2.000.000 მანეთის დაბანდება. ასეთია მოკლედ კომუნალური მეურნეობის მშენებლობის პერსპექტივები 1932 წელს.

იმისათვის, რომ შესრულებული იქნეს ეს უდიდესი პროგრამა, საჭიროა მუშაობის და ხელმძღვანელობის სრული გარდაქმნა ამხ. სტალინის უკანასკნელი მითითებების საფუძველზე, საჭიროა მუშა-ხელის ორგანიზაციულად მოზიდვა, სააღმშენებლო მასალების წარმოების გაფართოება, დეფიციტური მასალების შეცვლა არა დეფიციტიურით, მშენებლობაში მექანიზაციისა და რაციონალიზაციის ფართოდ გამოყენება. მომჭირნეობისათვის შემდგომი ბრძოლა, სოცშეჯიბრის, დამკვრელობის და სოციალისტური შრომის სხვა მეთოდების გაშლა-გაღრმავება და ყველა ჯურის ოპორტუნიზმთან შეურიგებელი ბრძოლა. მხოლოდ ამ ღონისძიებების გატარებით შევძლებთ ჩვენ წარმატებით განვახორციელოთ ცეკას ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი კომუნალური მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ.

ინჟ. მუხელიანი.

ნატახტარის წყალსადენი. [illegible]

---

*) დისკუსიის წესით.

# მწვავედ დაარტყათ საკოლმეურნეო კადრების მომზადების შეუფასებლობას

(ა.-კ. საკოლმეურნეო ცენტრის 1931 წლის 12 ივლისის დადგენილება)

გამარჯვლა - აღების კამპანიისათვის კადრების მომზადების მიმდინარეობის იმ შერჩევითი გამოკვლევის საფუძველზე, რომელიც ჩატარებულ იქნა სომხეთის 8 რაიონში, საქართველოს 12 რაიონში და აზერბაიჯანის 7 რაიონში, — ა.-კ. საკოლმეურნეო ცენტრის გამგეობა აღნიშნავს:

1. რესპუბლიკანურმა საკოლმეურნეო ცენტრებმა, კოლმეურნეობათა საოლქო და სარაიონო კავშირებმა (განსაკუთრებით აზერბეიჯანში) სრულიად **ვერ შეაფასეს გამარჯვლა - აღების კამპანიისათვის კადრების მომზადების მნიშვნელობა** და ამ საქმეში გამოიჩინეს მემარჯვენე პრაქტიკა, რის შედეგად აზერბეიჯანის რაიონების უმრავლესობაში **ჩაიშალა** მუშაობა კურსების ორგანიზაციისათვის, ხოლო სომხეთსა და საქართველოში გეგმა შესრულებულ იქნა 30 პროცენტით.

2. **აზერბეიჯანის და საქართველოს საკოლმეურნეო ცენტრებმა ოპერატიული ხელმძღვანელობა ვერ გაუწიეს კადრების მომზადების საქმეს:** საკოლმეურნეო ცენტრები დაკმაყოფილდნენ გეგმების და პროგრამის გაგზავნით რაიონებში, მათ ვერ განახორციელეს ცოცხალი ხელმძღვანელობა და ინსტრუქტაჟი, რის გამო დროზე ვერ შესძლეს გამოეაშკარავებიათ დეფექტები და კოლმეურნეობათა რაიკავშირებისათვის დახმარება აღმოეჩინათ კადრების მომზადების საქმეში.

3. პარტიის სარაიონო კომიტეტების და რაიაღმასკომების უმრავლესობამ საკმაოდ ვერ შეაფასა კადრების მომზადების მნიშვნელობა და ვერავითარი კონკრეტული ოპერატიული ხელმძღვანელობა ვერ განახორციელა ამ მუშაობაში, რამაც გამოიწვია საკურსო ღონისძიებათა ჩაშლა, განსაკუთრებით აზერბეიჯანსა და საქართველოში.

4. კოლმეურნეობათა რაიკავშირებმა, მიუხედავად გეგმების და პროგრამების არსებობისა და კურსების ორგანიზაციის დაფინანსებისა, ვერ შესძლეს დაეკავშირებიათ მუშაობა კადრების მომზადებისათვის გამარჯვლა - აღების კამპანიასთან, რის გამო რაიონებში ჩაიშალა მუშაობა კადრების მოსამზადებლად (სალიანის, ლენქორანის, ახალციხის, ბორჩალოს, ყარაიას, კუდრუკულის, კარაკლისის, ბელიასუვარის, ალი-ბაიმამლის რაიონებში და სხვ.).

5. ა.-კ. საკოლმეურნეო ცენტრის კადრების სექტორმა სულ უკანასკნელ დრომდე ვერ შესძლო განეხორციელებია ცოცხალი კავშირი და ოპერატიული ხელმძღვანელობა და თავის დროზე ვერ მოგვცა გაფრთხილება კადრების მომზადების საქმეში.

ა.-კ. საკოლმეურნეო ცენტრის გამგეობა ადგენს:

1. შენიშვნა მიეცეს აზერბეიჯანის საკოლმეურნეო ცენტრის კადრების სექტორის გამგეს საკურსო ღონისძიებათა ჩაშლისათვის აზერბეიჯანის რაიონებში.

2. გამარჯვლა - აღების კამპანიისათვის კადრების მომზადების სრული ჩაშლისათვის საყვედური გამოეცხადოს კურდღულის, კარაკლისის, ახალციხის, ბორჩალოს, ყარაიას, ლენქორანის, ბელიასუვარის და ალი-ბაირამის კოლმეურნეობათა რაიკავშირების თავმჯდომარეებს.

3. რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრებმა გამოაშკარაონ და **პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომელნიც დამნაშავენი არიან კადრების მომზადების ჩაშლაში.**

ერთი დეკადის ვადაში შევსებულ იქნან კადრების სექტორები.

4. გამარჯვლა - აღების კამპანიისათვის კადრების მომზადების გეგმის შესრულების ვადა გაგრძელებულ იქნას 1931 წლის პირველ აგვისტომდე.

5. ეთხოვოს საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტსა რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების და რაიკომების წინაშე დასვას კადრების მომზადებისადმი დახმარების და ოპერატიული ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხი.

6. **20-დან 30 ივლისამდე მოწყობილ იქნას დაკვრითი დეკადა გამარჯვლა - აღების კამპანიისათვის კოლმეურნე კადრების მოსამზადებლად.**

7. რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრებმა 3 დღის ვადაში გაიწვიონ და ყველა ჩამორჩენილ რაიონებში გაგზავნონ სპეციალური პასუხისმგებელი პირები კადრების მომზადების გეგმების განხორციელებაში პრაქტიკული მონაწილეობის მისაღებად.

8. პასუხისმგებლობა რაიონებში გეგმების შესრულებისათვის დაეკისროთ კოლმეურნეობათა რაიკავშირების თავმჯდომარეებს.

9. მიეცეს ჯილდოდ 1.000 მანეთი კამარლის კოლმეურნეობათა რაიკავშირს კადრების მომზადების გეგმის 100 პროცენტით შესრულებისათვის.

10. დაწესებულ იქნას ხუთდღიური ოპერატიული - საანგარიშო საინფორმაციო შეჯამებული ცნობების წარმოდგენა.

11. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

ა.-კ. საკოლმეურნეო ცენტრის გამგეობა

**ავისი.**

# სოც. დაზღვევის ორგანოების საქმიანობა ახალ ეტაპზე

სახალხო მეურნეობის სრულიად ახალ საფუძველზე გარდაქმნის პერიოდში, სოციალური დაზღვევის ორგანოების წინაშე ახალი ამოცანები, საქმიანობის ახალი პროგრამა და მუშაობის ახალი მეთოდები წამოიჭრენ.

ამიერიდან სოციალური დაზღვევის ორგანოები თავის საქმიანობას ველარ შემოფარგლავენ მხოლოდ იმით, რომ დაზღვევის რისკის სხვადასხვა სახეები აანაზღაურონ, რომ დაზღვეულ მუშა - მოსამსახურეებს მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის და ინვალიდობის შემთხვევებში აღმოუჩინონ მხლოდ ფულადი დახმარება.

დამზღვევი ორგანოები მოწოდებული არიან თავისი საქმიანობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ პროფილაქტიურ ღონისძიებების გატარებაზე. ბრძოლა ავადმყოფობის, პროფესიონალური დასახიჩრების და ინვალიდობის გამომწვევ მიზეზების წინააღმდეგ — დამზღვევი ორგანოების საქმიანობის ქვა - კუთხედია. ამ მიზნით დამზღვევი ორგანოები არკვევენ დაავადებისა და დასახიჩრების მიზეზებს, იმუშავებენ შრომის დაცვის ორგანოებთან და თვით ფაბრიკა - ქარხნის აქტივთან ერთად სათანადო ღონისძიებებს, ხსნიან დიეტურ სასადილოებს, აფართოებენ დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში გასაგზავნ პირთა წრეს და აუმჯობესებენ სამკურნალო დახმარების საქმეს.

რომ სახალხო მეურნეობა უზრუნველვყოთ კვალიფიციური მუშა - ხელით, სოციალური დაზღვევის ორგანოები სახალხო მეურნეობას მიაწოდებენ ინვალიდთა შრომას, ხოლო მუშაობის უნარის დროებით და კარგვის შემთხვევებში მიმართავენ დაზღვეულის ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანას.

სოციალური დაზღვევის ორგანოები ვალდებული არიან უშუალო მონაწილეობა მიიღონ მუშათა კლასის ყოფაცხოვრების ახალ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში, ამ მიზნით დამზღვევი ორგანოები იღებენ საგრძნობ თანხებს, საბავშვო ბაღების, საბავშვო ბაგების, სამზარეულოების, სამრეცხაოების, აბანოების, მოწაფეთა კვების საქმის მოზარდთათვის დასასვენებელ სახლების და ბანაკების მოსაწყობად ებმებიან მუშათა საბინაო აღმშენებლობის საქმეში. ამნაირად, თუ ერთის მხრივ ეს ღონისძიებანი ხელს უწყობენ მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების ახალ საფუძველზე გარდაქმნას, მეორეს მხრივ—ფართო სარბიელს აძლევენ ქალთა შრომას ჩვენს სახალხო მეურნეობაში, ვინაიდან დედობის მოვალეობა აღარ ხდება დამაბრკოლებელი მიზეზი დედაკაცის სამრეწველო - საზოგადოებრივი შრომის ფერხულში ჩაბმისათვის.

ამიერიდან დამზღვევი ორგანოები დაზღვეულთა უზრუნველყოფის საქმეში, დახმარებათა დანიშვნა-გაცემის დროს ველარ იხელმძღვანელებენ „თანასწორობის" პრინციპით.

პირველ რიგში და ყველაზე უკეთ სოციალური დაზღვევის ხაზით უზრუნველყოფილი უნდა იქნენ მუშათა მასების ის ნაწილი, რომელიც ჩაბმულია მრეწველობის ძირითად დარგებში. აგრეთვე უზრუნველყოფის საქმეში ინდივიდუალური დახმარების წესებმა ადგილი უნდა დაუთმოს კოლექტიურ დახმარების წესებს. მუშაობის ძველი მეთოდებით სოციალური დაზღვევის ორგანოები ამ ამოცანებს ვერ გადაჭრიან. სოციალური დაზღვევის ორგანოების მთელი საქმიანობა გადატანილი უნდა იქნეს უშუალოდ თვით წარმოებაში ქარხანა-ფაბრიკაში, მუშათა ფართო მასების უშუალო კონტროლის ქვეშ.

ამ ფრიად მრავალფეროვანი და რთული ამოცანების წარმატებით გადაჭრა შეუძლია მხოლოდ თვით მუშათა აქტიობას და შემოქმედებას.

ამიერიდან მუშათა აქტივი ყოველწლიურად თითონვე შეადგენს მუშაობის გეგმას სოციალური დაზღვევის დარგში. თვითეული ქარხნის ბიუჯეტი შეჯამდება წარმოების დარგების მიხედვით, ხოლო შემდეგ მთლიანად და მივიღებთ სოციალური დაზღვევის მთლიან ბიუჯეტს, მთელი სახალხო მეურნეობისათვის.

მუშათა ჯანმრთელობის დაზიანებას ხშირად უბრალო უყურადღებობა და წვრილმანი დეფექტები იწვევს.

მაგალითად ფანჯრებში მინების ჩაუსმელობა, ადუღებული წყლით მოუმარაგებლობა, დაზგების არარაციონალურად გაწყობა, ვენტილიაციის მოუწყობლობა და სხვა. თვითეულ ამ დეფექტს სათანადო პირობებში შეუძლია გამოიწვიოს მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევათა გახშირება.

ასეთი დეფექტების თავიდან აცილებისათვის ეძლევა ფართო ასპარეზი თვითეული ქარხნის მუშათა აქტივს. ამ ნიადაგზე უნდა დაიწყოს გაცხოველებული შეჯიბრი ქარხნებს შორის.

ასეთი შეჯიბრის შედეგად ჩვენ მივიღებთ ორ უდიდეს სარგებლობას. პირველი: ნაცდურ დღეების შემცირებით უნაკლულოდ შევასრულებთ ქარხნის საწარმოო სათ. გეგმას და მეორე—იმ ეკონომიის 50 პროც., რომელსაც ნაცდური დღეების შემცირებით მივიღებთ დარჩება ამავე ქარხნის მუშებს თავიანთი ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ჯ. ხუტულაშვილი.

# სტუდენტების სოციალური დაზღვევა

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს ახალი დადგენილებით კვალიფიკაციის ასამაღლებელი და კადრების მოსამზადებელი სხვადასხვა კურსების მსმენელები, რომლებიც დაქირავებით მუშაობდნენ უშუალოდ კურსებზე შესვლამდე — დაზღვეული უნდა იქნან საერთო წესით.

მათი დასაზღვევი ანარიცხები შეაქვს კურსების ადმინისტრაციას, აგრეთვე იმ წარმოებების ან დაწესებულებების ადმინისტრაციას, რომლებიდანაც მსმენელები გაგზავნილი იყვნენ კურსებზე, შეაქვს ანარიცხები ყველა თანხებიდან, რომლებიც კურსანტებს მიეცემა სწავლების განმავლობაში — სტიპენდიების, საშუალო ხელფასის, სტიპენდიის ან საშუალო ხელფასის დამატების სახით და სხვ.

ამასთან შეფარდებით დახმარებისა და პენსიის გამოანგარიშების დროს ყველა თანხები, რომლებსაც კურსანტები იღებენ კურსების ადმინისტრაციისაგან და წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაციისაგან (საიდანაც ისინი გაიგზავნენ კურსებზე), ითვლება მათ შრომის ხელფასად.

რაც შეეხება უმაღლეს ტექნიკური სასწავლებლების და ტექნიკუმების მოსწავლეებს, ისინი მთლიანად საერთო წესით უნდა იქნან დაზღვეული საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს. დასაზღვევ ანარიცხებს პრაქტიკანტების ხელფასის მიხედვით იხდიან ის წარმოება-დაწესებულებები, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას.

დახმარება დრ. შრომის უნარიანობის დაკარგვის გამო პრაქტიკანტებს ეძლევათ პრაქტიკის დამთავრებამდე. მაგრამ, თუ დროებითი შრომის უნარის დაკარგვა გამოწვეულია მუშაობის დროს დაშვებით ან პროფესიონალური დაავადებით, პრაქტიკანტს დახმარება ეძლევა განკურნებამდე ან ინვალიდობის დადასტურებამდე.

დანარჩენი დროის განმავლობაში (საწარმოო პრაქტიკის გარეშე) უმაღლესი სასწავლებლების და ტექნიკუმების მსმენელები არ იზღვევიან, თუ მათ სადმე შრომის ხელფასი არა აქვთ მიღებული.

მაგრამ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების, მუშფაკების, ტექნიკუმების და საბჭოთა პარტიულ სკოლების ის მოსწავლეები, რომლებიც დაქირავებით მუშაობდნენ უშუალოდ სასწავლებელში შესვლამდე, სარგებლობენ დაზღვეულთა ყველა უფლებებით გარდა დახმარების მიღების უფლებისა დრ. შრომის უნარის დაკარგვის დროს. კერძოთ ეს მოსწავლეები და მათი ოჯახები სარგებლობენ ბავშის მოსავლელ საგნების შესაძენათ საჭირო თანხის, ბავშის კვებისათვის და ოჯახის წევრის დასაფლავებისათვის საჭირო დახმარების მიღების უფლებით. ეს მოსწავლეები სარგებლობენ პენსიის მიღების უფლებით ინვალიდობის დროს, მათი ოჯახის წევრები კი — პენსიის უფლებით მარჩენალის სიკვდილის შემთხვევაში.

დაბოლოს, სასწავლო - საწარმოო წარმოებების (ფაბრიკა - სკოლები, ქარხანა-სკოლები) მოსწავლეები, გარეშე იმისა — მუშაობდნენ თუ არა ისინი წინად დაქირავებით, სარგებლობენ დაზღვეულთა ყველა უფლებებით, გარდა დახმარების მიღების უფლებისა დრ. შრომის უნარის დაკარგვის დროს.

სასწავლო - საწარმოო წარმოებების იმ მოწაფეთა პენსიების გამოანგარიშების დროს, რომელთაც დაქირავებით არ უმუშავნიათ, სტიპენდიები ითვლება მათ ხელფასად.

საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს სხვა საწარმოები, საწარმოო - სასწავლო წარმოების მოწაფეები სრულიად უნდა იქნან დაზღვეული.

ზემოთმოყვანილი წესები არ ვრცელდება საქარხნო - საფაბრიკო სკოლებზე და აგრეთვე წარმოება - სკოლებზე, რომლებსაც სამეურნეო ორგანოები აწყობენ.

# თბილისის კომუნალური მუზეუმი ახალი გზით

აქამდე საქართველოს მუზეუმები სუსტად ეხმაურებოდნენ კულტურული რევოლიუციის საკითხებს. ჯერ კიდევ რესპუბლიკის არც ერთ მუზეუმს არ გარდაუქმნია მუშაობა ახალი ამოცანების შეფარდებით.

ჰმიტომ უნდა მივესალმოთ ამ მხრივ თბილისის კომუნალური მუზეუმის თაოსნობას.

სასწავლო წლის დაწყებისათვის მან ფართოდ უნდა გახსნას თავისი კარები, როგორც ნამდვილმა საბჭოთა მასიურმა დაწესებულებამ.

მუზეუმის მიერ გამომუშავებული გეგმით, ექსპონატების ნახვა შეიძლება 2 მთავარ განყოფილებაში და მათ ქვეგანყოფილებებში.

პირველ განყოფილებაში მნახველს წარმოუდგება თბილისის წარმოშობის ცოცხალი სურათი, როცა იგი წარმოადგენდა ხელოსნების უძველეს საცხოვრებელ ადგილს სავაჭრო გზაჯვარედინზე საქართველოში პატრიარქალური კომუნიზმის ეპოქის არსებობის დროს. ლეგენდარულ და ბურჟუაზიულ ახსნა-განმარტებებს დაუპირისპირდება მეცნიერულად დასაბუთებული თვალსაზრისი. შემდეგ მნახველი გაეცნობა დედა-ქალაქის გადმოტანის მიზეზებს მცხეთიდან თბილისში: ქალაქის ეკონომიური და, ამასთან დაკავშირებით, პოლიტიკური ზრდა, რის ილიუსტრაციასაც წარმოადგენს ქალაქის ციხე, რომელიც უკვე მეოთხე საუკუნეში არის აგებული.

უძველესი, ჩვენს დრომდე მოღწეული ცეცხლის თაყვანისმცემელთა კულტის „ათეშგა"-ს ძეგლები და სიონის ტაძარი დასახულია სავაჭრო კაპიტალის ფორპოსტებად: ათეშგა-სპარსეთის სავაჭრო კაპიტალის, ხოლო სიონის ტაძარი—ბიზანტიის. გარდა ამისა, მნახველი გაიგებს, რომ ათეშგას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა—მისი საშუალებით ხდებოდა ზოროასტრის მოძღვრების გავრცელება, რომ ამ მოძღვრებასთან დაკავშირებული საზოგადოების კასტიური სტრუქტურა თავის დროზე გამოყენებულ იქნა კლასობრივი თავდაცვის მიზნით ხელოსნების მიერ, რომლებიც გაერთიანდნენ „ამქრებად". ეს იყო შედეგი ახლად ჩასახული ფეოდალური წყობილების გავლენისა, რაც ხელსაყრელი იყო ბიზანტიის კაპიტალისათვის, რომელსაც საქართველოში თავისი მომხრე ჰყავდა—გურამ კურაპალატი, სიონის ტაძრის მშენებელი.

ამგვარ ხაზით მიმდინარეობს თბილისის ისტორიული პერიოდებისა და მისი ცხოვრების ყოველი მხარის ჩვენება (არქიტექტურა, ყოფა-ცხოვრება და სხვ.).

განსაკუთრებით სრულად იქნება წარმოდგენილი მუზეუმის ძირითადი განყოფილება, საქალაქო მეურნეობის განყოფილება, რომელიც პირველად ეწყობა.

ამ განყოფილების მასალების ექსპოზიცია აგებულია 2 ეპოქის ჩვენებაზე: ქალაქის მართვის კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების ეპოქის ჩვენებაზე. ამ განყოფილებამ უნდა მოგვცეს თვალსაჩინო მასალა კომუნალური მეურნეობის მუშაკთა ახალი კადრების მოსამზადებლად, იგი დამხმარე და დასაყრდნობი იქნება ჩვენი სასწავლებლებისათვის.

ვ. ვ.

# მარგანეცის ტრესტის აპარატის წმენდის შედეგები

„მარგანტრესტის" აპარატის გამწმენდმა კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა და წმენდის შედეგები გამოაცხადა დაწესებულების თანამშრომელთა საერთო კრებაზე.

კომისიის დადგენილებით სამსახურიდან მოხსნილნი არიან:

**ალექსანდრე მიხეილის ძე დარახველიძე** (საფინანსო ნაწილის გამგე), ანტისაბჭოთა ელემენტი, მას კავშირი აქვს შავი ქვის ყოფილ მრეწველებთან და უცხო კონცესიონერებთან, არის ბიუროკრატი, უყვარს ბანქოს თამაში, მოხსნილი იყო საქ. „სახკანმრეწვიდან" როგორც სუსტი მუშაკი, მუშებს უხეშად ეპყრობოდა, საწევრო ანარიცხების გადაუხდელობის გამო გამორიცხულია კავშირიდან. მოიხსნა პირველი კატეგორიით.

**სამსონ სიმონისძე ნიკურაძე** (სამნქო ნაწილის გამგე), ანტისაბჭოთა ელემენტი. გაურბის საზოგადოებრივ საქმიანობას, მას შრომის სიაში არ აქვს ჩაწერილი თავისი წარსული სწორად. მოიხსნა მეორე კატეგორიით და აეკრძალა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობა.

**არკადი სერგოს ძე სტეფანოვი** (ბუჰჰალტერ-ეკონომისტი) არის ბიუროკრატი, სამსახურისადმი იჩენს გულგრილობას, ყოფილი დაშნაკი და ამჟამადაც გაჟღენთილია ნაციონალური მიდრეკილებით. რაიონში წასვლაზე უარს აცხადებს, გაურბის საზოგადოებრივ საქმიანობას. გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

**ტატიანა პავლეს ასული ანდრონიკოვა** (მემანქანე) პოლიტიკურად საეჭვო ელემენტი, სამუშაოთი არ არის დატვირთული, კერძო სამუშაოებს ასრულებს ტრესტის მანქანებზე, სამსახური მიატოვა 3 დღით მოიხსნა მე-3 კატეგორიით და აეკრძალა სამეურნეო ორგანიზაციებში მუშაობა.

**მიხეილ გრიგოლის ძე ლობჟანიძე** (მოლარე) არა საბჭოთა ელემენტი, დატვირთული არ არის მუშაობით, სამუშაო საათებში გართულია რომანების კითხვით, არის ლაქუცა, დემაგოგი, მოიხსნა მეოთხე კატეგორიით და აეკრძალა საექსპორტო-საწარმოო და სამეურნეო ორგანოებში მუშაობა.

**გრიგოლ ბეგლარის ძე ჭელიძე** (მომარაგების აგენტი) გაურბოდა წმენდის მოსამზადებელ მუშაობას, თვით წმენდაზეც გამოიჩინა ერთგვარი უტაქტიკობა, არ ეწევა არავითარ საზოგადოებრივ საქმიანობას, არის ზარმაცი, მატყუარა, პასიური მუშაკი, მოიხსნა თანამდებობიდან და საქმე გადაეცა საქ. კ. პ. (ბ) საკონტროლო კომისიას.

ი. ბ.

# ქრონიკა

## წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა თბილისში გადაჭარბებით შესრულდა

გეგმით 1930—31 წელს თბილისში უნდა ესწავლათ წერა-კითხვა 250 ჯგუფში 7.500 კაცს. ისწავლა 7.963 კაცმა (5.855 კაცი და 2918 ქალი) 336 ჯგუფში, რომლიდანაც 297 ჯგუფის მასწავლებლები უფასოდ მუშაობდნენ. საერთო რიცხვიდან წერა-კითხვა ისწავლეს 486 თურქმა, 176 ოსმა, 339 ეზიდმა, 143 ებრაელმა, 19 ბერძენმა და 60 აისორმა (ადს).

## უკრაინელ სტუმრების გამგზავრება

22 ივლისს თბილისიდან უკრაინაში გაემგზავრნენ უკრაინელი სტუმრები გარდა მსახ რუდიაკოვისა, რომელიც დარჩება თბილისში უკრაინულ ხელოვნების გამოფენის დახურვამდე.

## სამხატვრო კურსები მუშა და კოლმეურნეთათვის

20 ივლისიდან პროფსაბჭოს და განსახკომის მიერ გახსნილია მოკლევადიანი უფასო სამხატვრო კურსები პ. ი. სახვით ფაკულტეტზე შემსვლელ მუშების და კოლმეურნეების მოსამზადებლად.

მეცადინეობა სწარმოებს ყოველდღე საღამოს 5-8 საათ. გრიბოედოვის ქუჩა 22.

## ლიტოპონის ქარხანა ქუთაისში

ამიერ-კავკასიის სმუ საბჭომ დაამტკიცა ქუთაისში ლიტოპონის ქარხნის აგების პროექტი. ქარხანა წელიწადში დაამუშავებს 12.000 ტონა ლიტოპონს. ქარხნის მშენებლობას შეუდგებიან მიმდინარე წელს.

## უკრაინელი სტუმრები უფლისციხეში

21 ივლისს, უკრაინელი სტუმრები პროფ. ერნსტის მეთაურობით გაემგზავრნენ თბილისიდან უფლისციხეში კლდის ქალაქის დათვალიერების მიზნით.

# ჭადრაკი

## ა.-კ. მოჭადრაკეთა შეჯიბრება

სამშაბათს, 21 ივლისს, გაიხსნა ამიერ-კავკასიის მოჭადრაკეთა შეჯიბრება. მონაწილეობს სულ 14 კაცი, რომლებიც კენჭისყრით ასე განაწილდენ: **1) აქშანოვი, 2) ჩულკოვი, 3) შახნაზაროვი, 4) სოროკინი, 5) მაესტრო გოგლიძე, 6) სარიჩევი, 7) ტარსაიძე, 8) დემიდოვი, 9) ებრალიძე, 10) ტალვიკი, 11) ვეიზერი, 12) როსტოვცევი, 13) ევლახოვი და 14) ვლადისლავლევი.**

სხვადასხვა საპატიო მიზეზებით შეჯიბრებაში მონაწილეობას არ ღებულობენ ისეთი ძლიერი მოჭადრაკეები, როგორიც არიან:მაესტროები: ვლ. და მ. მაკაგონოვები, სმოროდსკი, კასპარიანი, აბრამიანცი, მალუნცევი, გულიშამბაროვი, ვოინოვი, მირზაევი, და ასოვსკი.

დღეს, 23 ივლისს, ვათამაშდება შეჯიბრების მეორე ტური, თამაშობენ: როსტოვცევი—სოროკინი, ვეიზერი-გოგლიძე, ტალვიკი-სარიჩევი, ებრალიძე-ტარსაიძე, ევლახოვი-შახნაზაროვი, ვლადისლავლევი-დემიდოვი, აქშანოვი-ჩულკოვი, თამაში სწარმოებს წითელ არმიის სახლის შენობაში (რუსთაველი 10) დასაწყისი საღამოს სრულ 6 ნახ. საათზე.

# იურიდიული დახმარება

## აზნავთის მცხეთის ნავთსადენის მუშებს

კითხვა

გვიხდება ზედმეტ საათებში მუშაობა, რასაც ადმინისტრაცია გვინაზღაურებს მხოლოდ ძირითადი ხელფასის კვალობაზე და არა მთელი ფაქტიური გამომუშავების მიხედვით. რამდენად კანონიერია ადმინისტრაციის ასეთი მოქმედება?

პასუხი.

ზედმეტ საათებში მუშაობის ანაზღაურება უნდა ხდებოდეს მხოლოდ სატარიფო განაკვეთით დაწესებულ ხელფასის მიხედვით.

## რკინის გზელს კონსტანტინე კაპანაძეს

კითხვა

ვცხოვრობ და ვმუშაობ ქ. ზესტაფონში, რამდენად კანონიერია რომ მე გადამხდეს საგზაო შრომითი ბეგარა პირადი შრომის ან ფულადი ანაზღაურების სახით?

პასუხი.

თუ თქვენ არ გაქვთ საკუთარი სასოფლო მეურნეობა, საგზაო შრომითი ბეგარისაგან სრულიად უნდა განთავისუფლონ.

# ოფიციალური განყოფილება

## დადგენილება

### საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1931 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის მაისის 23-ის დადგენილებით (სსრ კავშირის კანონთა კრებული 1931 წ. 32 №-ი, მუხ. 244) დამტკიცებული წყლის გამოსაღების დებულების შესაბამისად და ამავე დებულების 5, 8, 10, 15, 20, 32 და 35 მუხლებისა და ა. კფსრ-ში 1931 წ. წყლის გამოსაღების ჩატარების თაობაზე გამოცემული ამიერ-კავკასიის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის ივნისის 24-ის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა" 1931 წ. № 182) საფუძველზე—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებითა და ოლქითურთ, შემდეგი წესი 1931 წელს წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

#### 1. ზოგადი დებულებანი

1. წყლის გამოსაღები შემოიღება საქართველოს სსრ წყლის ქსელის ექსპლოატაციისა და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობაში მყოფ წყალ-სამეურნეო დაწესებულებათა ქვედა აპარატის შენახვისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად.

2. წყლის გამოსაღებით შემოსული თანხებიდან გაწეულ უნდა იქნეს წყლის ქსელის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული შემდეგი ხარჯები:

ა) წყალ-სამეურნეო გამართულობათა და ნაგებობათა მიმდინარე რემონტი და აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებასთან დაკავშირებული პროექტირება;

ბ) არსებულ წყლის სისტემათა საექსპლოატაციო დარგის ორგანოების სასამსახურო, სასაწყობო და სხვა სადგომების შენახვა და რემონტი;

გ) არსებულ წყლის სისტემათა სატელეფონო კავშირგაბმულობის შენახვა და რემონტი;

დ) საექსპლოატაციო იდრომეტრია და მიმდინარე სტატისტიკა;

ე) საერთო სარგებლობის არხების გასწვრივ ხეების დაცვა;

ვ) რწყვის პერიოდში წყლის განაწილების მოწესრიგებისათვის საჭირო სამუშაოები;

ზ) ქვედა წყალ-სამეურნეო, მათ შორის სარაიონო, დაწესებულებათა საექსპლოატაციო შტატის შენახვა, და აგრეთვე მირაბებისა, ჯუვარების, ყარაულებისა, მოარული წყლის დარაჯებისა და სხვ. სრული შენახვა.

**შენიშვნა.** მთლად საირიგაციო სისტემაზე საწარმოები ახალი დიდი და წვრილი მშენებლობის ხარჯები წყლის გამოსაღებით არ დაიფარება.

3. საგადასახადო წელიწადი წყლის გამოსაღებისათვის დაწესებულია იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე ამ რიცხვითურთ.

4. წყლის გამოსაღები გადახდება როგორც სოფლად, ისე ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას ყველა იმ სახელმწიფო ორგანოს, კოოპერატიულ და კერძო ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელიც გამოიყენებს წყალ-სამეურნეო სისტემას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მორწყვისა ან მელიორაციისათვის, აგრეთვე ვინც მოიხმარს წყალს ან გამოიყენებს წყლის ენერგიას სამრეწველო ან სატექნიკო მიზნით.

**შენიშვნა.** წყლის გამოსაღები არ უნდა გადახდეს იმ წყალმომქმედ საწარმოს, რომელიც წყალს ხმარობს, როგორც ამამოძრავებელ ძალას ან ტექნიკური და სამრეწველო მიზნით, პირდაპირ ბუნებრივი წყალსაცავიდან (მდინარე, ტბა და სხვ.) და აგრეთვე ტარიფით დადგენილი სასყიდლით—კომუნალური წყალსადენიდან.

5. წყლის მოსარგებლენი, გარდა წყლის გამოსაღების გადახდისა, გაწვეულ იქნებიან ნატურალურ წყალ-სამეურნეო ბეგარაზე იმ წესით, და იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილებით (კან. კრ. 1931 წ. 10 №-ი, მუხ. 116).

6. წყლის გამოსაღები სოფლად და იმ ქალაქებში, სადაც „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე 1931 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ" გამოცემული საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 18-ის დადგენილების (კან. კრ. 1931 წ. მე-7 №-ი, მუხ. 72) 31 მუხლის თანახმად შემოღებულია ამ გადასახადით დაბეგვრა, გამოიანგარიშება შემოსავლის მიხედვით, რასაც მეურნეობა მიიღებს ფულად და ნატურად შემდეგი წყაროებიდან:

ა) სარწყავი მიწიდან, რაზედაც გაშენებულია როგორც სამინდვრო, ისე სპეციალური კულტურები (ბაღი, ვენახი, ბოსტანი, პლანტაციები და სხვ.);

ბ) საწარმოდან, რომელიც წყლის ენერგიის გამოყენებით მუშაობს, ან რომელიც იყენებს წყლის ტექნიკური თუ სამრეწველო მიზნით.

წყლის გამოსაღები ქალაქად და აგრეთვე იმ საწარმოთათვის, რომელნიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან და წყალს იყენებენ როგორც ამამოძრავებელ ძალას ან ტექნიკური და სამრეწველო მიზნით, გამოიანგარიშება ამა დადგენილების მე-3 კარში აღნიშნული წესისამებრ.

#### 2. საბჭოთა მეურნეობის დაბეგვრა

7. საბჭოთა მეურნეობა წყლის გამოსაღებს გადაიხდის მტკიცე განაკვეთით—5 კაპიკს იმ შემოსავლის თვითეულ მანეთზე, რასაც მეურნეობა მიიღებს სარწყავი მცენარეობიდან და წყლის ენერგიის გამოყენებით მომუშავე ან წყლის ტექნიკური მიზნით მოსარგებლე საწარმოდან.

საბჭოთა მეურნეობის შემოსავალი სარწყავი მცენარეობიდან განისაზღვრება შემოსავლიანობის იმ საშუალო ნორმების მიხედვით, რაც საქართველოს სსრ-ის ინდივიდუალური მეურნეობებისათვის დაწესებულია „ა. კსფსრ-ში 1931 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ" გამოცემული ა. კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აპრილის 16-ის დადგენილების 1-ლი მუხლით (ა. კფსრ-ის კან. კრ. 1931 წ. 8 №-ი, მუხ. 103), ხოლო შემოსავალი დანარჩენი ზემოაღნიშნული წყაროებიდან ანგარიშების მიხედვით.

8. საბჭოთა მეურნეობა არა უგვიანეს 1931 წლის ნოემბრის 1-სა გამოიანგარიშებს თავის ხვედრ წყლის გამოსაღებს და გადაიხდის მას ორ ვადაზე: 50 პროც. 1931 წ. ნოემბრის 1-სათვის და 50 პროცენტს 1931 წ. დეკემბრის 15-სათვის.

**შენიშვნა.** წყლის გამოსაღები იმ საწარმოსათვის, რომელიც წყლის ენერგიის გამოყენებით მუშაობს ან წყალს ტექნიკური მიზნით სარგებლობს, გამოანგარიშება ორიენტირულად ამ საწარმოს 1931 წლის პირველი ნახევრის შემოსავლის ცნობების მიხედვით. აღნიშნული საწარმოსათვის წყლის გამოსაღების საბოლოო გამოანგარიშება მოხდება წლიური ანგარიშის ცნობების საფუძველზე არა უგვიანეს 1932 წლის თებერვლის 1-სა, ამ დადგენილების 15 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

#### 3. დაბეგვრა სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციებისა და კერძო პირებისა, რომელნიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან

9. წყლის გამოსაღები ქალაქებისათვის და აგრეთვე იმ საწარმოთათვის, რომელნიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრებიან, დაწესებულია შემდეგი რაოდენობით:

ა) სარწყავი მიწის ნაკვეთის თვითეულ კვადრატულ მეტრზე—0,2 კაპ.;

ბ) ადგილობრივი ტიპის წყალ-მომქმედ საწარმოსათვის (წისქვილი, სანაყავი, და სხვ.) ყოველ თვალზე, ყოველ ვალცენზე ან წყვილ მორგვზე,—იმის მიხედვით წყალი იმავე არხში ვარდება, თუ სხვა არხში—5 და 15 მან.;

გ) საინჟენერო ტიპის წყალმომქმედი საწარმოსათვის (მექანიკური ძრავით), რომელიც წყალს იყენებს, როგორც ამამოძრავებელ ძალას, თვითეულ ძალაზე—იმის მიხედვით, წყალი იმავე არხში ვარდება, თუ სხვა არხში—10 და 20 მან.;

დ) იმ საწარმოსათვის, რომელიც წყალს სამრეწველო და ტექნიკური მიზნით იყენებს (რკინის გზის გარდა) თვითეულ კილოლიტრზე—1,65 კაპ.

10. წყლის გამოსაღები რკინის გზისათვის დაწესებულია შემდეგი რაოდენობით;

ა) სარწყავი სელიდან მიღებით, თვითდენით განუწყვეტლივ მიღებული წყლისათვის ერთ სეკუნდო-ლიტრზე—800 მან.;

ბ) წყლის საქანით მიღებული წყლისათვის ერთ კუბომეტრზე—3 კაპ.

რკინის გზა წყლის გამოსაღებს გამოიანგარიშებს არა უგვიანეს 1931 წლის ნოემბრის 1-სა ორიენტირულად იმისდამიხედვით, თუ რამდენი წყალი დაიხარჯა 1931 წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში და ვადიხდის მას ორ ვადაზე: 50 პროც.—1931 წ. ნოემბრის 1-სათვის და 50 პროც.—1931 წ. დეკემბრის 15-სათვის.

**შენიშვნა.** წყლის გამოსაღების საბოლოო გამოანგარიშება წლიური ანგარიშის ცნობების მიხედვით მოხდება იმ ვადაზე და იმ წესით, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-15 მუხლში.

(გაგრძელება იქნება)

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— წინადადება ეძლევათ ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 23 ივლისს, სრულ 4 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) **თბილისის კომიტეტის კადრების განყოფილებაში** (ოთახი № 13) ამხ. თარხანოვთან: რურიშვილი და ქოჩაროვი (მიწსახკომის აგრო-ფაბრიკა), ნ. ბუჯიაშვილი (საბინაო ამხ-ბა № 11), ბეჟანოვი (თბ. კადრების სამმართველო), ფილიპოვი („ზაკსოიუზი"); დევდარიანი (საამქ. საზ-ბა „უსტანოვკა"), ჯოხაძე (პროფსაბჭო), თუშიშვილი (საქ. ს. მ. უ. ს.), ბოკერია, ლასკარი, ვოშაძე, შ. ქეიშვილი და ფურცხვანიძე (ცეკავშირი), უჩაევი (ამიერ-კავკასიის გზ. ტრანსი), ფანჩხავიძე (ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატი), პ. თარხანოვი („ზაკსოიუზ"-ის დარგობრივი გაერთიანება), ცქიტიშვილი (საქ. სახკომსაბჭო), კუხალეიშვილი (სახელმწიფო ბრაკგარაჟი), ადამიანი (ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისია), ალ. ჭაჭიაშვილი (საქ. ცაკი) და შორია (ეკონ. გამოკვლევათა ინსტიტუტი).

—:—

— **ს. კ. პ. (ბ) ც. კ. კადრების განყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს 23—7-31 წ. 10 საათზე ამხ. აფციაურთან ოთახი № 35-ში. კურასპედიანი, გ. თოფჩიშვილი.

—:—

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტპროპგანყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 23 ივლისს, საღამოს 7 საათზე, თბილისის კომიტეტის შენობაში (ოთახი № 11): კეკელია (რკინის გზის რაიპროფსაბჭო), ცურინოვი (მბეჭდავთა კლუბი), ბაქრაძე (ულმერთოთა თბ. საბჭო), ჩერქეზიშვილი (სას. სამ. ინსტ.), ჯალაღანია (სას. სამ. ინსტ.), მარქარიანი (უცხო ენების კურსები), თვალჭრელიძე (სახელმწიფო პოლიტსამმართველო), თიკანაძე (ა. კ. სმუს), ბუხნიკაშვილი (პროლეტმწერლების ასოციაცია), მელიქაძე (პედტექნიკუმი), იორდანიძე (საინჟ. ტექნ. ძალთა ბიურო), ბოკუჩავა (პროფსაბჭო), ელიაშვილი (სამანქანო-სატრაქტორო სადგური და მოჯამაგირეთა კავშირი), ჯანბერიძე (მიწადმოქმედების საბჭოთა მეურნ. კავშირი), პეტროვი (მანქანათმშენებლობის ამიერ-კავკასიის კავშირის სტალინის სახ. კლუბში), გუდკოვსკაია (აბრეშუმის ტრესტის კავშირი), ჯინორია (რკინის გზის რაიპროფსაბჭო), გაბუნაშვილი (პლეხანოვის კლუბის გამგე), პუსეცკი (საგზაო საინჟ. ტექნ. ძალთა ბიუროს თავმჯდომარე), ლიტოგრაფიის ფაბქარხკომის პასუხისმგებელი მდივანი, ცეცხლაძე (განათლების მუშაკთა პარტკოლექტივი), ევგ. ნუცუბიძე (საგზაო პროფსაბჭო), ბეჟანოვი (ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამობილიზაციო განყ.), კუჭავა (რკ. გზის რაიპროფკავშირი), ისკანდაროვი (ა. კ. რკინის გზების დირექცია).

**საქ. ცენტრ. საკონტრ. კომისია—მუშათა და გლეხთა ინსპექცია** 23 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ამხ. ფანცულაიას კაბინეტში იწვევს თათბირს მთელ რიგ **საბჭოთა-სამეურნეო და რესპუბლიკანურ დაწესებულებათა გამოკვლევის საკითხის გამო.**

ქვემო დასახელებულ დაწესებულებათა და საწარმოთა უჯრედების მდივნებისა და შეფბრიგადების ხელმძღვანელთა დასწრება **აუცილებელია:** საქ. მიწსახკომი, საქ. კოლმეურნეობათა ცენტრი, შრომის სახკომი, სოც. უზრუნველყ. კომისარიატი, ცეკავშირი, საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, განსახკომი, ჯანსახკომი, მერძეობა-მეპირუტყვ. კავშირი, საქ. ს. მ. უ. საბჭო, თბილისის საბჭო, არსენალი, მკერავი № 1, სანტექმშენი, თბილისის სადგური, პირველი სტამბა, ტრამვაი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრები: ადამიძე, სტ. ალავერდოვი, ივ. ვოლსკი, გელაშვილი, არშაკ გრიგორიანი, პეტრე ქერქაძე, საბა კუხალეიშვილი, ნ. პირიაშვილი, იოსებ სირაძე, სარქ. ტრდატიანი, ასკერი, გრ. ავაქოვი, ვ. არჩვაძე, მარიამ არუთინოვი, სტეფ. გორიშვილი, ვას. ველაშვილი, ვარო ჯაფარიძე, ლევან ენუქიძე, ოგანეს იტრიევი, კორნ. ქაცარავა, ტ. კობიძე. ნ. კიკნაძე, ისაი გოლიპხაი.

—:—

**საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კადრების განყოფილება** წინადადებას აძლევს შემდეგი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კადრების დარგში მომუშავეებს 23 ივლისს, დილის 11 საათზე დაუგვიანებლად გამოცხადდნენ № 41 ოთახში ამხ. ავეტისოვთან:

საქ. ა. ლ. კომკავშირის ც. კ-ი, განსახკომი, ინსტიტუტები (უმაღ. სასწ., ტექნ. სასწავლ.), სახელმწ. თეატრები, სოცდაზღვევის სრ. საქართველოს კომიტეტი, საქ. პროფსაბჭო, საქ. ინჟ.-ტექნიკოსთა კავშირთაშორისო ბიურო, საქ. ცაკი, საქ. სახკომსაბჭო და ეკონომ. საბჭო, თბ. ქალ. საბჭო, ქართ. მსროლელთა 1 და 2 დივიზია. საქ. სახელმწ. პოლ. სამმართველო, სახელ. პროკურატურა, საქ. უზენაესი სასამართლო, საქ. ს. მ. უ. საბჭო, საქნავთი, საქციო საზ-ბა „საქ. ჩაი", სახკინმრეწვი, საქ. ფინსახკომი, სახელმწ. სალაროების სამმართველო, საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, საქ. კოლმეურნეობათა ცენტრი, მეთესლ. კოლმეურნ. ცენტრი, საქართ. წყალთა მეურნეობის სამმართველო. საქ. ჯანსახკომი, კურორტების მთავარსამმართველო, აფთიაქების რესპუბლ. სამმართველო, სოც. უზრუნვ. სახალხო კომისარიატი, კომუნ. ბანკი, სახელმწ ბანკის თბილ. საქ. განყოფილება, ცეკავშირი, სარეწაო კავშირი, საბინაო კავშირი, მემინდვრ.-მეცხოველეობის კავშირი, ბაღბოსტანკავშირი, სახელმწ. საგეგმო კომისია, საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია, საქ. მოხმარ. სახ. კომისარიატი, საქ. მარაგვაჭრობა, საქ. რძის პროდუქტი, საქთევზი, საქ. უტილნედლეული, „სოიუზმისხ"-ს საქ. განყოფ., ა.-კ. ს. ფ.ს. რ-ის ფოსტა-ტელეგრ. რწმუნ., საქ. ს. ს. რ-ში, საქ. გზატრანსი, „სოიუზტრანს"-ი, ნებაყოფლობითი საზოგადოებანი, გაზეთების რედაქციები, საქ. პროლ. მწერალთა ასოციაცია, სახელგამი, ცენტრ. პარტსკოლა, საქ. პროფსაბჭოს გამ-ბა, „შრომა", რადიოცენტრი, ქართული წიგნი, საქ. საცალო ვაჭრობა.

საზაფხულო ეთერი (სახ. ოპერის ბაღში)
პირვ. სეანსის დასაწყისი 9 ს.
ამერიკული კომედია
უკანასკნელ წუთში
ბიბ დანიელსის
მონაწილეობით.

საზაფხულო დარბაზი
1 სეან. დასაწ. 9 ს., 11—10 ს. 45 წ.
გაროლდ ლოიდი
ახალ მხიარულ კომედიაში
უმცროსი ვაჟი

სტალინის სახელ. კლუბის კინო
(ყ. პალასი)
1-ლი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.

ახალი მხატვრული ფილმი
ზღვის მხვნელები
მთ. როლებში: ა. არნოლდი და ტუტ-კორსო.

## ა.-კ. რკინის გზების მეორე საექსპლოატაციო რაიონი

აუწყებს ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს რომ

### თბილისის სადგური, საწყობების საქონლით გაჭედვის გამო,

შეუდგა „სოიუზტრანს"-ისა და დანარჩენი სატრანსპორტო ორგანიზაციების საწყობებში ყოველგვარი ტვირთის გადატანას, რომელიც არ წაუღიათ გზის საწყობებიდან, აგრეთვე სადგური იწყებს ნავთლუღის სადგურისა და საერთოდ გადასარბენების განტვირთვას იმ საქონლისაგან, რომელიც იგზავნება იმ კლიენტების მისამართით, რომლებსაც არ გააქვთ თბილისიდან თავიანთი ტვირთი, დამოუკიდებლად იმისა, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს ტვირთი, ამ გადატანასთან და საქონლის განტვირთვასთან დაკავშირებული ხარჯების ტვირთის მფლობელთა ანგარიშზე გადატანით.

ამასთან ერთად თბილისის საქონლის სადგური იწყებს ყველა იმ ტვირთის საჯაროდ გაყიდვას, რომელიც არ მოუკითხავთ 15 დღის განძავლობაში დღიდან მისი მოსვლისა, აგრეთვე უდოკუმენტო და ნაპოვნი ტვირთის გაყიდვასაც.

ვთხოვთ ყველა ორგანიზაციებს მიიღონ მონაწილეობა ყიდვაში, რადგან გასაყიდია ძალიან ბევრი საქონელი, საშენებელი მასალა და ყოველგვარი ტვირთი, რაც კი საჭიროა და აუცილებელი სახმარებლად.

ტვირთის ვრცელი სია მოიკითხეთ თბილისის საქონლის სადგურზე.

ნ 1454

## საქ. სააღმშენებლო ინსტიტუტში 1931—32 სასწავლო წლის

## მიღების შესახებ

1. საქ. სააღმშენებლო ინსტიტუტთან გახსნილია შემდეგი სპეციალობები:

ა) სამოქალაქო მშენებლობის, ბ) სამრეწველო მშენებლობის გ) სასოფლო-სამეურნეო, დ) გიდროძალოვან დანადგომთა, ე) საკონსტრუქტორო.

2. სულ მიიღება ორივე წლისათვის 200 მსმენელი, მიღება იქნება დახურული. სწავლება იწარმოებს ქართულ ენაზე.

ადგილები ინსტიტუტში განაწილებულია რაიონების პარტიულ და აღმასრულებელ კომიტეტებზე, სადაც მსურველებს შეაქვთ განცხადებები. აქვე იქმნებიან კომისიები, რომლებიც არჩევენ კანდიდატებს და აგზავნიან ინსტიტუტის კომისიაში საბოლოო დასამტკიცებლად.

რაიაღმასკომებს და პარტკომებს ინსტიტუტის მიერ დაგზავნილი აქვთ ადგილების რაოდენობა და მიღების პირობები, მათვე გადაეგზავნათ სპეციალური ანკეტები, რომლებიც უნდა შეივსოს მსურველის მიერ, რის შემდეგ მოწმდება სათანადო ორგანიზაციების მიერ და თანვე ერთვის ანკეტაში ჩამოთვლილი შემოწმებული საბუთები.

ადგილობრივმა კომისიებმა მისაღები კანდიდატების საბუთები უნდა გადმოაგზავნონ 5 აგვისტომდე, რის შემდეგ ინსტიტუტის კომისია იტოვებს უფლებას თავისუფალ ადგილებზე შეარჩიოს კანდიდატები.

ინსტიტუტის კომისიას ენიჭება უფლება, თუ ადგილობრივი კომისიები არ დაიცავენ პირობებს კანდიდატის შერჩევის დროს, უკან დააბრუნოს მათი კანდიდატი და მის ადგილას თვით შეარჩიოს.

მიღებულ მსმენელთა ნაკადის მიხედვით ჩარიცხვას აწარმოებს თვით ინსტიტუტის ადმინისტრაცია, რომელიც უფარდებს შესაძლებლობას და მსმენელთა სურვილს.

განაწილებულ ადგილების გარეშე ორგანიზაციების მიერ გადმოგზავნილი საბუთები არ განიხილება, არც სმუსის კადრების განყოფილების და არც ინსტიტუტის მიერ.

საქ. სმუს კადრების განყოფილება

სააღმშენებლო ინსტიტუტი.

ნ. 1453

იყიდება
საწერი მაგიდა
ნარიყალის ქუჩა 10, ბინა მაზურინისა.
6211

პ. ი. ჯალალოვი
ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა მამაკაცთა მიღება: დილით 8—9 ს საღამოს 6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მის სამართი: კამოს ქუჩა № 19 ყოფილი დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად ტელეფონი 1-90. ნ. 25—8 432

გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
სქესობრ. სისუსტის მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს. საღ. 5—8 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) №3
25—20

ნ. კონტოროვიჩი
თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. (ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან.
25—1

ს. ა. დიშელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები
სახის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეჭხუმას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტლს და სხვ. მესანგრეთა ქ. № 22.
13—3 5464

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სიპ ლამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან. 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 2—56

ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 5—1 2

## ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად

**პირადობის მოწმობა:** ნიკოლოზ კალანდაძის. ლავრენტი ე[illegible]ძის. მიხეილ ახალაძის. რკინის გზის პირადობის მოწმობა № 42 ალექსანდრე გაბისონიასი.

**პურის წიგნაკები:** ვსევოლოდ ტაბატაძის, შუშანიკ და მარგო ობოლოვების, პელაგია ფირიაშვილის № 50647.

**მუშკოოპის წიგნაკები:** ფუცუ გუნიასი № 53.

**სამხედრო წიგნაკები:** მიხეილ თოფურიასი № 1224, ევსევი ხვინგიასი № 981.

**მეტრიკ. ამონაწერი:** ელენე ჩითაშვილის № 145,

**პირადობის მოწმობა:** მიხეილ თოფურიასი № 86, ბენიამ კარაპეტიანცის, მიხეილ ქოროჭაშვილის, ვერა ჩხიკვაძის № 2631.

**პროფკავშირის წიგნაკები:** აფრასიონ შავლაძის № 13/30303, ჰუსეინ ხუნალ ოღლის, კონსტანტინე როდონიასი № 99715, ვენედიქტე კოპალეიშვილის № 14405, მიხეილ წერეთლის № 36181.

**სხვა და სხვა საბუთები:** საპენსიო წიგნაკი მარო მიქაშავიძის, ბაგაჟის ქვითარი № 18350 გორიკ ხალათიანის, საპენსიო წიგნაკი თამარა ბურჯანაძის, 9 წლ. დამთ. მოწ. № 2044 ელენე ჩითაშვილის, პასპორტი ჰუსეინ ზეინალ ოღლის, საპენსიო წიგნაკი № 170 ქსენია თოფურიასი, სალექციო წიგნაკი № 4378 ალექსანდრე კოტრიასი.

## სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ ივლისის 24 ს საღამოს 7 საათზე სას. სამ. ინსტიტუტის კლუბში (ვაკე) შესდგება ინსტიტუტის

ტფილისში მყოფ მასწავლებელთა, ასპირანტების და სტუდენტთა აქტივის

### საერთო კრება:

დღის წესრიგში დასმულია ინსტიტუტის მოადგილის ამხ. ვ. [illegible] მოხსენება საკავშირო მიწმოქმედების სახ. კომისარიატთან არსებულ სას. სამ. სასწავლებელთა მეთოდიური კონფერენციის შედეგების შესახებ, ჩამოთვლილ ამხ. ნაგებისათვის დასწრება დაუგვიანებლათ სავალდებულოა.

## მიმდინარეობს არტ. „მშენის" ლიკვიდაცია

სახელ. დაწესებულებებს და მუშა-მოსამსახურეებს, ვისაც გაქვთ რაიმე პრეტენზიები, შეუძლიათ ორი კვირის განმავლობაში მიმართონ ლიკვიდკომს და ამხ. შოშიტაშვილს (პლეხ. პრ. № 82). ორი კვირის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

ლიკვიდკომი.

6220

---

დამწუხრებული დედა მარგალიტა, ძმები: ჯარისბან, ალმასხან, ვანო ცოლებით, დები: ქესარია, ოლიჩქა, ვარდო, ოცია ქმრებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს

**კუჭულია გიგოს-ძე კალანდაძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება ხიდისთავში დღეს, 23 ივლისს. 6216

---

დამწუხრებული შვილები: შურა, ჯერმანე, აკაკი, ნინა, იასონი ქვარცხავები, სიდედრი მაკრინე, ცოლის ძმა ლავრენტი კაკულია, ძმა ექვთიმე ცოლშვილით, სიძე კოტარი ძაძამია ცოლშვილით, ნათესავები პოკოპი და თამარა ჩოჩუები, ნინა და ალექსანდრე კუტალეიშვილი ცოლშვილით იუწყებიან მათთვის საყვარელ

**კოსტა მერაბის-ძე ქვარცხავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ფოთში 24 ივლისს. ნ. 1435

---

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ექიმი სერაპიონ ალექსანდრეს ძე ბერძენიშვილი; მშობლები: ელენე და ყარამანი; დები: ვერა, ანეტი და თამარი—აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და მარად დაუვიწყარი

**მარუსია ყარამანის ასული ცეცხლაძე-ბერძენიშვილისა**

გამოსვენება დღეს, 23 ივლისს ბინიდან ლენინის ქ., № 40, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე, 6 საათზე. 6217

---

უახლოესი მეგობრები და ამხ-ბი: ვ. ფანცხავა, მ. გურგენიძე, კ. კაპკაძე, ბ. გეგეჭკორი, ა. დავითაშვილი, ვ. რუხაძე, ვ. გურგენიძე, დ. სურგულაძე, ძ. მიმინაძე, ლ. რჩეულიშვილი, ვ. თაქთაქიშვილი, თანაგრძნობას უცხადებენ მწუხარებაში მყოფ ექ. სერაპიონ ბერძენიშვილს მისი ოჯახობის

**მარიამ ცეცხლაძე-ბერძენიშვილის**

გარდაცვალების გამო 6194

---

ადგილი ამხანაგები: თამარა გეგელაშვილი, ფაცია და კიმეე ხანიშვილები, ეკატერინე და მიშა ჩხეიძე, ელენე და სანდრო ცინცაძე, მიშა გეგელაშვილი, ილიკო ლორთქიფანიძე, პროკოფი გოგიტიძე, გრამიტონ ასათიანი და მიხაკო მძელაძე გამოსთქვამენ გულწრფელ მწუხარებას ძვირფასი ამხანაგის სერაპიონ ბერძენიშვილის მეუღლის

**მ ა რ უ ს ი ა ს**

უდროოდ დაკარგვის გამო 6193

---

დამწუხრებული მშობლები: გიორგი და ბაბო; დები: მარო და დოდო. ძმა გივი დავითაშვილები. დიდედა სოფიო მირზაშვილისა, ბიძები: ლადო და ლევანი, მამიდა ნინა, პაპა ილიკო დავითაშვილები, სიძე საოდიონ გომელაური ცოლშვილით დაუკაირით საყვარელ

**შ ო თ ი კ ო ს**

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ბინიდან დღეს, პარკოვის ქ. № 29 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 6197

---

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მელანია, შვილები: სონია, ანნა, მარუსია, ნოე, ბიქტორი და მალვა, რძალი ელენე და შვილიშვილი ოთარი ულრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს

**ალექსი საჩინოს-ძე გოცაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში, ხუთშაბათს, 23 ივლისს საფირჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან, მიასნიკოვის ქ. № 1, საღამოს 5 საათზე. 6195

---

მეუღლე დარო ქქრით აბგარით, შვილებით: ვართანუშა, ვართანა, საროჟისა, სათენიკა, არშალუის, არმენუი და რძალი ოლია ბერუჩოვები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი რძლის

**შ უ შ ა ნ ი კ ა გ ი გ ო ლ ო ვ ა ს**

უდროოდ გარდაცვალების გამო. 6200

---

დამწუხრებული ძმა თედორე, რძალი დარიკო, ძმისშვილი ნინა ნიკოლაიშვილები, ექვთიმე და ეფროსიმე ლეშკაშელები, ლუკა და ლოლა შაუთიძეები, ბიძია ბესარიონი მეუღლით ნიკოლაიშვილი და აბბაკო ხუციძე იუწყებიან დაუვიწყარი

**რაჟდენ სიმონის-ძე ნიკოლაიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 საათზე, არამიანცის საავად მყოფოდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 6204

---

ლენა ბუაჩიძე, შუშანა კალანდაძე, ვერიკო ხაჩატუროვა, ქიტო ჟავთაძე, ძამია ოსელიანი და ვანიჩკა ერგემლიძე იუწყებიან მათი უახლოესი მეგობრის ანეტა ჭეიშვილის ძვირფასი დედიკოს

**ვარდო ჭეიშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, არსენალის შესახვევი, № 6. ვერის ახალ სასაფლაოზე. 6174

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № [illegible]